სასწავლო სახელმძღვანელო

გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურისათვის

სარჩევი

ტერმინთა განმარტება 5

1. **გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები** 12

2. **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესახებ** 13

2.1. სამინისტროს სტრუქტურა 14

2.2. **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** 15

3. **გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის ძირითადი კომპეტენცია** 17

4. **სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი** 18

4.1. რეგულირების ობიექტის დათვალიერება 18

4.2. ინსპექტირება 20

4.2.1. რეგულირების ობიექტის ინსპექტირების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტები და აღჭურვილობა 21

4.2.2. რეგულირების ობიექტისა და სხვა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა ინსპექტირების პროცესში 22

4.2.3. მოთხოვნები რეგულირების ობიექტის მიმართ ინსპექტირების ხელშეწყობისთვის 22

4.2.4. ფოტოები და ვიდეოჩანაწერი 23

4.2.5. ახსნა-განმარტება 24

4.2.6. მტკიცებულებები ინსპექტირების პროცესში 24

4.2.7. ინსპექტირების აქტი 25

4.2.8. რეგულირების ობიექტების ინსპექტირების შედეგები 26

4.2.9. რეაგირება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებზე 27

4.2.10. რეგულირების ობიექტის უფლებები ინსპექტირების პროცესში 29

4.2.11. რეგულირების ობიექტის ზოგადი ვალდებულებები 30

4.3. პატრულირება პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით 30

4.3.1. პატრულირების ფორმები 30

4.3.2. პატრულირებისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის უფლება-მოვალეობები 31

4.3.3. პატრულირების განხორციელებისას სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების ზოგადი მოთხოვნები 32

4.3.4. ზოგადი მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობისას 33
4.3.5. რეაგირება დარღვევის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე.....33
4.3.6. ღამის საათებში პატრულირების განხორციელების ზოგადი მოთხოვნები 35
4.4. დანართები.....35
5. **ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა** 47
5.1. სოჭის გირჩის მოპოვება.....47
5.2. სარგებლობის პროცესში გამოვლენილი ძირითადი დარღვევა-ნაკლოვანებები.....48
5.3. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) კონვენციის მოკლე მიმოხილვა.....48
5.4. საბაჟო სამსახურების ვალდებულება 49
6. **საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობისათვის დადგენილი მოთხოვნები** 51
6.1. ხე ტყის წარმოშობის დოკუმენტი.....51
6.1.1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსების წესები.....52
6.1.2. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების აღრიცხვის წესი 53
6.1.3. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაციის პრინციპი.....53
6.1.4. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის მიზნობრიობა.....54
6.1.5. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ოფისში წარმოდგენისა და ატვირთვის ვადები 55
6.2. სპეციალური ფირნიშების მოქმედებისა და მისი გაუქმების საფუძვლები.....55
6.3. სოციალური ჭრებით მოპოვებული ხე-ტყის მოძრაობის წესები.....56
6.4. ლიცენზირებულ ფართობზე მოპოვებული ხე-ტყის მოძრაობის წესები 58
6.5. მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება.....58
6.6. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა61
6.7. საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული ხე-ტყის მოძრაობის რეგულირება 62
7. **მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტი (სახერხი საამქრო)** 64
7.1. ზოგადი მოთხოვნები.....65
7.2. სახერხ საამქროში დაბინძურების თავიდან აცილების მოთხოვნები.....66
7.3. სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნები 67
7.4. სახერხი საამქროს რეგისტრაცია და საამქროს ელექტრონული მართვა 69
7.4.1. სახერხი საამქროს მართვის ელექტრონული სისტემა 70

7.4.2. სახერხი საამქროს ელექტრონული მართვა 70
7.5. სახერხი საამქროს ყოველთვიური ანგარიშგების მოთხოვნები 74
7.6. სახერხი საამქროს რეგისტრაციის გაუქმება 74
7.7. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების, გადამუშავებისა და სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის გატანის ზოგადი მოთხოვნები 75
8. **ნადირობა** 78
8.1. ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალი, ნადირობის ვადები და დღიური ლიმიტები, ნადირობის ადგილების მიხედვით 80
9. **თევზჭერა** 82
9.1. თევზჭერის სახეები 82
9.2. თევზსაჭერი იარაღები და მათი გამოყენების წესები 83
9.2.1. თევზსაჭერი იარაღის სახეები 83
9.2.2. ბადის თვლის ზომები თევზსაჭერ იარაღებში 85
9.3. თევზჭერის წესები 86
9.3.1. თევზჭერის აკრძალვის ვადები და ადგილები 86
9.3.2. ჭერააკრძალული თევზის სახეობები 87
9.3.3. ჭერისათვის დაშვებული თევზის ზომები 88
9.3.4. მაქსიმალურად დასაშვები თანჭერა 89
9.3.5. თევზჭერისას აკრძალული იარაღები, საშუალებები და ხერხები 89
9.3.6. წყალსატევში თევზსაჭერი იარაღის ჩაგების და თევზის მოსაშენებელი კონსტრუქციის განთავსების წესი 92
9.4. სპორტულ-სამოყვარულო და რეკრეაციული თევზჭერისათვის დადგენილი წესები და რეგულაციები 92
9.4.1. თევზჭერის სპეციალური მოთხოვნები 94
9.5. სარეწაო ჟურნალის წარმოება 94
9.6. თევზჭერა დაცულ ტერიტორიებზე 96
9.7. თევზდაცვის მოთხოვნები წყალამღებ ნაგებობებზე 96
9.8. პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევისათვის 96
9.9. სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა 97
10. **ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები** 100
10.1. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროს რეგულირება 100
10.2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება 100

10.3. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა 101

10.4. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის მოთხოვნები....102

10.5. ცოცხალი გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის სპეციფიკური მოთხოვნები 104

10.6. ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის სპეციფიკური მოთხოვნები 105

10.7. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის სპეციფიკური მოთხოვნები 106

10.8. ტრანსპორტირებისას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში გამოთავისუფლება (მოხვედრა) 106

11. **ნარჩენების მართვა და მასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები**....107

11.1. სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები....107

11.2. კოდექსის რეგულირების სფერო....109

11.3. ნარჩენების მართვის სფეროში კომპეტენტური ორგანოები 109

11.4. დანაგვიანების აკრძალვა და დასუფთავების ვალდებულება....110

11.5. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება....111

11.6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ნარჩენებისმართვის სფეროში 112

11.7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება....116

12. **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**....119

13. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** 159

14. **გამოყენებული ლიტერატურა**....168

ტერმინთა განმარტება

ბრძანებულება – სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი რაიმე მნიშვნელოვანი საკითხების მოსაწესრიგებლად თუ გადასაწყვეტად.

ბუნკერი – სახერხი საამქროს ტერიტორიაზე არსებული სათავსო (საცავი) ან ნაგებობა, რომელიც გამოიყენება გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის.

გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები – სახერხი საამქროს მიერ მრგვალი ხე - ტყის (მორის), ასევე ხე - მცენარის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ხის ნაფოტი, ბურბუშელა, ნახერხი. ასევე ხის სხვა ისეთი ნარჩენები, რომელთა განთავსების ადგილიდან გადაადგილება / გაფანტვა შესაძლებელია ქარის მეშვეობით.

განკარგულება - აღმასრულებელი ხელისუფლების კანონქვემდებარე აქტი, რომელიც აწესრიგებს ან წყვეტს რაიმე კონკრეტულ საკითხს.

გრუნტროპი – ტრალის ქვედა კიდეზე სპეციალური სამაგრებით (ჯაჭვებით, გვარლით და სხვა) 0.2 მეტრზე მეტი დაშორებით ჩამოკიდებული ლითონის გვარლი, რომელზეც შესაძლოა დახვეული იყოს ლითონის მავთული ან ბაგირი, გრუნტროპი ასევე შესაძლებელია აღჭურვილი იყოს ლითონის ან რეზინის კოჭებით, ბურთულებით და სხვა საგნებით.

დადგენილება – კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გამოცემული

დათვალიერება – რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოსაპოვებლად ვიზუალური დათვალიერება/შესწავლა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც შემოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების, ისე შესაბამისი რეაგირების ზომების მისაღებად.

დამზადების ადგილი – საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე გამოყოფილი ტყეკაფი, ასევე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორია, სადაც მოხდა ხე-ტყის/ხე-მცენარის მოპოვება.

დირექტივა – ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია.

ელექტრონული სისტემა – საქართველოს ტერიტორიაზე ხე - ტყით სარგებლობასთან, ხე - ტყის მოძრაობასთან და პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების აღრიცხვის მიზნით შექმნილი მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც მონაცემების ასახვა ხორციელდება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

ელექტრონული ჟურნალი – სახერხი საამქროს ელექტრონული მართვის მოდული, რომლის წარმოება ხორციელდება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

ელექტრონული ფოსტა help@emoe.gov.ge – ელექტრონული ფოსტა, რომელზეც ხე - ტყით მოსარგებლის ან სახერხი საამქროს მფლობელის მიერ შესაძლებელია გაგზავნილ იქნეს შეტყობინება, შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება ამ რეგლამენტით განსაზღვრულ საქმიანობას.

თანჭერილი – თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებულ თევზის სახეობებთან ერთად თევზსაჭერ იარაღებში მოხვედრილი არასარეწი ზომის და სხვა სახეობის თევზები (სხვა ჰიდრობიონტები).

თევზი – წყლის ხერხემლიანი ცხოველები, რომელთაც არა აქვთ სხეულის მუდმივი ტემპერატურა, აგრეთვე კიბოსნაირები და მოლუსკები.

თევზსარეწი ტრალები – გუდისებური ფორმის აქტიური თევზსარეწი იარაღები, რომელთა ჭერის პრინციპი ემყარება წყლის სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით გაქაჩვით (ბუქსირებით) გარკვეული მოცულობის წყალგაწურვას.

ინსპექტირება – რეგულირების ობიექტის საქმიანობის ადგილზე დათვალიერება, შემოწმება და შესაბამისი რეაგირება.

კანონი – სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული აქტი, რომელიც არეგულირებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

კონვენცია – „შეთანხმება“, „ხელშეკრულება“, სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

მკაცრი აღრიცხვის ფორმა – განსაზღვრული შინაარსის, ფორმისა და ზომის ბლანკი, ბილეთი ან საბუთი, რომელიც გამიზნულია სხვადასხვა სფეროში საქმიანობასთან (საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და სხვა) დაკავშირებული ანგარიშსწორების, ანგარიშგების, იურიდიული ან სხვა ფაქტის დაფიქსირებისათვის, რომელსაც შეიმუშავებს ერთი ან რამდენიმე სამართალსუბიექტი დარგობრივი ნიშნით და რომელიც შემოღებულია სამოქმედოდ ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

<u>**მკაცრი აღრიცხვის ფორმების კატეგორიები**</u>

მკაცრი აღრიცხვის ფორმები, მათი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) პირველი კატეგორია – „განსაკუთრებით დაცული“. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ის მკაცრი აღრიცხვის ფორმები, რომელთაც აქვთ 7 ან მეტი დამცავი ნიშანი;

ბ) მეორე კატეგორია – „დაცული“. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ის მკაცრი აღრიცხვის ფორმები, რომელთაც აქვთ 4–6 დამცავი ნიშანი;

გ) მესამე კატეგორია – „მარტივი ტიპის“. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ის მკაცრი აღრიცხვის ფორმები, რომელთაც აქვთ არა უმეტეს 3 დამცავი ნიშანი.

მრგვალი ხე-ტყე (მორი)– ხე-ტყის დამზადების შედეგად მიღებული, 12 სმ-ზე მეტი (წვრილი ბოლოდან) დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი.

ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

- **სახიფათო ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებსაც აქვს ნარჩენების მართვის კოდექსის III დანართით *(სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები)* გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;
- **არასახიფათო ნარჩენები ნარჩენები -** რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების“ განმარტება;
- **საყოფაცხოვრებო ნარჩენები** – საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- **მუნიციპალური ნარჩენები** – საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;
- **ინერტული ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს – არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას;
- **ბიოდეგრადირებადი ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო;
- **თხევადი ნარჩენები** – თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები;

- **სამედიცინო ნარჩენები** – სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- **ცხოველური ნარჩენი** (ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი) – ცხოველის სხეული ან მისი სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) No 1069/2009 რეგულაციის შესაბამისად;
- **სპეციფიკური ნარჩენი** – ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო- და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა);
- **ნარჩენების წარმომქმნელი** – პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები (ნარჩენების თავდაპირველი წარმომქმნელი), ან პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, შერევას და სხვა საქმიანობას, რომლის შედეგადაც ნარჩენების მახასიათებლები ან შემადგენლობა იცვლება;
- **ნარჩენების მფლობელი** – ნარჩენების წარმომქმნელი ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ნარჩენებს;
- **ნარჩენების გადამზიდველი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების ტრანსპორტირებას;
- **ოპერატორი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვების, ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ან ნარჩენების დამუშავების ობიექტის ან ასეთი ობიექტის ნაწილის მართვის უფლება;
- **ნარჩენების მართვა** – ნარჩენების შეგროვება, დროებითი შენახვა, წინასწარი დამუშავება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლა;
- **ნარჩენების დამუშავება** – ნარჩენების მართვის კოდექსის I *(აღდგენის ოპერაციები)* და II *(განთავსების ოპერაციები)* დანართებით გათვალისწინებული აღდგენის და განთავსების ოპერაციები, აგრეთვე ნარჩენების წინასწარი დამუშავება აღდგენამდე ან განთავსებამდე;
- **დანაგვიანება** – ნარჩენის (ნარჩენების) გარემოში დაგდება (დაყრა), გადაგდება (გადაყრა) ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ;
- **პრევენცია** – ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე ზომების მიღება, რაც ამცირებს:
- ნარჩენების რაოდენობას. ეს, სხვა საშუალებებთან ერთად, მიიღწევა პროდუქტის ხელახალი გამოყენებით ან პროდუქტის ვარგისობის ვადის გაგრძელებით;
- წარმოქმნილი ნარჩენების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას;
- მასალაში ან პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას;
- **აღდგენა** – საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენება იმ მასალების ჩანაცვლებით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული, და რომელიც

განსაზღვრულია, მაგრამ არ შემოიფარგლება ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართით *(აღდგენის ოპერაციები).* აღდგენა მოიცავს რეციკლირებას;

- **ხელახალი გამოყენება** – ნარჩენად გადაქცევამდე პროდუქტის ან/და მისი კომპონენტის თავდაპირველი დანიშნულებით ხელახლა გამოყენება;
- **ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება** – აღდგენითი ოპერაცია (კერძოდ, შემოწმება, გასუფთავება ან შეკეთება), რომლის შედეგადაც პროდუქტი ან/და მისი კომპონენტი, რომელიც ნარჩენად იქცა, ყოველგვარი სხვა სახის ზემოქმედების გარეშე მზადაა ხელახალი გამოყენებისთვის;
- **რეციკლირება** – აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება;
- **შეგროვება** – ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე ტრანსპორტირებისათვის;
- **სეპარირებული შეგროვება** – ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობისათვის განცალკევებულია სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით;
- **განთავსება** – ღონისძიება, რომელიც განსაზღვრულია, მაგრამ არ შემოიფარგლება ნარჩენების მართვის კოდექსის II დანართით *(განთავსების ოპერაციები);*
- **ნარჩენების დამუშავების ობიექტი** – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ან არატექნიკური დანაყოფი, სადაც ხორციელდება ნარჩენების დამუშავება (მათ შორის, ნარჩენების გადამტვირთავი სადგური, სხვა ადგილი, სადაც მოწყობილია ასეთი ობიექტი);
- **ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი** – ობიექტი, სადაც ინახება ნარჩენები 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის;
- **ნარჩენების გადამტვირთავი სადგური** – ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირებისათვის;
- **ნაგავსაყრელი** – ნარჩენების განთავსების ობიექტი, სადაც ნარჩენები მიწაზე ან მიწის ქვეშ განთავსდება. ნაგავსაყრელი მოიცავს ნარჩენების განთავსების შიდა ობიექტს (საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელი, რომელზედაც ნარჩენების წარმომქმნელი კუთვნილ ნარჩენებს განათავსებს), მაგრამ არ მოიცავს ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტს და ნარჩენების გადამტვირთავ სადგურს;
- **ნარჩენების ინსინერაციის საწარმო** – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების თერმული დამუშავებისთვის, გამოყოფილი წვის სითბოს აღდგენით ან მისი აღდგენის გარეშე, ნარჩენების დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების პროცესით, როგორიცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;
- **ნარჩენების თანაინსინერაციის საწარმო** – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ენერგიის მიღება ან მატერიალური პროდუქტის წარმოება, რომელიც ნარჩენებს ძირითად ან დამატებით საწვავად იყენებს ან რომელშიც ნარჩენები თერმულად მუშავდება განთავსებისათვის, დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების

პროცესით, როგორიცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;

- **ნებართვა** – ნებართვა, რომელიც გაცემულია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კოდექსის და მის საფუძველზე მიღებული და გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- **ნარჩენი ზეთი** – მინერალური ან სინთეტიკური ლუბრიკანტი ან სხვა სახის საწარმოო ზეთი, რომელიც თავდაპირველი დანიშნულებით გამოყენებისთვის უვარგისი გახდა, კერძოდ, გამოყენებული ძრავას ზეთი, გადაცემათა კოლოფის ზეთი, საპოხი ზეთი, ტურბინის ზეთი, ჰიდრავლიკური ზეთი და სხვა;
- **დაბინძურება** – გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერების შემცველი ნარჩენის მოხვედრა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება;
- **რესურსი** – ნებისმიერი პირველადი ან მეორეული მატერიალური ნედლეული, მათ შორის, ნარჩენი, თუ ის სხვა პირველადი ნედლეულის ნაცვლად გამოიყენება.

ნემსკავები – რკინის ან სხვა მასალისაგან დამზადებული, მომრგვალებული ფორმის წამახვილებული დაბოლოებებით, თევზსაჭერი იარაღის კონსტრუქციული ელემენტი.

ნორმატიული აქტი – უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს და შესასრულებლად სავალდებულოა. საქართველოს ნორმატიული აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტი, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ხე - ტყის ან ხე - მცენარის გადამუშავების შედეგად მიღებული ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შპალი, საპარკეტე ფრიზა, შავად ნამზადი დეტალი, დაპობილ - დაჩეხილი სათბობი შეშა, ფანერა (შპონი).

პლასტი – ტრალის ტომრის (შემკრების გამოკლებით) ნაწილი. პლასტების სიგანე თანაბარია ან განსხვავდება ერთმანეთისგან მაქსიმუმ 20%-ით. პლასტები ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთგვარი ნაკერებით.

რეგულირების ობიექტი – ფიზიკური და იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი (მათ შორის საქმიანობის სუბიექტი), სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელზეც ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები.

საფარველი (ფართუკი) – ტრალი შემკრების ქვედა ნაწილის მე-3 ან უფრო მეტი ფენა.

საშეშე მერქანი – ხე-ტყის დამზადების შედეგად მიღებული ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი ან წვრილი ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მერქნული რესურსი.

სკვერი – ტრალის ტომრის ზედა პლასტის (პლასტების) წინაფრა, რის გამოც ზედა პლასტი (პლასტები) ფრთების გამოკლებით უფრო გრძელია, ვიდრე ქვედა.

სპეციალური ფირნიში – ამ რეგლამენტის №11 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად დამზადებული ფირნიში, რომელიც ადასტურებს მრგვალი ხე - ტყის (მორის) კანონიერ წარმოშობას და დადგენილი წესით აღირიცხება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში .

ტექნიკური რეგლამენტი – სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს ტექნიკურ მოთხოვნებს პროდუქციის ან მომსახურებისათვის.

ტოპენანტი – პლასტების შეერთების (ნაკერების) ადგილზე გამავალი გვარლი ან ბაგირი.

ტყეკაფი – საქართველოს ტყის ფონდის განსაზღვრული ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ზემდგომი ან ძირნაყარი ხე-ტყის დამზადება.

ტყეკაფის ათვისება – ხე-ტყის (მათ შორის, ძირნაყარი) დამზადება, ნარჩენებისაგან ტყეკაფის გაწმენდა და დამზადებული ხე-ტყის სახელმწიფო ტყის ფონდიდან გამოზიდვა.

ტყეკაფის გამოყოფა – ტყეკაფის მონიშვნის მასალების მართვის ორგანოსთვის წარდგენა, კამერალური ან/და საველე შემოწმების შემდეგ ტყეკაფის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა და მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ტყეკაფის მონიშვნა – ტყეკაფის გამიჯვნა მოსაზღვრე ტერიტორიისაგან, დასამზადებელი ხე-ტყის აღრიცხვა, ტყეკაფის აღრიცხვის უწყისის, ტყეკაფის პასპორტისა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის შედგენა.

შემოწმება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების თაობაზე რეგულირების ობიექტის საქმიანობის შემოწმება დადგენილი წესის შესაბამისად;

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმი (შემდგომ – გენმოდიფიცირებული ორგანიზმი) – ნებისმიერი ორგანიზმი (ადამიანის გარდა), რომლის გენეტიკური მასალა შეცვლილია არაბუნებრივი (თანამედროვე ბიოტექნოლოგიური) მეთოდების გამოყენებით, რაც ნიშნავს ორგანიზმის გენეტიკური მასალის შეცვლას ხელოვნურ (ინ ვიტრო) პირობებში ნუკლეინის მჟავების ორგანიზმის უჯრედებში ან ორგანელებში პირდაპირი ინექციის მეთოდის ან/და სხვადასხვა ტაქსონომიური სტატუსის მქონე ორგანიზმების უჯრედების შერწყმის მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდები საშუალებას იძლევა, გადაილახოს ბუნებრივი, ფიზიოლოგიური, რეპროდუქციული ან რეკომბინაციული ბარიერი; ამავე დროს, ისინი არ განეკუთვნება ტრადიციულ სელექციურ და ჯიშთა გამოყვანის მეთოდებს.

- **ცოცხალი ორგანიზმი** – ნებისმიერი ბიოლოგიური წარმონაქმნი, რომელსაც აქვს გამრავლების ან/და გენეტიკური მასალის გადაცემის უნარი, მათ შორის, სტერილური ორგანიზმი, ვირუსი, ვიროიდი;
- **გენმოდიფიცირებული პროდუქტი** – გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გადამუშავების შედეგად მიღებული ან/და გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ინგრედიენტის შემცველი პროდუქტი, რომელსაც ან რომლის ცალკეულ ნაწილებსაც არ აქვს გამრავლების ან/და გენეტიკური მასალის გადაცემის უნარი;
- **ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება** – სამეცნიერო-კვლევითი ან ექსპერიმენტული მიზნით დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ფიზიკური სტრუქტურის ფარგლებში გენმოდიფიცირებულ ორგანიზმზე განხორციელებული ან გენმოდიფიცირებულ ორგანიზმთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ოპერაცია/მანიპულაცია (მისი მიღების, შენახვისა და ნარჩენის სახით განთავსების ჩათვლით), რომელიც მოითხოვს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოსთან კონტაქტის ეფექტიანი შეზღუდვის და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფის სპეციალური პირობების დაცვას;

- **გარემოში ინტროდუქცია** – გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში შეტანა;
- **საბაზრო ქსელში განთავსება** – ნებისმიერი მოქმედება, რომელიც გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს მესამე პირისათვის (მათ შორის, საბოლოო მომხმარებლისათვის) ხელმისაწვდომს ხდის გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ან უფასოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გენმოდიფიცირებული ორგანიზმი გამიზნულია ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისათვის;
- **საქმიანობის განმახორციელებელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გენმოდიფიცირებულ ორგანიზმს ჩაკეტილ სისტემაში იყენებს;
- **ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმი** – მონრეალის 2000 წლის 29 იანვრის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმი“, რომელსაც საქართველო შეუერთდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმთან საქართველოს შეერთების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 26 სექტემბრის №305–IIს დადგენილებით.

ხე-მცენარე – მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული მერქნული რესურსი და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსი.

ხე - ტყით მოსარგებლე – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს ხე - ტყის მოპოვების უფლება ან ხე - ტყის მესაკუთრე, ასევე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე არსებული ხე - მცენარეების მესაკუთრე.

ხე-ტყის დატვირთვის ადგილი – ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, ტყითსარგებლობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების მფლობელისთვის, საქართველოს ტყის ფონდში საქმიანობის განსახორციელებლად გადაცემული სამოქმედო ტერიტორიის კონკრეტული ადგილმდებარეობა, სადაც უნდა განხორციელდეს ხე-ტყის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა.

ხე-ტყის ნარჩენი – ხე-ტყის დამზადების შედეგად ტყეკაფზე დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები.

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი – მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ხე - ტყის ან ხე - მცენარის ტრანსპორტირება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმა – ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის შეუვსებელი ფორმა, რომლის დამზადებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს „ მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ “ საქართველოს კანონი.

ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.
(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37)

1. გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები

❖ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში (შემდგომ "გარემოს დაცვაში") საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით.

<u>**გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებია:**</u>

- *<u>„რისკის შემცირების პრინციპი“</u>* _ საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია, მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;
- *<u>„მდგრადობის პრინციპი“</u>* _ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, როდესაც საშიშროება არ ექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან;
- *<u>„პრიორიტეტულობის პრინციპი“</u>* _ ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა, ნაკლებრისკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს;
- *<u>„ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი“</u>* _ საქმიანობის სუბიექტისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორისა და ფაუნის, წიაღისა და წიაღისეული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ფასიანია;
- *<u>პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“</u>* _ საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულება, აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზარალი;
- *<u>„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი“</u>* _ საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას;

- *„ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი“* _ საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას;
- *„რეციკლირების პრინციპი“* _ საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;
- *„რესტიტუციის პრინციპი“* _ საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იყოს პირვანდელ (რესტიტუტიო ინ ინტეგრუმ) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით;
- *„გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი“* _ საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე კანონით დადგენილი წესით;
- *„გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“* _ უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა;
- *„ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი“* _ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის.

(მუხლი 5)

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესახებ

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

დებულება განსაზღვრავს სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს, სტრუქტურასა და სისტემას, სამინისტროს ქვედანაყოფების კომპეტენციებს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სახელმწიფო მართვას.

2.1.სამინისტროს სტრუქტურა



<u>**სამინისტროს შემადგენლობაში შედის ექვსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი:**</u>

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
- სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

აგრეთვე, **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.**

2.2. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

❖ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს, მათ შორის, ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ახორციელებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

<u>**დეპარტამენტის საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები:**</u>

- ✓ ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- ✓ საქართველოს ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა;
- ✓ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ქიმიური უსაფრთხოების, ნარჩენების მართვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება (გარდა ბირთვული და რადიაციული ნარჩენებისა);
- ✓ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლი, რომელიც მოიცავს, გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებაზე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებაზე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას და შესაბამისი რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვას;
- ✓ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი.

<u>**დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები:**</u>

- ✓ სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში;
- ✓ ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ✓ გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- ✓ საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება მისი კომპეტენციის ფარგლებში;

- ✓ კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგის წარმოება, მათ შორის, რეგულირების ობიექტის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების ანგარიშგების ანალიზი;
- ✓ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ✓ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის მეთოდური და სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება;
- ✓ საზოგადოების ინფორმირება დეპარტამენტის საქმიანობის თაობაზე.



3. გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის ძირითადი კომპეტენცია

<u>**გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის ძირითადი კომპეტენციაა:**</u>

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების (პრევენციულ) ღონისძიებათა განხორციელება, მათი გამოვლენა და აღკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა საფუძველზე. პიროვნების დადგენის მიზნით და კანონით დადგენილ შემთხვევებში, ადმინისტრაციული დაკავების, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის განხორციელება, ასევე კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ობიექტის, დანადგარის, აგრეგატის ან/და თევზსაჭერი მოწყობილობის დალუქვა;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოახდინოს უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსების, ასევე სამართალდარღვევის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ჩამორთმევა;
- დათვალიერება/შესწავლისას დადგენილი წესით შესაბამისი ინსპექტირების აქტის შედგენა, ხოლო დათვალიერება/შესწავლის პროცესში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და სამმართველოს უფროსთან წარდგენის უზრუნველყოფა;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მათი ტრანსპორტირებისას კანონიერებასთან შესაბამისობის დადგენის, მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისა და გამოყენებული იარაღებისა და საშუალებების დათვალიერების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსების გამოვლენის მიზნით, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, დაუბრკოლებლად, განახორციელოს დათვალიერება/ შესწავლა ბუნებრივი რესურსების მოპოვების ან პირველადი გადამუშავების ადგილებში, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სხვა სამართალდარღვევების ჩადენის შესახებ მონაცემების არსებობისას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების კონტროლის მიზნით გააჩეროს პირი, შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, მცურავი სატრანსპორტო საშუალება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის და სატრანსპორტო საშუალების, ასევე თანმხლები ბუნებრივი რესურსების, კანონმდებლობასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან/და სპეციალური ფირნიშები, მათ შორის, ვიზუალურად დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალება, მასში მყოფი ნივთები და საგნები;
- საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას რეგულირების ობიექტებისგან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან სიტყვიერად მოითხოვოს და დაუბრკოლებლად, უსასყიდლოდ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) წერილობითი ინფორმაცია, სხვა საჭირო დოკუმენტაცია და მასალები, რომელიც შეეხება მათ განვლილ და მიმდინარე საქმიანობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში;
- დეპარტამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი საჯარო მოსამსახურეთათვის თავისი

უფლება-მოვალეობის განხორციელებისას დახმარების გაწევა, გარემოსდაცვითი შემოწმების განხორციელების პროცესში მონაწილეობის მიღება;

- კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

(მუხლი 7)

4. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი

- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილება

მთავრობის აღნიშნული დადგენილება არეგულირებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესს. განსაზღვრავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის, მათ შორის, ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს. ადგენს ტერმინთა განმარტებებს, განსაზღვრავს კონტროლის მიზნებსა, მექანიზმებსა და მათი განხორციელების პრინციპებს. სახელმწიფო კონტროლის მოქმედების სფეროს, სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას თანამშრომლობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინსპექტირების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, რეგულირების ობიექტის უფლებებსა და ვალდებულებებს პატრულირების ფორმებს ინსპექტირების პროცესში, ინსპექტირების აქტების ფორმებს.

4.1. რეგულირების ობიექტის დათვალიერება

რეგულირების ობიექტის დათვალიერება შესაძლოა ჩატარდეს რეგულირების ობიექტის წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე.

რეგულირების სხვა ობიექტების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს პატრულირების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით დადგენილი წესებისა (იხ. 4.3.) და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დათვალიერება შესაძლოა მოიცავდეს:

ა) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვებას, მათ შორის, რეგულირების ობიექტის საქმიანობის ადგილისა და სარგებლობის შესახებ;

ბ) რეგულირების ობიექტის საქმიანობის ადგილის, ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების შიდა და გარე სივრცის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის განკუთვნილი ნებისმიერი ობიექტის, ასევე მოწყობილობა-დანადგარების ვიზუალურ დათვალიერებას;

გ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მათი წარმოშობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირების ობიექტის მიერ ბუნებრივი რესურსების, ხე-ტყის და სხვა შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვის ჟურნალ(ებ)ის) გაცნობას, მოპოვებული ბუნებრივი რესურსების დათვალიერებას, მათი ოდენობის დადგენასა და შესაბამის დოკუმენტებთან შედარებას, ასევე ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გადამუშავებისთვის გამოყენებული იარაღებისა და საშუალებების ვიზუალურ დათვალიერებას, რეგულირების ობიექტის სამეწარმეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის, ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, სატრანსპორტო (მათ შორის, მცურავი) საშუალების შესაბამისი დოკუმენტის, სხვა ნივთებისა და საგნების დათვალიერებასა და გაცნობას;

დ) ნებისმიერი იმ დოკუმენტაციის გამოთხოვა, რომელიც შესაძლოა ადასტურებდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და ვალდებულებების შესრულებას;

ე) საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, ტერიტორიულ ზღვაში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე წყლის სხვა ობიექტებში მცურავი (მათ შორის, თევზის მომპოვებელი) სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას, მათ მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ამსახველი დოკუმენტების (მათ შორის, თევზჭერის სარეწაო ჟურნალის) დათვალიერებას. საჭიროების შემთხვევაში სინჯების აღებას ან/და გაზომვების ჩატარებას, ასევე ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნასა და დათვალიერებას;

ვ) საჭიროების შემთხვევაში რეგულირების ობიექტ(ებ)ის ტერიტორიის მიმდებარედ ლაბორატორიული სინჯების აღებასა და გაზომვების ჩატარებას;

ზ) რეგულირების ობიექტის მიერ გარემოსდაცვითი სამუშაოების (ღონისძიებების) განხორციელებისას საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის დათვალიერებასა და შეფასებას;

თ) რეგულირების ობიექტზე წინა ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებელი ან/და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის დათვალიერებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიღებას.

თუ რეგულირების ობიექტების დათვალიერებისას გამოვლინდა დარღვევები, მათ შორის, გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა მეყსეული და უშუალო საფრთხე შეუქმნას დარღვევების შესახებ შესაბამის მტკიცებულებებს, დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე ახორციელებს ამ მტკიცებულებების მოპოვებისთვის საჭირო ღონისძიებებსა (მათ შორის, შესაბამისი ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, მტკიცებულებების დალუქვა, სინჯების აღება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შესაბამისი ზომების გატარებას, ასევე შესაბამისი გადაუდებელი რეაგირების ზომების გატარებას.

დათვალიერებისას რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რეგულირების ობიექტის საქმიანობის შემოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
დათვალიერების ღონისძიებები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

(მუხლი 7)

4.2. ინსპექტირება

ინსპექტირება დაწყებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა რეგულირების ობიექტს წარედგინა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი, კერძოდ:

- რეგულირების ობიექტის დათვალიერებისას – დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის პირადობის დამადასტურებელი სამსახურებრივი მოწმობა;
- რეგულირების ობიექტის შემოწმებისას – დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის სამსახურებრივი პირადობის მოწმობა და უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რეგულირების ობიექტის შემოწმების ჩატარების შესახებ; აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლოა გამოცემულ იქნეს წერილობით ან ზეპირად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, არაგეგმური შემოწმებისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე რეგულირების ობიექტს წარუდგენს მხოლოდ სამსახურებრივ პირადობის მოწმობას. ასეთ შემთხვევაში დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე შემოწმების მიმდინარეობის პროცესში უზრუნველყოფს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენას (ხელზე ჩაბარებით ან ფოსტის მეშვეობით) რეგულირების ობიექტისათვის, ხოლო თუ ამ პერიოდისათვის შემოწმება დასრულებულია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარედგინება მისი დასრულების შემდეგ, ამ პუნქტში მითითებული წარდგენის წესით. აღნიშნული ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

რეგულირების ობიექტის არაგეგმური შემოწმებისას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებს მიეკუთვნება რეგულირების ობიექტში (საწარმოში) მომხდარი ავარიული სიტუაცია, დათვალიერების შედეგად დარღვევების თაობაზე მოპოვებული ინფორმაცია, როდესაც აუცილებელია რეაგირების ზომების დაუყოვნებლივ გატარება, ასევე სხვა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევები, რომლებიც ცნობილი გახდება დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურისთვის უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის

შესრულებისას. მსგავს შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მიერ რეგულირების ობიექტის საქმიანობის დათვალიერების განხორციელება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას არ საჭიროებს.

თუ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში რეგულირების ობიექტის საქმიანობა უკანონოდ ხორციელდება ან/და ამ საქმიანობის შედეგად, შეიძლება მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან/და მტკიცებულებებს, დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს რეგულირების ობიექტის საქმიანობა ამ ნაწილში (საჭიროების შემთხვევაში, დალუქოს ობიექტი, დანადგარი, აგრეგატი ან/და მოწყობილობა, რასთან დაკავშირებითაც, დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მიერ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხდება ამ წესის №1 დანართით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტის შედგენა) და დეპარტამენტის უფროსმა ან დეპარტამენტის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა, ან დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს უფროსმა დაუყოვნებლივ მიმართოს შესაბამისი შუამდგომლობით სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შუამდგომლობის წარდგენისას, დეპარტამენტმა უნდა დაასაბუთოს რეგულირების ობიექტის საქმიანობის შეჩერების გადაუდებელი აუცილებლობა. თუ რეგულირების ობიექტის საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან ეს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს რეგულირების ობიექტს, დეპარტამენტი უფლებამოსილია, ამ საფუძვლის გამოვლენიდან 24 საათის განმავლობაში, შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(მუხლი 10)

4.2.1. რეგულირების ობიექტის ინსპექტირების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტები და აღჭურვილობა

ინსპექტირების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს თან იქონიოს შემდეგი აღჭურვილობა ან მასალები:

- კავშირგაბმულობის საშუალებები;
- პორტატიული პერსონალური კომპიუტერი;
- შესაბამისი სქემები, რუკები, პარამეტრების ჩამონათვალი ან სხვა დოკუმენტები;
- რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ ანგარიშები და სხვა მონაცემები;
- ლაბორატორიული სინჯის ასაღები და გამზომი ხელსაწყოები;
- ფოტო და ვიდეოკამერა;
- ასევე ნებისმიერი სხვა აღჭურვილობა ან მასალები, რომლებიც სჭირდება მას ინსპექტირების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

(მუხლი 13)

4.2.2. რეგულირების ობიექტისა და სხვა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა ინსპექტირების პროცესში

ინსპექტირების პროცესში მონაწილეობენ დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურეები, საჭიროების შემთხვევაში – სხვა პირები (მათ შორის, რეგულირების ობიექტის შემოწმებისას – შემოწმების ჩატარების განხორციელების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე), შემოწმებას ასევე ესწრებიან შესამოწმებელი რეგულირების ობიექტის წარმომადგენლები.

რეგულირების ობიექტი ვალდებულია დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში და ასევე მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება ობიექტის ინსპექტირების პროცესში. უფლებამოსილი პირის წარმოუდგენლობის შემთხვევაში გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

რეგულირების ობიექტის წარმომადგენლის უარი ინსპექტირების პროცესში მისი მონაწილეობის მიღების თაობაზე ან მისი ადგილზე არყოფნა არ აჩერებს ინსპექტირების მოქმედებების განხორციელებას.

ინსპექტირების პროცესში მონაწილეობის მისაღებად, მათ შორის, რეგულირების ობიექტების საქმიანობის შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების, დასკვნების შემუშავების, ლაბორატორიული სინჯების აღების, შესაბამისი გაზომვებისა და ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების მიზნით შესაძლებელია მიწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები ან ექსპერტები.

საჭიროების შემთხვევაში ინსპექტირების პროცესში შესაძლებელია მოწვეული იქნეს სპეციალისტები/ექსპერტები (მათ შორის უცხოელი), ისეთი საკითხების შესასწავლად, რომლებიც სპეციალურ ცოდნასა და უნარებს საჭიროებს.

(მუხლი 14)

4.2.3. მოთხოვნები რეგულირების ობიექტის მიმართ ინსპექტირების ხელშეწყობისთვის

ობიექტის ხელმძღვანელობა ვალდებულია ინსპექტირების პროცესში დეპარტამენტის კანონიერი ქმედებების განხორციელებისას:

- საჭიროების შემთხვევაში აღჭურვოს ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიაწოდოს მათ ინფორმაცია უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ, გამოუყოს მათ სამუშაო ადგილი და უზრუნველყოს მათი საოფისე ტექნიკასთან (კომპიუტერი, ფაქსი, ქსეროქსი და სხვ.) ხელმისაწვდომობა;
- ხელი შეუწყოს ინსპექტირების განმახორციელებელ პირს თავისუფლად გადაადგილდეს ობიექტის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს ინსპექტირებისთვის საჭირო ღონისძიებები;

- დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მითითების შესაბამისად შეაჩეროს ობიექტის საწარმოო დანადგარებისა და მოწყობილობების სამუშაო პროცესი ან არ დაუშვას მათი გამორთვა ან მათთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;
- წარადგინოს დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მასალები და სხვა ინფორმაცია (დანართი №2);
- არ დაუშვას ისეთი ოპერაციების შეზღუდვა, რომლებიც აუცილებელია სინჯებისა და ნიმუშების ასაღებად;
- უზრუნველყოს დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში შემოწმებისათვის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;
- საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში ინსპექტირების განხორციელებისას ხელი შეუწყოს დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს კანონიერი ქმედებების განხორციელებაში, მათ შორის, დაჭერილი თევზის შემოწმების მიზნით მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ ამოიღოს წყლის ობიექტიდან ის ბადე-იარაღები, რომლებითაც ახორციელებს თევზჭერას;
- ასევე შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

ინსპექტირების განხორციელებისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე აფრთხილებს რეგულირების ობიექტის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს, რომელიც ხელს უშლის (აფერხებს) დეპარტამენტის კანონიერი მოქმედებების განხორციელებას, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა და ამგვარი ქმედებებისათვის შესაძლო სანქციების შესახებ.

(მუხლი 15)

4.2.4. ფოტოები და ვიდეოჩანაწერი

ინსპექტირების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს აწარმოოს რეგულირების ობიექტის საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების, მისი საქმიანობის, ასევე გამოვლენილ დარღვევათა ამსახველი ფოტო/ვიდეომასალის გადაღება.

ფოტოები და ვიდეოჩანაწერი გამოიყენება, როგორც ვიზუალური მტკიცებულებები ობიექტზე არსებული სიტუაციის ობიექტურად აღწერისათვის, ასევე როგორც მტკიცებულებები რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობით სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის დასადგენად.

ინსპექტირების პროცესში გადაღებული ფოტოები და ვიდეოჩანაწერი ობიექტურად უნდა ასახავდეს მდგომარეობას ინსპექტირების მომენტში. ამ პროცედურების განხორციელების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ფოტოაპარატი/ვიდეოკამერა თარიღისა და დროის ავტომატური რეჟიმით, ან ინსპექტირების განმახორციელებელი პირი აფიქსირებს ამ ინფორმაციას სხვა საშუალებებით.

რეგულირების ობიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებული პროცესების ან ოპერაციების ფოტო/ვიდეოგადაღების შეზღუდვა და კონფიდენციალურობა, რაც შესაბამისი დასაბუთებით ინსპექტირების დაწყებამდე ან

ინსპექტირების პროცესში უნდა ეცნობოს ინსპექტირების განმახორციელებელ პირს. ასეთი მოთხოვნა არ აჩერებს ინსპექტირების პროცესში ფოტო/ვიდეოგადაღების განხორციელებას, ხოლო ინსპექტირების დროს მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის, ფოტოსურათების, ვიდეოკადრების) კონფიდენციალურად შენახვის თაობაზე რეგულირების ობიექტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა განიხილება და შეფასდება დეპარტამენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(მუხლი 17)

4.2.5. ახსნა-განმარტება

ინსპექტირების პროცესში დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე უფლებამოსილია ჩამოართვას ახსნა-განმარტება რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს, ასევე პირებს, რომლებიც რეგულირების ობიექტის სახელით მონაწილეობენ ინსპექტირებაში ან ობიექტის სხვა თანამშრომლებს ობიექტის განვლილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.
იმ პირისათვის, რომელსაც არ შეუძლია ახსნა-განმარტება მისცეს ქართულ ენაზე, ახსნა-განმარტების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს თარჯიმნის მეშვეობით.

(მუხლი 18)

4.2.6. მტკიცებულებები ინსპექტირების პროცესში

ინსპექტირების პროცესში დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურეები უფლებამოსილნი არიან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დარღვევის გამოვლენის დროს განახორციელონ იმ ნივთებისა და დოკუმენტების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამორთმევა, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ან მტკიცებულებებს.
დეპარტამენტის უფლებამოსილმა საჯარო მოსამსახურემ დოკუმენტის სახით არსებული მტკიცებულება უნდა მოიპოვოს შემდეგის გათვალისწინებით:

- ქაღალდის ფორმით არსებული დოკუმენტების შემთხვევაში შემოწმებული და შესწავლილი უნდა იქნეს მათი ორიგინალები (მათი არსებობისას), ხოლო თუ ასლის გადაღებაა საჭირო, ეს უნდა მოხდეს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის თანდასწრებით;
- ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა შემთხვევაში უნდა გაკეთდეს მათი ამონაბეჭდი ან ასლები ინსპექტირების განმახორციელებელი პირის თანდასწრებით.

დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს დოკუმენტის ასლის დამოწმება რეგულირების ობიექტის წარმომადგენლის ხელმოწერითა და შესაბამისი ბეჭდით (მისი არსებობისას).
ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ვალდებულია დაიცვას მოპოვებული მტკიცებულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(მუხლი 19)

4.2.7. ინსპექტირების აქტი

რეგულირების ობიექტის (გარდა სატრანსპორტო, მათ შორის, მცურავი საშუალებების) დათვალიერების დამთავრების შემდეგ დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია შეადგინოს ინსპექტირების შესაბამისი აქტი (დანართი №3), რომელშიც აისახება დათვალიერებისას განხორციელებული ქმედებების შედეგები.

სატრანსპორტო, მათ შორის, მცურავი საშუალების დათვალიერების დამთავრების შემდეგ, თუ დათვალიერების შედეგად ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ გამოვლინდა ან სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, შეადგინოს სატრანსპორტო, მათ შორის, მცურავი საშუალების დათვალიერების აქტი (დანართი №8), რომელშიც აისახება დათვალიერებისას მოპოვებული ინფორმაცია და განხორციელებული ქმედებები. დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მიერ შედგენილი სატრანსპორტო, მათ შორის, მცურავი საშუალების დათვალიერების აქტი დადგენილი წესით წარედგინება შესაბამისი სამსახურის/სამმართველოს უფროსს.

რეგულირების ობიექტის შემოწმების დამთავრების შემდეგ, შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი ვალდებულია, შეადგინოს ინსპექტირების შესაბამისი აქტი (დანართი №4), რომელშიც აისახება შემოწმებისას განხორციელებული ქმედებების შედეგები. რეგულირების ობიექტის შემოწმების დამთავრების შემდეგ, შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი ვალდებულია, შემოწმების მასალების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სამართალდამცავ ორგანოებში რეაგირების მიზნით გადაგზავნამდე, მოამზადოს და დეპარტამენტის უფროსს წარუდგინოს შემოწმების ანგარიში.

თუ ინსპექტირების აქტში ფიქსირდება ინსპექტირების პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტების დასკვნებიც, აღნიშნული დასკვნები თან ერთვის ინსპექტირების აქტს.

რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს ბარდება ინსპექტირების აქტის მეორე ეგზემპლარი.

რეგულირების ობიექტის მხრიდან ინსპექტირების აქტის მიღებაზე (ხელმოწერაზე) უარის თქმის შემთხვევაში ინსპექტირების აქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს წარადგინოს აქტისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები აქტის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერასა და გაცნობაზე უარის თქმის მოტივები.

რეგულირების ობიექტის წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ინსპექტირების აქტის გაცნობაზე ან ხელმოწერაზე უარი არ აჩერებს შემდგომი პროცედურების განხორციელებას.

ინსპექტირების ხასიათიდან, მოცულობიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ინსპექტირების პროცესში განხორციელებული ქმედებების, ინსპექტირების შედეგების, მოპოვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების, მასში მონაწილე პირთა და სხვა საჭირო ინფორმაციის დაფიქსირების მიზნით შესაძლებელია დეპარტამენტის უფლებამოსილმა საჯარო მოსამსახურემ შეადგინოს საველე აქტი, რომელიც შემოწმების დასრულების შემდეგ

აისახება ინსპექტირების შესაბამის აქტში, დაერთვის მას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

საველე აქტი შესაძლებელია შედგეს რეგულირების ობიექტების დათვალიერებისას ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე, როდესაც დამრღვევი უცნობია ან სხვა შემთხვევებში მოპოვებული მტკიცებულების, მასში მონაწილე პირთა და სხვა საჭირო ინფორმაციის დაფიქსირების მიზნით.

ინსპექტირების აქტის გაცნობაზე ან ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ინსპექტირების აქტი ეგზავნება რეგულირების ობიექტს, რის თაობაზეც საქმეში კეთდება სათანადო ჩანაწერი ან გამოიყენება შემდეგი გათვალისწინებული ნორმები:

თუ დეპარტამენტის მიერ ვერ ხერხდება რეგულირების ობიექტისთვის შემოწმების შესახებ სამართლებრივი აქტის, ინსპექტირების აქტის, ადმინისტრაციული მიწერილობის გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით) ან იგი უარს აცხადებს მის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლება მისი განთავსება შესაბამის სამართლებრივ აქტში, ინსპექტირების აქტში ან ადმინისტრაციულ მიწერილობაში მითითებული რეგულირების ობიექტის ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება:

- რეგულირების ობიექტის საინფორმაციო დაფა;
- რეგულირების ობიექტის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის დროებით ან მუდმივად განთავსებული შენობა;
- რეგულირების ობიექტის ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობე.

(მუხლი 20)

4.2.8. რეგულირების ობიექტების ინსპექტირების შედეგები

ინსპექტირების პროცესში ან ინსპექტირების შედეგების შეჯამებისას რეგულირების ობიექტის საქმიანობაში დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ ოქმის შედგენა. რეგულირების ობიექტის ინსპექტირებისას, როდესაც ზოგიერთი მოთხოვნის შესრულების შემოწმება დაკავშირებულია ლაბორატორიული ანალიზების შედეგებთან ან სხვა ობიექტურ გარემოებებთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ ოქმის შედგენა ხორციელდება საქმის ყველა მასალის გამოკვლევისა და დარღვევების გამოვლენის შემდეგ.

თუ რეგულირების ობიექტის მიერ ჩადენილი ქმედებით ზიანი მიადგა გარემოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება (გამოანგარიშდება) გარემოსათვის მიყენებული ზიანი. გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება (გამოანგარიშდება) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით, დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მიერ.

(მუხლი 21)

4.2.9. რეაგირება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებზე

ინსპექტირების პროცესში დარღვევების გამოვლენისას დადგენილი წესით მიიღება გადაწყვეტილება მათზე რეაგირების ზომების გამოყენების თაობაზე. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებზე რეაგირება ხორციელდება ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლით (გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 ნაწილებისა) გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირს ჩამოერთმევა მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები და თუ მისი/მათი მოპოვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანი არ არის, დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები, უსასყიდლოდ გაანაწილოს სოციალური მიზნებისათვის, ხოლო თუ მოპოვებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტს/ობიექტებს საკვებად უვარგისობის დამადასტურებელი ნიშნები ახასიათებს (შეცვლილი აქვს ჩვეული ფერი ან/და აღენიშნება ჯანსაღი პროდუქციისათვის უჩვეულო, უსიამოვნო სუნი), დაუყოვნებლივ გაანადგუროს იგი/ისინი დამარხვით ან შესაბამის ინსინერატორში დაწვით, „ტექნიკური რეგლამენტის - „ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღებისა და განადგურების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №433 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნული ქვეპუნქტი გულისხმობს მეცხოველეობის პროდუქტების განადგურებას სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავების შემდეგ დაწვითა და ნარჩენების დამარხვით.

ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში, ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები უსასყიდლოდ სოციალური მიზნით შესაძლებელია, განაწილდეს: ხანდაზმულთა თავშესაფრებზე, ობოლ ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებზე, ორგანიზაციებზე, რომლებიც ქველმოქმედების ფარგლებში ახორციელებენ საკვები პროდუქტებით მოქალაქეთა (სოციალურად დაუცველები, ხანდაზმულები, დევნილები, მარტოხელები, მზრუნველობამოკლებულები და ა.შ.) დახმარებას, ასევე ზოოპარკებზე, ცხოველთა თავშესაფრებზე ან სხვა იმგვარ დაწესებულებებზე, რომლებშიც საჩვენებლად ან/და სამეცნიერო მიზნებისათვის თავმოყრილი არიან სხვადასხვა სახის ცხოველთა სამყაროს ობიექტები.

გარდა ამისა, მსგავს შემთხვევებში, ცხოველთა სამყაროს ობიექტის/ობიექტების განადგურების ან უსასყიდლოდ სოციალური მიზნით განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს/იღებენ დეპარტამენტის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქმის სხვა მასალებთან (მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული გარემოსათვის მიყენებული ზიანი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის სახდელთან ერთად რეგულირების ობიექტებისათვის დაკისრების მიზნით) ერთად

დაუყოვნებლივ გადაეცემა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს (ან შესაბამის თანამდებობის პირს), ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, თუ ვერ ხერხდება გარემოსათვის მიყენებული ზიანის ადმინისტრაციულ სახდელთან ერთად დამრღვევი რეგულირების ობიექტებისათვის დაკისრება, დეპარტამენტის მიერ ხორციელდება შესაბამისი სარჩელის მომზადება სასამართლოში წარსადგენად.

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში ინსპექტირების აქტი ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და საქმის სხვა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით, რეგულირების ობიექტების მიმართ მუშავდება ადმინისტრაციული მიწერილობა (დანართი №5). ადმინისტრაციულ მიწერილობას ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი ან დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ან დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს უფროსი. გადაუდებელი აუცილებლობისას, შემოწმების პროცესში ადმინისტრაციულ მიწერილობას ხელს აწერს შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო დათვალიერების განხორციელებისას – დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე. ადმინისტრაციული მიწერილობა წარედგინება (ბარდება) ან ეგზავნება რეგულირების ობიექტს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან გამოიყენება შემდეგი გათვალისწინებული ნორმები:

თუ დეპარტამენტის მიერ ვერ ხერხდება რეგულირების ობიექტისთვის შემოწმების შესახებ ადმინისტრაციული მიწერილობის გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით) ან იგი უარს აცხადებს მის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლება მისი განთავსება შესაბამის ადმინისტრაციულ მიწერილობაში მითითებული რეგულირების ობიექტის ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება:

- რეგულირების ობიექტის საინფორმაციო დაფა;
- რეგულირების ობიექტის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის დროებით ან მუდმივად განთავსებული შენობა;
- რეგულირების ობიექტის ტერიტსამართორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობე.

დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ადმინისტრაციული მიწერილობის შემუშავება და რეგულირების ობიექტებისათვის წარდგენა, რომლის შეუსრულებლობაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად იწვევს რეგულირების ობიექტებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების დაკისრებას, საქმის გარემოებებისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ძირითადად ხორციელდება ჩადენილი დარღვევის თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოცემისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გარდა ინსპექტირების პროცესში წარდგენილი მიწერილობისა.

დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული მიწერილობა შეიძლება გაიცეს რეგულირების ყველა ობიექტის მიმართ.

დეპარტამენტის მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების, გარემოზე ზემოქმედების ნებართვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მფლობელთა მიმართ ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენა ხორციელდება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების, გარემოზე ზემოქმედების ნებართვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შესაბამისი პირობების დაკმაყოფილებისათვის დადგენილი გონივრული ვადის საფუძველზე.

დეპარტამენტის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამოვლენისას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპარტამენტის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას დადგენილი წესით იღებს სამინისტრო.

დეპარტამენტის მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამოვლენისას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დეპარტამენტის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას დადგენილი წესით იღებს შესაბამისი ლიცენზიის გამცემი.

(მუხლი 22)

4.2.10. რეგულირების ობიექტის უფლებები ინსპექტირების პროცესში

რეგულირების ობიექტს უფლება აქვს:

- ინსპექტირების პროცესში დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეს მოსთხოვოს სამსახურებრივი პირადობის მოწმობა, ხოლო შემოწმების ჩატარებისას – დამატებით უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რეგულირების ობიექტის შემოწმების ჩატარების შესახებ (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა);
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გააკეთოს შესაბამისი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. ამ შემთხვევაში ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი;
- ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ქმედება ან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დადგენილი წესით გაასაჩივროს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში;
- ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

(მუხლი 23)

4.2.11. რეგულირების ობიექტის ზოგადი ვალდებულებები

რეგულირების ობიექტი ვალდებულია:

- დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში წარუდგინოს დეპარტამენტს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების ანგარიში;
- ხელი შეუწყოს დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს კანონიერი ქმედებების განხორციელებისას, ამასთან, სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია (იგი პასუხისმგებელია ამ ინფორმაციის ნამდვილობაზე), ასევე აღმოფხვრას გამოვლენილი დარღვევები და შეასრულოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობები;
- თავის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ან მომხდარი ტექნოგენური ავარიის ან ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციის ან მათი საფრთხის არსებობის შესახებ დროულად აცნობოს დეპარტამენტს ან/და სხვა დაინტერესებულ უწყებებს;
- სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დეპარტამენტის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია მისამართის, საწარმოს შემთხვევაში – იურიდიული მისამართის, საქმიანობის ადგილის, საქმიანობის სფეროს, შესაბამისი უფლებამოსილი პირის (ხელმძღვანელის) და კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ;
- შეასრულოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

იმ ლაბორატორიული გაზომვებისა და ანალიზების ჩატარების ხარჯების ანაზღაურება, რომელთა საფუძველზედაც დადასტურდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება დამრღვევ რეგულირების ობიექტს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა).

(მუხლი 24)

4.3. პატრულირება პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით

4.3.1. პატრულირების ფორმები

1. პატრულირება ხორციელდება დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურ(ეებ)ის მიერ, შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე, განსაზღვრული სამოძრაო მიმართულების თანახმად.
2. პატრულირება ხორციელდება ღია, ფარული და შერეული მეთოდით – სპეციალური განმასხვავებელი ნიშნების მქონე ავტომანქანით ან/და მცურავი საშუალებით ან/და ქვეითად.
3. ავტოსატრანსპორტო საშუალებით პატრულირება ხორციელდება ეკიპაჟით, დეპარტამენტის ორი უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის შემადგენლობით, რომელთაგან ერთი ინიშნება ეკიპაჟის უფროსად.

4. ღია მეთოდით პატრულირება ხორციელდება სპეციალური შეფერილობის ავტომანქანით.
5. ფარული მეთოდით პატრულირება ხორციელდება ჩვეულებრივი შეფერილობის ავტომანქანით, რომელთაც არ აქვთ განმასხვავებელი ნიშნები. ამ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას ფარული მეთოდით და არ ატარებს სპეციალურ ტანსაცმელს (უნიფორმას), მას უნდა ჰქონდეს სამსახურებრივი პირადობის მოწმობა.
6. შერეული მეთოდით პატრულირება ხორციელდება ერთდროულად ორი ავტომობილით, რომელთაგან ერთს აქვს სპეციალური შეფერილობა, ხოლო მეორე ჩვეულებრივი შეფერილობისაა.
7. პატრულირება ხორციელდება დღე-ღამის ნებისმიერ დროს, დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ტერიტორიული ორგანოს უფროსის მიერ შედგენილი ყოველდღიური 24-საათიანი გრაფიკის მიხედვით.
8. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს გამართული **აღჭურვილობა:**

- სპეციალური ტანსაცმელი (უნიფორმა)
- სამსახურებრივი პირადობის მოწმობა
- სამსახურებრივ-საშტატო იარაღი (მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში)
- ფიზიკური იძულების სპეციალური საშუალებები და სხვა აღჭურვილობა
- ფოტო და ვიდეოკამერა
- ოქმები, აქტების ბლანკები, ახნა-განმარტების ბლანკები, ავტოკალამი, ფანქარი, სახაზავი, ელ.ფანარი და სხვა საჭირო დოკუმენტები და ნივთები

(მუხლი 26)

4.3.2. პატრულირებისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის უფლება-მოვალეობები

<u>1. დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს რეგულირების ობიექტს (მათ შორის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სამართალდამრღვევ პირს) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები, ხოლო ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;
- თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დანაშაულის ან ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენის შესახებ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში შეამოწმოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთები;
- განახორციელოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

<u>2. დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს, დროებით მიატოვოს სამოძრაო მიმართულება:</u>

- სამსახურის/სამმართველოს უფროსის, უშუალო ხელმძღვანელის მითითებით, იმ შემთხვევაში, როცა სამოძრაო მიმართულების ფარგლებს გარეთ აუცილებელია სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილება ან/და სხვა ეკიპაჟის დახმარება;
- დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის უეცარი ავადმყოფობის დროს;

- ➢ პატრულირებისას არაუმეტეს 2 საათით შესვენების მიზნით, რაც უნდა შეათანხმოს უშუალო ხელმძღვანელთან (შესვენება შესაძლებელია, ასევე განხორციელდეს სამოძრაო მიმართულების მიტოვების გარეშე).

<u>3. დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია:</u>

- ➢ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას რეგულირების ობიექტის, მოქალაქის კანონიერი უფლებები, მოქალაქესთან ურთიერთობისას დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები, მათი უფლებების იძულებითი შეზღუდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარუდგეს მათ, დაასახელოს თავისი თანამდებობა, სახელი, გვარი და განუმარტოს კონკრეტული შეზღუდვის გამოყენების საფუძველი; აცნობოს მოქალაქეს სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით ვიდეო-აუდიო ჩაწერის დაწყების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ➢ მოითხოვოს რეგულირების ობიექტისაგან მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რაც არსობრივად დაკავშირებულია ობიექტურობის დადგენასთან;
- ➢ გ) მოქალაქეთა დოკუმენტების შემოწმებისას დოკუმენტს მოექცეს ფრთხილად და არ გააკეთოს მასში ჩანიშვნები და ჩანაწერები. ხოლო, როდესაც წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩაწყობილია ფული ან ხვა ნივთები, დაუბრუნოს მფლობელს;
- ➢ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მოსალოდნელი ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები მის თავიდან ასაცილებლად ან შესაბამისი რეაგირების ზომების მისაღებად;
- ➢ დააკავოს სატრანსპორტო საშუალება, რომელიც წარმოადგენს გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის იარაღს და მისი მძღოლი;
- ➢ იცოდეს მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები.

(მუხლი 27)

4.3.3. პატრულირების განხორციელებისას სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების ზოგადი მოთხოვნები

<u>1. დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე სატრანსპორტო საშუალებას აჩერებს:</u>

- ➢ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი დარღვევის აღსაკვეთად;
- ➢ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსების მონაცემების შემოწმების მიზნით;
- ➢ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, წარმოშობის ან კანონიერების დოკუმენტებთან ბუნებრივი რესურსების შესაბამისობის დადგენის, მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისა და გამოყენებული იარაღებისა და საშუალებების, ასევე სპეციალური ფირნიშების დათვალიერების მიზნით;
- ➢ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. სატრანსპორტო საშუალების გაჩერება ხდება ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის საშუალებით ან ხელით გამოხატული ჟესტით. დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მოქმედება გასაგები უნდა იყოს მძღოლისათვის, ხოლო გაჩერების მოთხოვნა მიეცეს დროულად, რათა საგზაო მოძრაობის მონაწილეებმა არ მიმართონ იძულებით მანევრირებას და დაბრკოლება არ შეუქმნან სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობას.

3. სატრანსპორტო საშუალების გაჩერებისას სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურის მოთხოვნისთანავე გააჩეროს ავტომანქანა მოძრაობისათვის უსაფრთხო ადგილას, დაუმორჩილებლობა ან უფლება-მოვალეობების განხორციელებაში ხელის შეშლა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სატრანსპორტო საშუალების გაჩერებისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დაუყოვნებლივ მივიდეს მძღოლთან.
5. დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს ოქმის ან სხვა დოკუმენტის შესადგენად, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია შევიდეს დეპარტამენტის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ შენობაში.

(მუხლი 28)

4.3.4. ზოგადი მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობისას

1. დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეებს ეკრძალებათ დეპარტამენტის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების უმეთვალყურეოდ დატოვება, აგრეთვე:
ა) არასამსახურებრივი მიზნებისათვის სატრანსპორტო საშუალებით უცხო პირთა გადაყვანა და მათი ტვირთის გადაზიდვა;
ბ) დაკავებული პირების სატრანსპორტო საშუალებაში უმეთვალყურეოდ დატოვება;
გ) დადგენილი სამუშაო რეჟიმის თვითნებური შეცვლა.
2. დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეებს ეკრძალებათ სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) გამოყენება არასამუშაო დროს.
3. შემოწმებისათვის გაჩერებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მისვლისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილია:

- ➢ სატრანსპორტო საშუალებას მიუახლოვდეს უკანა მხრიდან, მძღოლის კარის მიმართულებით;
- ➢ სატრანსპორტო საშუალებასთან შეჩერდეს ისეთ მანძილზე, რომ არ მიიღოს დაზიანება ან ტრავმა მოძრაობის მოულოდნელი დაწყებისას;
- ➢ მოსთხოვოს მძღოლს ძრავის გამორთვა;
- ➢ შებინდებისას ან ღამით მოსთხოვოს მძღოლს ჩართოს სალონის განათება;
- ➢ მძღოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები გამოართვას მარცხენა ხელით, რათა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუფერხებლად გამოიყენოს სამსახურებრივი საშტატო იარაღი.

(მუხლი 29)

4.3.5. რეაგირება დარღვევის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე

1. დეპარტამენტის უფლებამოსილმა საჯარო მოსამსახურემ დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე შეძლებისდაგვარად უნდა გამოარკვიოს:

- ➢ შემტყობინებლის ვინაობა;

- ➢ დარღვევის ნიშნები;
- ➢ დარღვევის ჩამდენი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, მისი (მათი) გარეგნული ნიშნები;
- ➢ დარღვევის თვითმხილველები, აგრეთვე ის გარემოებები, რომლებიც მათთვის არის ცნობილი;
- ➢ სხვა საჭირო ინფორმაცია.

2. დამრღვევი პირის სატრანსპორტო საშუალებით გაქცევის დროს დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს მოძრაობის უსაფრთხოების დაცვით განახორციელოს დევნა მის დასაკავებლად; მისი გამოდევნებისას დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომელი ასევე ვალდებულია:

- ➢ შეატყობინოს უშუალო უფროსს სამართალდამრღვევი პირის გაქცევის, მისი გამოდევნების, მისი ადგილმდებარეობისა და მოძრაობის მიმართულების შესახებ;
- ➢ ჩართოს ხმოვანი სიგნალები, საჭიროების შემთხვევაში გააფრთხილოს მოძრაობის სხვა მონაწილეები, იყვნენ ყურადღებით და დაიცვან მოძრაობის უსაფრთხოების წესები;
- ➢ ასევე საჭიროების მიზნით დახმარებისთვის მიმართოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

3. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი დარღვევის ფაქტის გამოვლენისას დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:

- ➢ მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები დარღვევის აღსაკვეთად;
- ➢ დარღვევის ჩამდენი პირის გაქცევისას მოაწყოს დევნა მის დასაკავებლად;
- ➢ დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შესახებ შეატყობინოს უშუალო უფროსს და აცნობოს მის მიერ მიღებული ცნობების, გატარებული ზომების და მათი შედეგების შესახებ;
- ➢ დაადგინოს დარღვევის თვითმხილველები;
- ➢ ჩაატაროს მოქმედებები მტკიცებულებების დაცვის ან/და ჩამორთმევის (ან ამოღების) მიზნით;
- ➢ საჭიროების შემთხვევაში გააკეთოს ჩანაწერი, მათ შორის, ფოტოები და ვიდეოჩანაწერი იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც შეიძლება დროის განმავლობაში შეიცვალოს ან გაქრეს;
- ➢ დამრღვევი პირის სატრანსპორტო საშუალებით შემთხვევის ადგილიდან მიმალვის შემთხვევაში არკვევს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სავარაუდო მიმართულებას, მის მარკას, ტიპს, სანომრე ნიშანს, ტვირთის სახეობას, სხვა განსაკუთრებულ ნიშნებს. დარღვევის ადგილიდან მიმალული სატრანსპორტო საშუალებისა და მძღოლის შესახებ თვითმხილველებისგან მიღებულ მონაცემებს დახმარების მიზნით დაუყოვნებლივ გადასცემს დეპარტამენტის სხვა უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს, ასევე დახმარების მიზნით მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით და ამავე კოდექსით დადგენილ ფარგლებში დეპარტამენტის უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს განახორციელოს პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, რასთან

დაკავშირებითაც დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის მიერ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხდება ამ წესის **დანართი №6-ით და დანართი №7-ით** გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების შედგენა.

შენიშვნა:

<u>ადმინისტრაციული დაკავების ვადები</u>

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს.
2. პირი, რომლის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არასამუშაო დროს ემთხვევა, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე. აღნიშნულ შემთხვევაში პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 247)

5. დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე პატრულირების დამთავრების შემდეგ აღმოჩენილი დარღვევების შესახებ აცნობებს უშუალო ან ზემდგომ უფროსს.

6. დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე იყენებს კავშირის სპეციალურ საშუალებებს, სამსახურის შესრულების მართვისა და მათ შორის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად. კავშირის არხებით ინფორმაციის გადაცემა და ფუნქციონირება ხორციელდება სამსახურის/სამმართველოს უფროსის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით და განისაზღვრება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. იკრძალება კავშირის გამოყენება იმ მიზნით, რომელიც არ არის დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

(მუხლი 30)

4.3.6. ღამის საათებში პატრულირების განხორციელების ზოგადი მოთხოვნები

დეპარტამენტის უფლებამოსილმა საჯარო მოსამსახურემ:

- ➢ ღამის საათებში სატრანსპორტო საშუალებათა გასაჩერებლად უნდა გამოიყენოს სავალი ნაწილის შედარებით განათებული უბანი, თუ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს, გამოიყენება დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალების სანათები;
- ➢ სატრანსპორტო საშუალების გაჩერების დროს აუცილებლად უნდა ჩართოს სპეციალური სანათი მოწყობილობა.

(მუხლი 31)

4.4. დანართები

<u>დანართი №1</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ობიექტის, დანადგარის, აგრეგატისა ან/და მოწყობილობის
დალუქვის შესახებ
ოქმი №000000

_____ _____
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
_____

_____
(უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურ(ეებ)ის თანამდებობა, სახელი, გვარი)

_____

_____

განვახორციელე _____
(დალუქული ობიექტის, დანადგარის, აგრეგატისა ან/და მოწყობილობის დასახელება)

_____

_____ დალუქვა,

რომლის მეპატრონე/მფლობელია _____

_____ (რეგულირების ობიექტის დასახელება,
საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში –

_____ პირადი ნომერი, ფაქტობრივი
ან/და სარეგისტრაციო მისამართი)
_____

ლუქის № _____

დალუქული ობიექტის, დანადგარის, აგრეგატისა ან/და მოწყობილობის ადგილმდებარეობა

_____

_____

ლუქის მთლიანობაზე პასუხისმგებელია _____

_____

(ობიექტის ხელმღვანელის/წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში –

_____

სახელი, გვარი პირადი ნომერი)

_____

შენიშვნა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84[1] მუხლის თანახმად „გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება − გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, − გამოიწვევს დაჯარიმებას 3500 ლარის ოდენობით“.

_____

ობიექტის, დანადგარის, აგრეგატისა ან/და მოწყობილობის მეპატრონე/მფლობელის ან/და მისი წარმომადგენლის ხელმოწერა

_____

ოქმის შემდგენის ხელმოწერა

<u>დანართი №2</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

მ ო თ ხ ო ვ ნ ა

ინსპექტირების პროცესში დოკუმენტების გამოთხოვისა და დარღვევათა აღმოსაფხვრელი სავალდებულო ღონისძიებების გატარების შესახებ

„_____“_____20____წ. _____

(შედგენის ადგილი)

მოთხოვნის გაცემის საფუძველი:_____

_____

(ობიექტის საქმიანობის ადგილზე დათვალიერება ან შემოწმება. შემოწმების შემთხვევაში

_____

მიეთითება შესაბამისი ბრძანების სრული რეკვიზიტები)

_____

ობიექტი:

_____ (ფიზიკური

პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაქტობრივი ან/და სარეგისტრაციო მისამართი,

_____

იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული

_____

მისამართი)

_____

მოთხოვნის შინაარსი:_____

(ჩამონათვალი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____
_____
_____

პასუხისმგებლობა მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და 4[1] ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, შემოწმების პროცესში შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოთხოვნის უგულებელყოფა) – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“ ხოლო ამ მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად „ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“

მოთხოვნის გამცემი: _____
(დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურ(ეებ)ის თანამდებობა, სახელი, გვარი)

_____

ხელმოწერა: _____

მოთხოვნის მიმღები: _____
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი)

_____

ხელმოწერა: _____

<u>დანართი №3</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
დათვალიერების შესახებ
ინსპექტირების აქტი №000000

_____ _____
(აქტის შედგენის ადგილი) (თარიღი)

_____
(რეგულირების ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი,

_____
ობიექტის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის, ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი,

_____
მისამართი, რეგულირების ობიექტის წარმომადგენლობის დამადასტურებელი რეკვიზიტები)

_____
_____

დათვალიერება განახორციელა _____
(დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურ(ეებ)ის თანამდებობა, სახელი, გვარი)

_____
_____
_____

მონაწილეობა მიიღეს _____
(დათვალიერებაში მონაწილეთა გვარი, სახელი, თანამდებობა – მისი არსებობისას)

_____

_____

რეგულირების ობიექტის საქმიანობის ძირითადი მონაცემები _____

_____
(როდიდან მოქმედებს, რა ნედლეულს იყენებს, რა პროდუქციას აწარმოებს, საპროექტო

_____
და ფაქტობრივი სიმძლავრე და ა.შ.)

_____
_____
_____
_____
_____

მოპოვებული ინფორმაცია ან/და გამოვლენილი დარღვევები _____

_____

(რა ინფორმაცია იქნა მოპოვებული დათვალიერების განხორციელებისას, ხოლო დარღვევათა გამოვლენის შემთხვევაში –

_____

სრული ჩამონათვალი)

_____

_____

რეგულირების ობიექტის (პასუხისმგებელი პირის) ახსნა-განმარტება _____

_____

_____

_____

_____

აქტს თან ერთვის დანართი: _____

_____ _____

(ობიექტის წარმომადგენლის ხელმოწერა) (აქტის შემდგენლის ხელმოწერა)

მონაწილეთა ხელმოწერა:

_____ _____

_____ _____

_____ _____

<u>დანართი №6</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ო ქ მ ი

ადმინისტრაციული დაკავების შესახებ

_____

შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

_____

შედგენის ადგილი

1. _____

დაკავების ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის, 246-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შევადგინე აღნიშნული ოქმი და დაკავებულს განუმარტე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

2. _____

დამკავებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი

3. დაკავებული პირის სქესი: მამრობითი o მდედრობითი o

4. დაკავებული პირი:

_____

მონაცემები დაკავებული პირის შესახებ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი.

_____
_____
_____

დაკავებული პირის ვიზუალური აღწერა/ჩაცმულობა

5. დაკავების დრო და საფუძველი (მოტივი):

_____
_____
_____
_____

6. დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში (ხომ არ აღენიშნება რაიმე ფიზიკური დაზიანება)_____
_____

7. დაკავებულს ჩაუტარდა პირადი ან ნივთების გასინჯვა _____
_____ მიერ

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა

8. _____
_____

გასინჯვისას დამსწრე პირები (სახელი, გვარი, მამის სახელი)

9. დაკავების, პირადი ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილ და ჩამორთმეულ იქნა (სახეობა, რაოდენობა, მდგომარეობა ან სხვა მახასიათებლების მითითებით):

_____
_____

10. იმ ორგანოს პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელშიც წარდგენილ იქნა დაკავებული პირი:

_____

თანამდებობა, სახელი და გვარი

11. დაკავებული პირი _____

ხელმოწერა

12. დამკავებული პირი _____

ხელმოწერა

13. ოქმის შემდგენელი _____

ხელმოწერა

14. ოქმის ასლი ჩაბარდა _____

ხელმოწერა

15. შენიშვნა _____

<u>დანართი №7</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ა ქ ტ ი

ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის გათავისუფლების შესახებ

_____
გათავისუფლების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

_____
შედგენის ადგილი

1. _____
გათავისუფლების აქტის შემდგენლის თანამდებობა, სახელი გვარი

2. დაკავებული პირი:
_____
მონაცემები დაკავებული პირის შესახებ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი.

3. გათავისუფლების დრო და საფუძველი (მოტივი):
_____
_____
_____
_____

4. გათავისუფლებულის ფიზიკური მდგომარეობა გათავისუფლების მომენტში (ხომ არ აღენიშნება რაიმე ფიზიკური დაზიანება) _____
_____

5. გათავისუფლებული პირი _____
ხელმოწერა

6. უფლებამოსილი პირი _____
ხელმოწერა

7. შენიშვნა _____

8. აქტის ასლი ჩაბარდა _____

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ა ქ ტ ი

სატრანსპორტო, მათ შორის მცურავი საშუალების
დათვალიერების შესახებ

_____ _____
(აქტის შედგენის ადგილი) (აქტის შედგენის თარიღი)

_____
(სატრანსპორტო, მათ შორის მცურავი, საშუალების დასახელება)

_____
(სატრანსპორტო, მათ შორის მცურავ საშუალებაზე არსებული პასუხისმგებელი პირის მონაცემები)

_____

დათვალიერება განახორციელა _____
(დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის გვარი, სახელი,

_____
თანამდებობა)

_____

_____

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს _____
(გვარი, სახელი, თანამდებობა – მისი არსებობის შემთხვევაში)

_____

_____

დათვალიერებისას მოპოვებული ინფორმაცია და განხორციელებული ქმედებები _____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____
(დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო)

_____ _____
(პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) (აქტის შემდგენლის ხელმოწერა)

მონაწილეთა ხელმოწერა:

_____ _____

_____ _____

_____ _____

5. ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა

ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა - წარმოადგენს ტყითსარგებლობის ერთ-ერთ სახეს და ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს პირადი მოხმარების მიზნით.
ლიცენზირებას ექვემდებარება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩის და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობა.
სხვა არამერქნული რესურსით სარგებლობა ლიცენზირებას არ ექვემდებარება, შესაბამისად, მათი სამეწარმეო მიზნით სარგებლობა აკრძალულია.

5.1. სოჭის გირჩის მოპოვება

სოჭის გირჩის მოპოვებაზე ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოჭის გირჩის, მოპოვება ხდება კომერციული მიზნით ექსპორტისათვის.
ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩის მოპოვება არ საჭიროებს სარგებლობის ლიცენზიას იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტიორი პირის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული სოჭის გირჩის საექსპორტო რაოდენობა არ აღემატება 5 კგ-ს.
ლიცენზიების მფლობელებს მიენიჭათ უფლებამოსილება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელონ 2009 წლის სეზონისათვის მათთვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.
კომერციული მიზნით სოჭის გირჩის მოპოვების შემდგომ ხდება გირჩიდან თესლის მიღება და მისი ექსპორტი.

<u>**სალიცენზიო პირობები:**</u>

- სოჭის გირჩის მოპოვება აწარმოოს სატყეო სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ სათესლე ნაკვეთის მასზედ დამაგრებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ
- უზრუნველყოს მასზედ დამაგრებული სათესლე ნაკვეთის ფიზიკური დაცვა
- სოჭის გირჩის დამზადება აწარმოოს მხოლოდ სათესლე ნაკვეთზე დამზადებისათვის განსაზღვრულ ვადებში (სექტემბერ-ოქტომბერი); ხოლო დამზადებული სოჭის გირჩის დამზადების ადგილიდან ტრანსპორტირება განახორციელოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე პირმა
- ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, რომელშიც ასახული იქნება სოჭის გირჩის დამზადების ადგილმდებარეობა, სატყეო, კვარტალი, სატაქსაციო უბანი, რაოდენობა, კგ.
- უზრუნველყოს კრეფის დროს ხეების დაზიანებისაგან დაცვა
- ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ წარადგინოს 1 აპრილიდან 1 მაისამდე

5.2. სარგებლობის პროცესში გამოვლენილი ძირითადი დარღვევა-ნაკლოვანებები

ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისას შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი დარღვევები:

- ხის წვეროების დაზიანება, ხის კენწეროების გადაჭრა
- ტყის დაბინძურება და ზოგ შემთხვევებში ტყეში დარჩენითა და ღამის თევის დროს ხანძარსაშიში კერების შექმნა
- ხის ღეროების წერტილოვანი დაზიანებები, მათზე ასასვლელად ელექტრობოძებზე ასასვლელი (მოსაჭიდი) რკინების ე.წ. „კოქტების“ გამოყენების გამო
- ცნობის გაცემა, ვერ ხერხდება, რის გამოც შეუძლებელია დადგენილი იქნეს თუ რომელ კვარტალში არის მოპოვებული სოჭის გირჩა
- არ ხდება ხე-მცენარეების მსხმოიარობის განსაზღვრა ყოველწლიურად, რის შედეგადაც უნდა მოხდეს კვოტის განსაზღვრა

5.3. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) კონვენციის მოკლე მიმოხილვა

- კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES)

  კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES) არეგულირებს ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით და მათი ნაწილებით ანუ დერივატებით ვაჭრობას.
  *კონვენციას ხელი მოეწერა 1973 წლის 1 ივლისს, ხოლო **საქართველო შეუერთდა 1996 წელს.***
  დღეის მდგომარეობით, საქართველოდან ექსპორტის მიზნით დარეგულირებულია მხოლოდ აღნიშნული კონვენციით დაცული ორი სახეობის - თეთრყვავილას ბოლქვებისა და ყოჩივარდას გორგლების - ექსპორტი. სხვა სახეობის ექსპორტი ამ ეტაპზე ვერ განხორციელდება, ვინაიდან ლიცენზიის ფორმა არ ითვალისწინებს აღნიშნულს.

კონვენცია მოიცავს დანართებს, რომელშიც შეტანილია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები.

დანართი I - მოიცავს სახეობებს, რომლებითაც ვაჭრობა საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას მათ არსებობას.

ამ სახეობებითა და ნიმუშებით ვაჭრობა განსაკუთრებით მკაცრად რეგულირდება და ნებადართულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

დანართი I-ის სახეობების იმპორტის შემთხვევაში იმპორტიორს უნდა ჰქონდეს ნებართვა, როგორც შესაბამისი ქვეყნისგან, ისე საქართველოს გარემოსა დაცვის სამინისტროსაგან.

დანართი II - მოიცავს სახეობებს, რომელთაც ამჟამად არ ემუქრებათ გადაშენების საფრთხე, მაგრამ შესაძლებელია აღმოჩნდნენ ამგვარი საშიშროების წინაშე, თუ ვაჭრობა ამ სახეობებით და მათი ნიმუშებით მკაცრად არ იქნება დარეგულირებული.

დანართი III - მოიცავს ყველა სახეობას, რომელიც კონვენციის ნებისმიერი მხარის განსაზღვრით ექვემდებარება რეგულირებას ექსპლუატაციის შეზღუდვის ან აცილების მიზნით მისი იურისდიქციის ფარგლებში და რომელთა მიმართ აუცილებელია სხვა მხარეთა

თანამშრომლობა ვაჭრობაზე კონტროლის განსახორციელებლად.

<u>ლიცენზია</u>

„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია“

<u>ნებართვა</u>

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა“

5.4. საბაჟო სამსახურების ვალდებულება

<u>საბაჟო სამსახურის ვალდებულება:</u>

- შესაბამისი ნებართვის, ან სერტიფიკატის გარეშე არ მიიღონ და არ გაატარონ აღნიშნული კონვენციის დანართებში შეტანილი ფაუნისა და ფლორის სახეობების ნიმუშები - ცოცხალი ან მკვდარი, მათი სხეულის ნაწილები და დერივატები, აგრეთვე ცხოველქმედების პროდუქტები.

<u>იმპორტიორ-ექსპორტიორის ვალდებულება:</u>

- II და III დანართების სახეობების შემთხვევაში იმპორტიორი ვალდებულია წარმოადგინოს იმ ქვეყნის შესაბამისი სამსახურის ნებართვა, საიდანაც ხდება ნიმუშის შემოტანა.
- I, II და III დანართების სახეობების საქართველოდან ექპორტის ან რეექსპორტის შემთხვევაში, ექსპორტიორს უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა, ან სერტიფიკატი;

<u>კომერციული მიზნით ექსპორტის უფლება აქვთ მეწარმეებს:</u>

- რომელთაც აქვთ შესაბამისი სარგებლობის ლიცენზია და ამის საფუძველზე აქვთ მოპოვებული თეთრყვავილას ბოქლვები ან/და ყოჩივარდას გორგლები - როგორც ველური გარემოდან, ასევე კერძო საკუთრების ნაკვეთებიდან;
- რომელთაც აქვთ დარეგისტრირებული კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები და მხოლოდ ამის საფუძველზე იღებენ ექსპორტის ნებართვას გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე;

<u>სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს</u>

- **უფლება აქვს:**
  თეთრყვავილას ბოლქვები მოიპოვოს როგორც ველური ბუნებიდან ასევე კერძო საკუთრების ნაკვეთებიდან.
  ველურად მზარდი თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვება ხდება - ტყის ფონდში, სასოფლო - სამეურნეო სავარგულებში და სხვა ტერიტორიებზე.
- **რესურსის მოპოვების შემდგომ:**
  ლიცენზიის მფლობელი ახდენს მის დამუშავებას, დახარისხებას, საექსპორტო

კონდიციამდე მიყვანას, იღებს შესაბამის ნებართვას გარემოს დაცვის სამინისტროსაგან და ახორციელებს ექსპორტს.

ველური გარემოდან მოპოვებული რესურსის კოდი აღინიშნება ნებართვაში როგორც **W** (Wild).

<u>**კერძო საკუთრების ნაკვეთებში თეთრყვავილსა ბოლქვებისა და ყოჩივარდას გორგლების მოპოვებისათვის დადგენილი მოთხოვნები:**</u>

- **ვალდებულია:**
  კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთების მფლობელები ვალდებულნი არიან დაარეგისტრირონ ეს ნაკვეთები, აიღონ გარემოს ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნა თეთრყვავილას ბოლქვების საერთო რაოდენობის შესახებ; ასევე დასკვნა, მასზედ რომ რესურსი ნამდვილად მოპოვებულია მათი კუთვნილი ნაკვეთიდან და ამის საფუძველზე აიღონ ექსპორტის ნებართვა.
- **რესურსის მოპოვების შემდგომ:**
  მეწარმე ახდენს მის დამუშავებას, დახარისხებას, საექსპორტო კონდიციამდე მიყვანას, იღებს შესაბამის ნებართვას გარემოს დაცვის სამინისტროსაგან და ახორციელებს ექსპორტს.

<u>**კომერციული მიზნით ექსპორტი**</u>

<u>**ექსპორტიორი ვალდებულია, იქონიოს:**</u>

- თავის სახელზე გაცემული ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია

<u>**თუ ექსპორტს ახორციელებს არალიცენზიანტი, ვალდებულია იქონიოს:**</u>

- ლიცენზიანტთან გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება
- ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის“ ასლი.

<u>**კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ შესაბამის ჯარიმას:**</u>

- ტყითსარგებლობის წესებისა და მოთხოვნების დარღვევაზე, მათ შორის, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების, სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის, კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევაზე გათვალისწინებულია **საჯარიმო თანხა - 50-დან 150 ლარამდე** ***(მუხლი 65).***
- ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა ***(მუხლი 66[2]).***
- უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით, გარეულ ცხოველთა დერივატებით და მათგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა ***(მუხლი 85[4]).***

6. საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობისათვის დადგენილი მოთხოვნები

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის იანვრის N46-ე დადგენილება: „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.“

  აღნიშნულ რეგლამენტით რეგულირდება საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის/ხე-მცენარის მოძრაობის, მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირებისა და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის (დანართი1) შევსების, გაცემისა და გამოყენების წესები. მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) მფლობელი მეწარმის მიერ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოძრაობის აღრიცხვა სისტემატიზაციისა და ანგარიშგების წესები. დგინდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და ფირნიშების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები, სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტის, გაცემის და წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობები, მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტი, სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების, გადამუშავებისა და სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის გატანის ზოგადი მოთხოვნები

6.1. ხე ტყის წარმოშობის დოკუმენტი

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის გადაადგილებისათვის აუცილებელი მოთხოვნაა ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია დადგენილების II თავის III მუხლში, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტის ფორმას, გაცემისა და შევსების წესებსა და გაცემაზე პასუხისმგებელ ორგანოს. დადგენილების თანახმად, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ხე-მცენარის ტრანსპორტირება და რომელიც ადასტურებს ხე-ტყის წარმოშობის კანონირებას ***(თავი II, მუხლი 3)***



ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი
№ 0000000000

1. ხე-ტყით მოსარგებლე: _____

_____

2. დოკუმენტის გაცემის საფუძველი: _____

3. მონაცემები (არამარკირებული) ხე-ტყის მოცულობისა და ჯიშის შესახებ:

1	ხე-ტყის ჯიში				
2	ხე-ტყის მოცულობა				

4. მონაცემები მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (შორის) შესახებ:

№	მორების რაოდენობა		1	2	3	4	5	6	7	8
1	ფირნიშის ნომერი									
2	ჯიში									
3	მორების სიგრძე, დიამეტრი ხოლოების მიხედვით	სიგრძე (მ)								
		მსხვილი (სმ)								
		წვრილი (სმ)								
4	მორის მოცულობა									
№	მორების რაოდენობა		1	2	3	4	5	6	7	8
1	ფირნიშის ნომერი									
2	ჯიში									
3	მორების სიგრძე, დიამეტრი ხოლოების მიხედვით	სიგრძე (მ)								
		მსხვილი (სმ)								
		წვრილი (სმ)								
4	მორის მოცულობა									

5. დამზადების ადგილი: _____

_____ **ტყეკვეთის №** _____

6. სატრანსპორტო საშუალება: _____

7. დამამზადებლების ადგილი: _____

8. ხე-ტყის გადამზიდავი პირი: _____

9. დოკუმენტის შევსების დრო და თარიღი: _____ სთ _____ წთ "_____" "_____" 201 __ წ.

10. დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი _____ **გვარი** _____

თანამდებობა _____

ხელმოწერა _____

6.1.1. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსების წესები

დოკუმენტის შევსების წესს ადგენს დადგენილების II თავის III მუხლი. დადგენილების თანახმად, დოკუმენტი ივსება ხე-ტყის დამზადების ადგილზე ან მოთრევის შემთხვევაში დატვირთვის ადგილზე.

(მუხლი 3. პუნქტი 1)

<u>ფორმა ივსება:</u>

- შავი ან ლურჯი საწერი კალმით
- ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადგენილი წესით ივსება აგრეთვე აფხაზურ ენაზე
- შეუვსებელი რეკვიზიტი გადაიხაზება "Z"-ით
- დოკუმენტი უნდა შეივსოს ისე, რომ დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი გარკვევით იკითხებოდეს
- ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი ფორმა იბეჭდება და ივსება 2 ეგზემპლარად

- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში რაიმე შესწორების შეტანა დაუშვებელია
- დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის მიღებისა და გაცემის რეგისტრაცია, ასევე უკან დაბრუნებული, დაზიანებული, გაუქმებული ან / და დაკარგული ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის აღრიცხვა წარმოებს ზონარგაყრილ, დანომრილ, დამოწმებულ და ამ რეგლამენტის №2 და №3 დანართებით დადგენილი ფორმების შესაბამის ჟურნალებსა და ელექტრონულ სისტემაში, დოკუმენტის ფორმის გამცემი ორგანოს მიერ.

დოკუმენტის შევსებისას, აუცილებელია შეივსოს მორის მსხვილი თავის დიამეტრის მონაცემები, თუმცა არასავალდებულოა მორის მოცულობის მითითება. ჯირკის ტრანსპორტირებისას მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში იწერება - 0.

(მუხლი 3)

6.1.2. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების აღრიცხვის წესი

დადგენილების IV მუხლის თანახმად, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტაციის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოებია:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
- აჭარის სატყეო სააგენტო
- ახმეტის მინიციპალიტეტის გამგეობა თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე

მე-4 მუხლით განსაზღვრული ორგანოები გასცემენ ხე ტყის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს სოციალური ჭრების შემთხვევაში.

დადგენილების თანახმად, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტაციის რეგისტრაცია ეროვნული სატყეო სააგენტოს ვალდებულებაა, ხოლო უკან დაბრუნებული, დაზიანებული, გაუქმებული, დაკარგული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმის რეგისტრაცია-გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის.

ხე-ტყის დატვირთვის ან დამზადების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით გათვალისწინებული ხე-ტყე არ უნდა განთავსდეს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებაზე.

თუ არსებობს ხე-ტყის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვის საჭიროება, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-6 რეკვიზიტში სავალდებულოა ორივე სატრანსპორტო საშუალების რეკვიზიტების მითითება.

(მუხლი 4)

6.1.3. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაციის პრინციპი

დადგენილების მიხედვით სპეციალურ წესს ექვემდებარება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაციის პრიციპიც. დოკუმენტის ბეჭდვას უზრუნველყოფს სახელმწიფო

ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანო. დოკუმენტის ბეჭდვისას, ნუმერაცია განისაზღვრება შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

- სააგენტოს მიერ გაცემული ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 1000000000-დან;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გაცემული ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 2000000000-დან;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალი სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 3000000000-დან;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ხე - ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 4000000000-დან;
- ხე-ტყით მოსარგებლის მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ნუმერაცია უნდა იწყებოდეს 5000000000-დან.

(თავი II, მუხლი 3)

6.1.4. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის მიზნობრიობა

<u>ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა მიზნობრიობის შესაბამისად, კერძოდ:</u>

- სოციალური
- კომერციული
- მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში მოპოვებული ხე-მცენარეების
- სპეციალური
- იმპორტირებული
- სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული

<u>დოკუმენტის გაცემისას:</u>

- სავალდებულოა ყველა რეკვიზიტის შევსება გარდა, მე-3-სი. თუ არ ხორციელდება ტრანსპორტირება, მაშინ არ ივსება მე-6, მე-7, მე-8 რეკვიზიტებიც და გადაიხაზებიან Z-ით;
- მე-4 რეკვიზიტში იწერება:
  - ✓ მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ),
  - ✓ წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მ
  - ✓ მოცულობა ($მ^3$)
  - ✓ სახეობის (ჯიშის) მიხედვით,
  - ✓ სპეციალური ფირნიშის ნომრები

- დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება:
  - ✓ სააგენტოში შემოსული დაინტერესებული პირის განცხადების,
  - ✓ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და

- ✓ სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) ნომერი.

- ➢ დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

6.1.5. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ოფისში წარმოდგენისა და ატვირთვის ვადები

სამასალე ხე-ტყისათვის -72 საათი ხოლო საშეშე ხე-ტყეზე 7 დღე.

ფირნიში -ხე-ტყის კანონიერი წარმოშობის დასტურია ასევე სპეციალური ფირნიში, რომლის მიღებისა და გაცემის რეგისტრაცია, ასევე უკან დაბრუნებული, დაზიანებული, გაუქმებული ან / და დაკარგული სპეციალური ფირნიშის აღრიცხვა წარმოებს ზონარგაყრილ, დანომრილ, დამოწმებულ და ამ რეგლამენტის №4 და №5 დანართებით დადგენილი ფორმების შესაბამის ჟურნალებსა და ელექტრონულ სისტემაში მისი გამცემი ორგანოს მიერ.

სპეციალური ფირნიში – ადასტურებს მრგვალი ხე-ტყის (მორის) კანონიერ წარმოშობას და დადგენილი წესით აღირიცხება ელექტრონულ სისტემაში.

არსებობს ასევე **საკონტროლო ფირნიში,** რომელიც სპეციალური ფირნიშის განუყოფელი ნაწილია ის სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების შემდეგ აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით, დადგენილი წესით უნდა იქნეს წარდგენილი **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.**

6.2. სპეციალური ფირნიშების მოქმედებისა და მისი გაუქმების საფუძვლები

სპეციალური ფირნიშის მოქმედების წესების დადგენილებითაა განსაზღვრული.

ფირნიშის მოქმედების ვადა წყდება როდესაც:

- ➢ ფირნიშით მარკირებული მრგვალი ხე-ტყის მორის გადამუშავება ხდება საამქროში
- ➢ თუ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირების შემდგომ, სახერხ საამქროში ხე-ტყის გადამუშავებამდე დარღვეულია მისი მთლიანობა;
- ➢ საკონტროლო ფირნიშის არარსებობისას.

იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყის ტრანსპორტირების დაწყებისას დაზიანდა ან დაიკარგა ფირნიში, ხე-ტყის მფლობელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს დეპარტამენტს, ცხელი ხაზის, ვებ-გვერდის ან წერილობითი განცხადების გამოყენებით.

(მუხლი 12)

6.3. სოციალური ჭრებით მოპოვებული ხე-ტყის მოძრაობის წესები

სოციალურ ჭრას განეკუთვნება კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი, ხე-ტყის არაკომერციული დანიშნულებით ჭრა, კერძოდ:

- მოსახლეობის
- საბიუჯეტო ორგანიზაციის
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის
- (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის)
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა პირების საჭიროებების უზრუნველყოფისათვის.

სოციალური მიზნით ხე-ტყის ჭრის დასადასტურებლად წარდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი) და
- ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი).

სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსებამდე ვალდებულია შეასრულოს შემდეგი მითითებები:

- I ხარისხის ხიდან მიღებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშით, გარდა ამ პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; (I ხარისხის ხიდან მიღებული იმ მერქნული რესურსის 1 მეტრამდე დაკოტრვა, რომლის მარკირებაც არ განხორციელდა ხე-ტყით მოსარგებლის მოთხოვნით;)
- I ხარისხის ხიდან მიღებული იმ მერქნული რესურსის 1 მეტრამდე დაკოტრვა, რომლის მარკირებაც არ განხორციელდა ხე-ტყით მოსარგებლის მოთხოვნით;
- II ხარისხის ხიდან მიღებული მერქნული რესურსის 1 მეტრამდე დაკოტრვა, გარდა ხე-ტყის ცოცხალი გამწევი ძალით მორთრევისა.

<u>ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოითხოვოს:</u>

- ხე-ტყის დამზადების ბილეთი
- ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებელის დამადასტურებელი ქვითარი
- ინფორმაცია ხე-ტყის გადამზიდი ტრანსპორტის და გადამზიდი პირის შესახებ
- შეამოწმოს მერქნული რესურსის რაოდენობის შესაბამისობა ბილეთში ასახულო მონაცემებთან

<u>ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი პირი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დოკუმენტის გაცემაზე, თუ:</u>

- არ არსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი, მათ შორის, გადახდილი თანხა არ შეესაბამება ხე-ტყის დამზადების ბილეთში მითითებულ მოცულობას;
- დარღვეულია ხე-ტყის ათვისების ვადები;
- ხე-ტყის დამზადების ბილეთით გათვალისწინებული და ფაქტობრივად არსებული ხე-ტყის დამზადების ადგილი არ შეესაბამება ერთმანეთს;

- მოპოვებული რესურსის სახეობა (ჯიში) არ შეესაბამება, ხოლო ოდენობა აღემატება ხე-ტყის დამზადების ბილეთში ასახულ მონაცემებს.

(მუხლი 6)

ამ მუხლით *(მუხლი 6)* დადგენილ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადების ან ხე-ტყის დატვირთვის ადგილიდან ტრანსპორტირების დაწყებამდე.

<u>ამასთან, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:</u>

- დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ;
- მე-4 რეკვიზიტში იწერება:
  - ✓ მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ),
  - ✓ წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მ
  - ✓ მოცულობა (მ^3)
  - ✓ სახეობის (ჯიშის) მიხედვით,
  - ✓ სპეციალური ფირნიშის ნომრები
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს, **გარდა მე-7 რეკვიზიტში „დანიშნულების ადგილში“ მისათითებელი ინფორმაციისა, რომლის შევსებაც ხორციელდება ხე-ტყით მოსარგებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.**

დაუშვებელია არასრულად შევსებული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ხე-ტყით მოსარგებლეზე ან გადამზიდავ პირზე გადაცემა.

<u>სოციალური ხე-ტყის ჭრისას აკრძალულია:</u>

- სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ნებისმიერი ფორმით გასხვისება;
- სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირება იმ მუნიციპალიტეტების ჯგუფის ან ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სოციალური ჭრის წესით ხე-ტყის დამზადება, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხე-ტყით უზრუნველყოფისას და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ან ქ. თბილისის ადგილობრივი მოსახლეობისთვის II ხარისხის ხის დამზადების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფი გამოყოფილია ავტონომიური რესპუბლიკის ან შესაბამისი მუნიციპალიტეტების ჯგუფის ან ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ;
- ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემიდან ერთი წლის შემდეგ სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული მარკირებული ხე-ტყის, აგრეთვე სოციალური ჭრის

საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირება. („გ" ქვეპუნქტის მოქმედება ასევე გავრცელდეს ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ ხე-ტყის დამზადების ბილეთებზეც)

(მუხლი 6)

6.4. ლიცენზირებულ ფართობზე მოპოვებული ხე-ტყის მოძრაობის წესები

ხე-ტყის სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვამდე და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსებამდე, ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ სავალდებულოა მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშით, **გარდა ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყისა (მორის) ან წვრილი თავის ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის მქონე ხე-ტყისა.** საჭიროების შემთხვევაში, ლიცენზიანტს ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელს უფლება აქვს, განახორციელოს მეორე ხარისხის ხიდან მიღებული მერქნული რესურსის სპეციალური ფირნიშით მარკირება.

ლიცენზიანტის ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსება ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

- სავალდებულოა ყველა რეკვიზიტის შევსება და დოკუმენტის ხელმოწერა;
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტი ივსება ხე-ტყით მოსარგებლის ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ;
- მე-4 რეკვიზიტში იწერება:
  - ✓ მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ)
  - ✓ წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ),
  - ✓ მოცულობა (მ^3)
  - ✓ სახეობის (ჯიშის) მიხედვით
  - ✓ სპეციალური ფირნიშის ნომრები
- არამარკირებული ხე-ტყის მოცულობა სახეობის (ჯიშის) მიხედვით, აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-3 რეკვიზიტში, მისი არარსებობისას აღნიშნულ რეკვიზიტში დაისმება – Z.

ლიცენზიანტი ან გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი ვალდებულია, თან იქონიოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ხე-ტყის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისას.

(მუხლი 7)

6.5. მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება

სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსის, ასევე მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების, მათ შორის:

- კაკლის
- ბალამწარას
- წაბლისა

- და თუთის სახეობების (გარდა სხვა ხილკენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა), **საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა**

თბილისის შემთხვევაში – ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის კანონიერად წარმოშობის დადასტურების მიზნით, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- **ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების ადგილი** (მისამართი, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით) და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი (ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების შემთხვევაში);
- **მიღებული მორების რაოდენობა,** თითოეული მორის **სახეობა (ჯიში)**, **სიგრძე** (მ), **მორის დიამეტრი** წვრილი ბოლოდან (სმ), ხოლო ხე-მცენარეების (მათ შორის, მწვანე ნარგავების) შემთხვევაში – მათი სახეობა (ჯიში), რაოდენობა.
- **ქ. თბილისის ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების შემთხვევაში, უნდა მიეთითოს დაინტერესებული პირის რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი), მისი არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების (მათ შორის, მწვანე ნარგაობის) სახეობა, მორის დიამეტრი, რომელიც იზომება ფესვის ყელიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე;**
- **ხე-მცენარეების მესაკუთრის მონაცემები** (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი).
- სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსიდან, ასევე მუნიციპალიტეტის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეებიდან, მათ შორის, კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობებიდან (გარდა სხვა ხილკენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა) მიღებული წვრილი თავის ბოლოდან 12 სანტიმეტრზე მეტი დიამეტრისა და ერთ მეტრზე მეტი სიგრძის მერქნული რესურსის ტრანსპორტირების მიზნით, **სავალდებულოა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება.** ამასთან, სახერხ საამქროში შეტანის მიზნისთვის ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემასა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებას ექვემდებარება ხე-მცენარეებიდან (მათ შორის, დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე სხვა ხილკენკროვანი სახეობებიდან) მიღებული ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყე (მორი) და წვრილი თავის ბოლოდან 4 და მეტი სანტიმეტრის დიამეტრის ხე-მცენარე, გარდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსი. ამ შემთხვევებში, დაინტერესებული პირი ვალდებულია, დადგენილი წესით გადაიხადოს სპეციალური ფირნიშებით მარკირებისათვის დადგენილი მომსახურების საფასური და მიმართოს სააგენტოს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს.

- ამ მუხლის *(მუხლი 8)* მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველია მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ადგილწარმოშობის ცნობა (ქ. თბილისის შემთხვევაში – ცნობა ან წერილობითი დოკუმენტი), რომელიც უნდა მოიცავდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება განაცხადის წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი ვალდებულია მოითხოვოს წარმოშობის დოკუმენტში დასაფიქსირებელი მონაცემების ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია მათ შორის, მონაცემები:

- ✓ სატრანსპორტო საშუალების
- ✓ გადამზიდავი პირის და
- ✓ დანიშნულების ადგილის შესახებ

- შეამოწმოს ხე-მცენარეების დამზადების ადგილი, დამზადებული ხე-მცენარეების ოდენობა და სახეობა;
- **განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ ხე-მცენარეების დამზადების ადგილი, სახეობა (ჯიში) და სხვა მონაცემები არ შეესაბამება მათი ადგილწარმოშობის ცნობაში ასახულ მონაცემებს.**

ამ მუხლით *(მუხლი 8)* გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) შესაბამისად.

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

- სავალდებულოა ყველა რეკვიზიტის შევსება, გარდა მე-3-სი. თუ არ ხორციელდება ტრანსპორტირება, მაშინ არ ივსება მე-6, მე-7, მე-8 რეკვიზიტებიც და გადაიხაზებიან Z-ით;
- მე-4 რეკვიზიტში იწერება:
  - ✓ მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ)
  - ✓ წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ),
  - ✓ მოცულობა ($მ^3$)
  - ✓ სახეობის (ჯიშის) მიხედვით
  - ✓ სპეციალური ფირნიშის ნომრები

- დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება:
  - ✓ სააგენტოში შემოსული დაინტერესებული პირის განცხადების
  - ✓ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და
  - ✓ სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) ნომერი. გარდა სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე (რომელიც არ ხვდება სახელმწიფო

ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) მოპოვებული ძირნაყარი მერქნული რესურსისა.

(მუხლი 8)

6.6. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ხე-ტყის ტრანსპორტირებისას აუცილებელია ტრანსპორტირების დაწყებამდე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შევსება და ფირნიშით მარკირება. ფირნიშით მარკირება სავალდებულო არაა ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი და წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სმ დიამეტრის მერქნული რესურსის შემთხვევაში.

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსის განკარგვის შემდეგ, სააგენტოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება განხორციელდება:

- სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი მიმართვის (სადაც მიეთითება მოპოვებული რესურსის მოცულობა სახეობების (ჯიშების) მიხედვით, ასევე მათი განთავსების ადგილი)
- ხე-ტყის მესაკუთრის განცხადების
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) წარდგენის საფუძველზე.

სააგენტოს უფლებამოსილი პირი, ამ მუხლით დადგენილ შემთხვევებში, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას ვალდებულია:

- შეამოწმოს ხე-ტყის ოდენობის შესაბამისობა დოკუმენტში (წერილობით მიმართვაში ან განცხადებაში) ასახულ მონაცემებთან;
- მოითხოვოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამის რეკვიზიტებში მისათითებელი ინფორმაცია;
- **განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ:**
  - ✓ არ არსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი
  - ✓ ან ხე-ტყის სახეობა (ჯიში) ან/და მოცულობა არ შეესაბამება წერილობით მიმართვაში ან განცხადებაში არსებულ მონაცემებს.

დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა ხორციელდება **ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის სრულად შევსების შემდეგ.**

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის რეკვიზიტების შევსება ხორციელდება შემდეგი წესით:

- ამ მუხლის (მუხლი 9) მე-3 პუნქტის საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა:
  - ✓ დოკუმენტის **პირველ რეკვიზიტში** მიეთითება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების **განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს სახელწოდება;**

- ✓ დოკუმენტის **მე-2 რეკვიზიტში** მიეთითება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძვლები (წერილობითი მიმართვის ნომერი, ხოლო არსებობის შემთხვევაში, ასევე შესაბამისი მომსახურების **საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) ნომერი**);

ამ მუხლის მე-4 პუნქტის (*პუნქტი 4: სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსის განკარგვის შემდეგ, სააგენტოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ფირნიშებით მარკირება განხორციელდება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი მიმართვის (სადაც მიეთითება მოპოვებული რესურსის მოცულობა სახეობების (ჯიშების) მიხედვით, ასევე მათი განთავსების ადგილი), ხე-ტყის მესაკუთრის განცხადებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) წარდგენის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, თუ იმავე ხე-ტყეზე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაცემულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი.*) საფუძველზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას:

- ➢ დოკუმენტის პირველ რეკვიზიტში მიეთითება ხე-ტყის მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ➢ დოკუმენტის მე-2 რეკვიზიტში მიეთითება:
  - ✓ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძვლები (წერილობითი მიმართვის,
  - ✓ განცხადებისა და
  - ✓ შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების (ქვითრის) ნომერი);
- ➢ მე-4 რეკვიზიტში იწერება:
  - ✓ მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ),
  - ✓ წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ),
  - ✓ მოცულობა ($მ^3$)
  - ✓ სახეობის (ჯიშის) მიხედვით,
  - ✓ სპეციალური ფირნიშის ნომრები

- ➢ დოკუმენტის შეუვსებელი მე-3 ან მე-4 რეკვიზიტი გადაიხაზება Z-ით.
- ➢ მე-5 რეკვიზიტში მიეთითება დოკუმენტის გაცემის (ხე-ტყის განთავსების) ადგილის მისამართი (თუ ხე-ტყის დამზადების ადგილი უცნობია).

(მუხლი 9)

6.7. საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული ხე-ტყის მოძრაობის რეგულირება

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის იმპორტიორი ვალდებულია შეასრულოს კანონით დადგენილი შემდეგი მოთხოვნები:

- ➢ სახერხ საამქროში შეტანამდე უზრუნველყოს მრგვალი ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება და ხე-ტყის სპეციალური ფირნიშით მარკირება.

- იმპორტიორს ევალება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მისაღებად მიმართოს სააგენტოს და წარუდგინოს იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები და მიაწოდოს ინფორმაცია:
  - ✓ ხე-ტყის შემოტანის თარიღის;
  - ✓ რესურსის მოცულობის (მ3);
  - ✓ დასამარკირებელი მერქნული რესურსის რაოდენობის სახეობების (ჯიშის) მიხედვით
  - ✓ მათი პირველადი დასაწყობების ადგილის შესახებ;
  - ✓ ხე-ტყის იმპორტიორი ვალდებულია ასევე, სააგენტოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისა და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისთვის წარუდგინოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი).

(მუხლი 11, პუნქტი 1; 2)

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემამდე სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირება სპეციალური ფირნიშებით.
ამ მუხლით **(მუხლი11)** გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველია იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.
ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გამცემი, ამ მუხლის პირველ პუნქტში ასახული ინფორმაციის გათვალისწინებით, ვალდებულია:

- შეამოწმოს იმპორტირებული ხე-ტყის ოდენობის შესაბამისობა იმპორტის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში ასახულ მონაცემებთან;
- მოითხოვოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის შესაბამის რეკვიზიტებში მისათითებელი ინფორმაცია;
- მარკირებული მერქნული რესურსის სიგრძე (მ), წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრი (სმ), მოცულობა (მ3) სახეობის (ჯიშის) მიხედვით, ასევე შესაბამისი სპეციალური ფირნიშის ნომრები ასახოს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-4 რეკვიზიტში მოცემულ ცხრილში. ცხრილის შეუვსებელი რეკვიზიტები გადაიხაზება - Z-ით. ამასთან, ამავე რეკვიზიტში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის მითითება სავალდებულო არ არის (გარდა მოსარგებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში), გარდა №13 დანართით დაანგარიშებული მოცულობებისა, ხოლო ჯირკის (ფესვებით) ტრანსპორტირების შემთხვევაში, მსხვილი თავის დიამეტრის გრაფაში მიეთითება ციფრი - 0;
- **განაცხადოს უარი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე, თუ:**
  - ✓ არარსებობს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საფუძველი;
  - ✓ იმპორტირებული ხე-ტყის სახეობა (ჯიში) არ შეესაბამება ან/და ოდენობა აღემატება იმპორტის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში გათვალისწინებულ მონაცემებს;
  - ✓ არ არის წარდგენილი შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი);

ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემისას მე-2 ეგზემპლარი გადაეცემა ხე-ტყის იმპორტიორს, ხოლო პირველი ეგზემპლარი რჩება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირს.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა, რომ იმპორტირებული ხე-ტყის სახეობა (ჯიში) არ შეესაბამება იმპორტის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში გათვალისწინებულ მონაცემებს, მასალები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს შემდგომი რეაგირების მიზნით.
თუ იმპორტიორის მიერ დარღვეულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის აღებისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, იმპორტიორზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტების ფარგლებში, განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, იმპორტირებული ხე-ტყის რეგულირების მიზნით, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და სპეციალური ფირნიშებით მარკირება ხორციელდება აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ, ამ მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი მიმართავს აჭარის სატყეო სააგენტოს.

(მუხლი 11)

7. მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტი (სახერხი საამქრო)

- „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება

  აღნიშნულ რეგლამენტით რეგულირდება საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის/ხე-მცენარის მოძრაობის, მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირებისა და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის (დანართი1) შევსების, გაცემისა და გამოყენების წესები. მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) მფლობელი მეწარმის მიერ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოძრაობის აღრიცხვა სისტემატიზაციისა და ანგარიშგების წესები. დგინდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და ფირნიშების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები, სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს მიერ შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტის, გაცემის და წარმოშობის დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილ პირთა უფლება-მოვალეობები, მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტი, სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების, გადამუშავებისა და სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის გატანის ზოგადი მოთხოვნები

<u>მრგვალი ხე-ტყის (მორის) პარამეტრები</u>

მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება:

- მრგვალი ხე-ტყის (მორის) სიგრძისა და წვრილი თავის დიამეტრის (უქერქოდ) მიხედვით, №12 დანართით განსაზღვრული ცხრილების შესაბამისად.
- ელექტრონულ სისტემაში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება ავტომატურად.

მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა, რომლის სიგრძე ან წვრილი თავის დიამეტრი არ არის გათვალისწინებული №12 დანართში, იანგარიშება მრგვალი ხე-ტყის (მორის) სიგრძისა და შუა წელის დიამეტრის (უქერქოდ) მიხედვით, №13 დანართით განსაზღვრული ფორმულით.

<u>მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობის დასაანგარიშებელი ფორმულა:</u>

$$V = \frac{\pi \times d^2}{4} \times h$$

V - არის მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა, მ^3;

π - არის 3,14 მუდმივი რიცხვი;

d - მრგვალი ხე-ტყის (მორის) შუა წელის დიამეტრი (უქერქოდ), სმ;

h - მრგვალი ხე-ტყის (მორის) სიგრძე, მ.

დასაშვებია ცდომილება:

- მორის სიგრძის გაზომვის დროს **არაუმეტეს 5 სმ**
- ხოლო დიამეტრის (უქერქოდ) გაზომვის დროს - **არაუმეტეს 2 სმ**

7.1. ზოგადი მოთხოვნები

სახერხი საამქრო, მიუხედავად იმისა, ახორციელებს თუ არა მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველად გადამუშავებას, უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტის III თავით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

აკრძალულია სახერხი დანადგარის განთავსება/მონტაჟი და ხე-ტყის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება:

- ✓ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე
- ✓ დაცულ ტერიტორიაზე (გარდა დაცული ლანდშაფტის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა და ბიოსფერული რეზერვატისა)
- ✓ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე
- ✓ მდინარის კალაპოტის, ხევის ან მაგისტრალური სარწყავი არხის კიდიდან ორივე მხარეს – 50 მეტრის ფარგლებში, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში და მე-15 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – 20 მეტრის ფარგლებში
- ✓ ტბებისა და წყალსაცავების წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში
- ✓ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფარგლებში

სავალდებულოა სახერხი საამქროს სახერხი დანადგარის, მრგვალი ხე-ტყის (მორის) და მისი გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ტერიტორიის შემოღობვა არანაკლებ 1,5 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის, ბეტონის, ხის ან სხვა მყარი კონსტრუქციით. **(მუხლი 14,პუნქტი 3)**

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“,**(მდინარის კალაპოტის, ხევის ან მაგისტრალური სარწყავი არხის კიდიდან ორივე მხარეს – 50 მეტრის ფარგლებში, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში და მე-15 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – 20 მეტრის ფარგლებში;)** „ე“ **(ტბებისა და წყალსაცავების წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში)** და „ვ“ **(შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფარგლებში.)** ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი ობიექტებიდან მანძილი იანგარიშება უახლოესი წერტილიდან სახერხი საამქროს სახერხი დანადგარის და ნარჩენების განთავსების ადგილის უახლოეს წერტილამდე.

აკრძალულია ხე-ტყის ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის განთავსება სახერხი საამქროს შემოღობილი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (დატვირთვისა და ჩამოცლის პროცესის მიმდინარეობის გარდა).

სახერხი საამქროს საქმიანობის განსახორციელებლად **სავალდებულოა** სახერხი დანადგარი მთლიანად, ან მისი ნაწილი უძრავად იყოს დამაგრებული საქმიანობის ადგილზე.

7.2. სახერხ საამქროში დაბინძურების თავიდან აცილების მოთხოვნები

სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ქიმიური დამუშავების მიზნით, სახერხი საამქროების ტერიტორიაზე გამოყოფილი სპეციალური მოედნები და ქიმიურ საშუალებათა შესანახი ადგილები ქიმიური საშუალებების ნიადაგსა და გრუნტის წყლებში გაჟონვის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად უნდა აღიჭურვოს:

- ✓ მყარი მონოლითური (წყალგაუმტარი) დამცავი საფარით
- ✓ გამწმენდი სისტემით

ქიმიურ საშუალებათა შესანახი ადგილები უნდა იყოს დაცული და მიუწვდომელი უცხო პირთათვის.

სახერხი საამქროს მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულოა მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შენახვა სახერხი საამქროს ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილას – ბუნკერში, ხოლო ნაგვერდულების განთავსება – სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გაიტანოს ნარჩენები ბუნკერის გადავსებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ სახერხი საამქროს ტერიტორია შემოღობილია რკინა-ბეტონის ან ბეტონის არანაკლებ 2,5 მეტრისა და მეტი სიმაღლის მყარი კონსტრუქციით, სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შენახვა განახორციელოს ბუნკერის გარეშე, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული ქარის მიერ ნარჩენების შემოღობილი ტერიტორიის გარეთ გადატანა, ამასთან, გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი და დასაწყობებული ნარჩენების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ღობის კონსტრუქციის სიმაღლეს.

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ნარჩენების მართვა განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.

(მუხლი 15)

7.3. სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნები

სახერხი საამქროს მფლობელი **ვალდებულია**, მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის) ან/და **მოწყობილობის მონტაჟის დაწყებამდე ელექტრონულად დაარეგისტრიროს სახერხი საამქრო ელექტრონულ სისტემაში, ვებპორტალზე (https://emoe.gov.ge).**

რეგისტრირებულ სახერხ საამქროს ელექტრონულ სისტემაში მინიჭებული აქვს რეგისტრაციის უნიკალური ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და სტატუსი – „მოქმედი“.

ელექტრონულ სისტემაში დაურეგისტრირებელ სახერხ საამქროს ეკრძალება მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება და გადამუშავება.

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, სახერხი საამქროს საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – „ხე-ტყის პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) რეგისტრაციის მოწმობა“ გამოაკრას სახერხ საამქროში, თვალსაჩინო ადგილზე. რეგისტრაციის მოწმობის ამობეჭდვა ხორციელდება ელექტრონული სისტემიდან.

<u>სახერხი საამქროს რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემებია:</u>

- ✓ სახერხი საამქროს ადგილმდებარეობა
- ✓ სახერხი საამქროს მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები
- ✓ სახერხი საამქროს ფუნქციონირებისათვის დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის/ფართის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ✓ სახერხი დანადგარის სიმძლავრე, რაოდენობა, თერმული დამუშავების დანადგარის (მისი არსებობის შემთხვევაში) მონაცემები
- ✓ სახერხი საამქროს, როგორც ელექტროენერგიის მომხმარებლის, სააბონენტო ნომერი (მისი არსებობისას)
- ✓ საიდენტიფიკაციო მონაცემები ხელმძღვანელის ან/და მისი უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ, რომელიც ახორციელებს დადგენილი წესით საკონტროლო ფირნიშების დეპარტამენტში წარდგენას

სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია, სახერხი საამქროს რეგისტრაცია განახორციელოს დამოუკიდებლად ან დეპარტამენტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს მეშვეობით სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით.

სახერხი საამქროს მფლობელს უფლება აქვს, სახერხი საამქროს რეგისტრაციის მიზნით, განცხადებით მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემებისა და დოკუმენტების წარდგენის, ასევე ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სახერხი საამქროს მფლობელის მიერ შევსებული სარეგისტრაციო განაცხადის საფუძველზე

დეპარტამენტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი ახდენს სახერხი საამქროს დარეგისტრირებას.

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, მიმართოს დეპარტამენტს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების მოთხოვნით:

- ✓ მეწარმე სუბიექტის სამართლებრივი ფორმის ცვლილების შემთხვევაში
- ✓ სახერხი საამქროს მფლობელის შეცვლის შემთხვევაში

ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით *(სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, მიმართოს დეპარტამენტს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების მოთხოვნით:ბ) სახერხი საამქროს მფლობელის შეცვლის შემთხვევაში)* გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს ერთობლივი განცხადებით მიმართავენ სახერხი საამქროს ყოფილი და ახალი მფლობელები.
სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ განახორციელოს შესაბამისი ცვლილება ელექტრონულ სისტემაში.
სახერხი საამქროს მფლობელი პასუხს აგებს სარეგისტრაციო მონაცემებისა და შესაბამისი დოკუმენტების სისწორესა და უტყუარობაზე, არასწორი მონაცემების წარდგენისათვის მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
თუ დეპარტამენტი ან მისი ტერიტორიული ორგანო დაადგენს, რომ სახერხი საამქროს რეგისტრაციისას ატვირთული დოკუმენტები არ შეესაბამება ამ რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, სახერხი საამქროს მფლობელს წარედგინება წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინება არსებული ხარვეზის შესახებ და მის გამოსასწორებლად ეძლევა ვადა არაუმეტეს 30 დღისა (ვადის დინება იწყება შესაბამისი შეტყობინების ჩაბარების დღიდან). თუ სახერხი საამქროს მფლობელი დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს შეტყობინებაში მითითებულ ხარვეზს, დეპარტამენტი ან მისი ტერიტორიული ორგანო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გააუქმოს სახერხი საამქროს რეგისტრაცია და განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

(მუხლი 15)

7.4. სახერხი საამქროს რეგისტრაცია და საამქროს ელექტრონული მართვა

ვებგვერდი: https://emoe.gov.ge





<u>სახერხი საამქროს რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემები:</u>

- სახერხი საამქროს ადგილმდებარეობა
- სახერხი საამქროს მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები
- სახერხი საამქროს ფუნქციონირებისათვის დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის/ფართის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სახერხი დანადგარის სიმძლავრე, რაოდენობა, თერმული დამუშავების დანადგარის მონაცემები
- სახერხი საამქროს, როგორც ელექტროენერგიის მომხმარებლის, სააბონენტო ნომერი;
- საიდენტიფიკაციო მონაცემები ხელმძღვანელის, მისი უფლებამოსილი პირის შესახებ, რომელიც ახორციელებს დადგენილი წესით საკონტროლო ფირნიშების დეპარტამენტში წარდგენას.
- ტექნიკური რეგლამენტის ზოგიერთი მოთხოვნები (მაგ.: მდინარის კალაპოტიდან დაშორება, ნარჩენების შენახვის მდგომარეობა, ღობის სიმაღლე და სხვა)

<u>არარეგისტრირებულ საამქროს არ აქვს უფლება მიიღოს და გადაამუშაოს მრგვალი ხე-ტყე (მორი).</u>

7.4.1. სახერხი საამქროს მართვის ელექტრონული სისტემა

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია აწარმოოოს პირადად ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით სახერხი საამქროს მართვის ელექტრონული ჟურნალი.
იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ინტერნეტკავშირი ვებპორტალთან https://emoe.gov.ge და შეუძლებელია ელექტრონული ჟურნალის წარმოება, სახერხი საამქროს ელექტრონული ჟურნალის წარმოების აღდგენამდე ეკრძალება:

- სახერხ საამქროში ხე-ტყის (მორის) მიღება
- ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავება
- სახერხი საამქროდან ხე-ტყის (მორის), ასევე მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტისა და წარმოქმნილი ნარჩენის გატანა
- სახერხი საამქროს მფლობელი პასუხისმგებელია ელექტრონული ჟურნალის წარმოებასა და მასში შეტანილი მონაცემების სისწორეზე

7.4.2. სახერხი საამქროს ელექტრონული მართვა

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია საკუთარი საამქრო დაარეგისტრიროს სახერხი საამქროების მართვის ელექტრონული სისტემაში (https://emoe.gov.ge) და ასახოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ მორის მიღება
- ✓ გადამუშავება
- ✓ პროდუქცია



საამქროს მფლობელი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს დაუყოვნებლივ პირველად რეგისტრაციას და ასახავს მორების მიღებას.





შემდეგ ეტაპზე აღირიცხება უშუალოდ მორები.

ფირნიში	სტატუსი	ჯიში	მსხვილი (სმ)	წვრილი (სმ)	სიგრძე, მ	მოცულობა	მიღების თარიღი
0000003692	შემოწმებული	რცხილა	0,000	4,000	8,000	0,02600	03.04.2015 10:51
0000003694	შემოწმებული	წიფელი	0,000	5,000	8,000	0,03600	03.04.2015 10:51
0000003690	შემოწმებული	წიფელი	0,000	15,000	15,000	5,00000	03.04.2015 10:51
0000003693	შემოწმებული	წიფელი	0,000	5,000	8,000	0,03600	03.04.2015 10:51
0000003691	შეუდომა	ნაძვი	0,000	15,000	15,000	5,00000	03.04.2015 10:51
0000003689	შემოწმებული	წიფელი	0,000	12,000	6,000	0,09300	03.04.2015 10:51

სულ მორი: 6

სულ მოცულობა: 10,19100

მორების აღრიცხვის შემდეგ ჟურნალში კეთდება ჩანაწერი გადამუშავების შესახებ.

გადამუშავება	ფირნიშის ნომერი	მოსარგებლის საიდენტიფიკაციო ნომერი	მოსარგებლის დასახელება	მორების მიღების უნიკალური ნომერი	მორების მიღების თარიღი და დრო	ჯიში	მიღებული მოცულობა	გადამუშავების თარიღი	ფირნიშის შექმნის თარიღი	ჭრის მიზანი
	0000146251	406028114	შპს ველიუ ტრეიდინგ კორპორეიშენ	0000321-2016-24	14.07.2016 14:17	სოჭი	2.57	17.07.2016 12:19	14.07.2016 14:24	არა სოციალური
	0000146249	406028114	შპს ველიუ ტრეიდინგ კორპორეიშენ	0000321-2016-24	14.07.2016 14:17	სოჭი	3.03	17.07.2016 13:49	14.07.2016 14:22	არა სოციალური
	0000146253	406028114	შპს ველიუ ტრეიდინგ კორპორეიშენ	0000321-2016-24	14.07.2016 14:17	სოჭი	3.94	17.07.2016 14:29	14.07.2016 14:25	არა სოციალური
	0000146250	406028114	შპს ველიუ ტრეიდინგ კორპორეიშენ	0000321-2016-24	14.07.2016 14:17	სოჭი	3.75	17.07.2016 20:05	14.07.2016 14:23	არა სოციალური

აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა აქვთ გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებსაც, რომლებსაც შეუძლიათ (**ms.anr.ge)** მოცემული ვებ-გვერდის გამოყენებით სისტემაში შესვლა და ინფორმაციის მიღება შემდეგ საკითხებზე:

- ✓ ხე-ტყის დამზადების ბილეთის ძებნა
- ✓ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ძებნა
- ✓ ხე-ტყით მოსარგებლი ძებნა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით
- ✓ გადამზიდი პირის ძებნა
- ✓ მორის ძებნა სახერხ საამქროში ფირნიშით
- ✓ სახერხ საამქროში აღურიცხავი მორები
- ✓ მორების მიღების რეგისტრაცია
- ✓ მორების გადამუშავება და სხვა

<u>მერქნული რესურსების ელექტრონულ სისტემაზე წვდომა აქვს:</u>

- ✓ ტყის ფონდის მართვის ორგანოებს (Ms.anr.ge)
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (Ms.anr.ge)
- ✓ ლიცენზიანტებს (portal.anr.ge)
- ✓ სახერხი საამქროების მფლობელებს (ms.anr.ge)

<u>შიდა მომხმარებლეს წვდომა აქვთ შემდეგი სახის ინფორმაციაზე:</u>

- ➢ **ტყის რესურსები:**
  - ✓ ტყეკაფის პასპორტი
  - ✓ ხე-ტყის დამზადების ბილეთი
  - ✓ საძიებო სისტემა
- ➢ **მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები**

- **სახერხი საამქრო**
  - ✓ სახერხი საამქრო
  - ✓ სახერხის საამქროს მართვა
  - ✓ მონიტორინგი
  - ✓ საძიებო სისტემა
- **ელექტრონული შეტყობინებები**
- **ანგარიშგება**

<u>ლიცენზიანტებს წვდომა აქვთ:</u>

- **ბუნებრივი რესურსები**
  - ✓ ტყის რესურსი
  - ✓ ტყეკაფი
- **არამარკირებული ხე-ტყის გასხვისება**
  - ✓ სახერხი საამქროს რეგისტრაცია
  - ✓ ელექტრონული შეტყობინებები

<u>სახერხის მფლობელებს წვდომა აქვთ:</u>

- **სახერხი საამქრო**
  - ✓ სახერხი საამქროს მართვა
  - ✓ მორების მიღება
  - ✓ გადამუშავება
  - ✓ მორების გატანა
  - ✓ ანგარიშგება

7.5. სახერხი საამქროს ყოველთვიური ანგარიშგების მოთხოვნები

სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ყოველთვიური ანგარიშგების მიზნით, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით, დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით წარუდგინოს ყოველი თვის პირველი რიცხვიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე საანგარიშო პერიოდში გადამუშავებული ხე-ტყის (მორის) საკონტროლო ფირნიშები. სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია, ასევე განახორციელოს მიმდინარე თვეში გადამუშავებული მორების შესაბამისი ფირნიშების წარმოდგენა.

საკონტროლო ფირნიშები დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს ჰბარდება მიღება-ჩაბარების აქტით და ჩამოიწერება ელექტრონულ სისტემაში. ჩამოწერილი საკონტროლო ფირნიშები ინახება 1 წლის ვადით და შემდგომში დეპარტამენტი უზრუნველყოფს მათ განადგურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით (დაწვის გზით).

7.6. სახერხი საამქროს რეგისტრაციის გაუქმება

სახერხი საამქროს მფლობელი სახერხი ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის) ან/და მოწყობილობის სრული დემონტაჟის შემდგომ უფლებამოსილია მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. სახერხი

საამქროს რეგისტრაცია გაუქმებულად ითვლება ელექტრონული სისტემაში მისთვის სტატუსის – „გაუქმებული“ მინიჭებისთანავე.
სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, განცხადებით მიმართოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიული ორგანოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, თუ:

- შეიცვალა სახერხი საამქროს ადგილმდებარეობა
- განხორციელდა იმ მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაცია, რომლის სახელზეც რეგისტრირებულია სახერხი საამქრო

7.7. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების, გადამუშავებისა და სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის გატანის ზოგადი მოთხოვნები

სახერხ საამქროში გადასამუშავებლად მიიღება მხოლოდ სპეციალური ფირნიშებით მარკირებული მრგვალი ხე-ტყე (მორი). სახერხ საამქროში სათბობად გამოყენების მიზნით, საშეშე მერქანი სავალდებულოა შეტანილ იქნეს დაჩეხილ-დაპობილი სახით.
სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, განახორციელოს მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის მიღების, გადამუშავების, გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის აღრიცხვის, მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის ან/და პირველადი გადამუშავების პროდუქტის, ასევე გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახერხი საამქროდან გატანის პროცესების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც განთავსებულია ვებპორტალზე – https://emoe.gov.ge .
სახერხი საამქროს მფლობელი პასუხისმგებელია ელექტრონული ჟურნალის წარმოებასა და მასში შეტანილი მონაცემების სისწორეზე.
სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაციისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) შესაბამისი მონაცემების დეპარტამენტისთვის წარდგენის საფუძველზე ორ ეტაპად:

- მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების ელექტრონული რეგისტრაცია სავალდებულოა, განხორციელდეს მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი საამქროს ტერიტორიაზე ჩამოტვირთვის დასრულებამდე. აღნიშნულ შემთხვევაში, ელექტრონულ ჟურნალში აისახება შემდეგი მონაცემები – მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების თარიღი და დრო; მრგვალი ხე-ტყის (მორის) მფლობელის, შემომტანი პირისა და სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემები; მიღებული მორების რაოდენობა. აღნიშნული მონაცემების შეტანისა და შენახვის შემდგომ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაცია ითვლება დასრულებულად, ენიჭება მიღების უნიკალური ნომერი და თარიღი. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სააგენტოს მიერ, სპეციალური ჭრით დასამზადებელი მერქნული რესურსის ელექტრონული აუქციონის გარეშე, პირდაპირი წესით განკარგვის (გაცემის) შემთხვევაში, მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირებისას, თუ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტში დანიშნულების ადგილად მითითებულია სახერხი საამქრო, ელექტრონულ ჟურნალში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაცვლად მიეთითება იმ პირის მონაცემები, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი მრგვალი ხე-ტყე (მორი);
- მრგვალი ხე-ტყის (მორის) შესაბამისი მონაცემების დეპარტამენტისთვის ელექტრონულად წარდგენა სავალდებულოა, განხორციელდეს მრგვალი ხე-ტყის

(მორის) მიღების რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, ელექტრონულ ჟურნალში აღირიცხება მიღებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მონაცემები – წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრები (სმ), სიგრძე (მ), სახეობა (ჯიში), სპეციალური ფირნიშის ნომერი. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება ავტომატურად. აღნიშნული მონაცემების სრულად აღრიცხვისა და შენახვის შემდგომ, მონაცემების დეპარტამენტისთვის წარდგენისთანავე, ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხული მორების მონაცემების სისწორე გადამოწმდება ელექტრონულ სისტემაში.

ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ *(სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაციისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) შესაბამისი მონაცემების დეპარტამენტისთვის წარდგენის საფუძველზე ორ ეტაპად:*
ბ) მრგვალი ხე-ტყის (მორის) შესაბამისი მონაცემების დეპარტამენტისთვის ელექტრონულად წარდგენა სავალდებულოა განხორციელდეს მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღების რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, ელექტრონულ ჟურნალში აღირიცხება მიღებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მონაცემები – წვრილი და მსხვილი თავის დიამეტრები (სმ), სიგრძე (მ), სახეობა (ჯიში), სპეციალური ფირნიშის ნომერი. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობა იანგარიშება ავტომატურად. აღნიშნული მონაცემების სრულად აღრიცხვისა და შენახვის შემდგომ, მონაცემების დეპარტამენტისთვის წარდგენისთანავე, ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხული მორების მონაცემების სისწორე გადამოწმდება ელექტრონულ სისტემაში.) ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღრიცხვისას, თუ ელექტრონულ სისტემაში ასახულ მონაცემებსა და ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხულ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მონაცემებს შორის, ასევე ელექტრონულ ჟურნალში მიღებული და აღრიცხული მორების რაოდენობაში დაფიქსირდება შეუსაბამობა, დაუშვებელია აღნიშნული მრგვალი ხე-ტყის (მორის) როგორც გადამუშავება, ისე სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.
სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხ დანადგარზე განთავსებისთანავე ან თერმული დამუშავების დაწყებამდე, სავალდებულოა ხე-ტყის (მორის) სპეციალური ფირნიშიდან საკონტროლო ფირნიშის ამოღება და ელექტრონულ ჟურნალში მიმდინარე დღის 24:00 საათამდე მისი გადამუშავების დაფიქსირება. ამასთან, ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებამდე, სავალდებულოა მიმდინარე დღის განმავლობაში გადამუშავებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკონტროლო ფირნიშები ინახებოდეს გადამუშავების ადგილზე და მოთხოვნისთანავე წარედგინოს დეპარტამენტის უფლებამოსილ პირს.
სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავებისას სავალდებულოა გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტიპისა და მოცულობის შესახებ მონაცემების ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება გადამუშავების დაწყების დღის 24:00 საათამდე, ხოლო პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახით ფანერის (შპონის) მიღების შემთხვევაში – მისი მიღების დღის 24:00 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება მისი გადამუშავების დაწყების დღის 24:00 საათამდე, ხოლო პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახით ფანერის (შპონის) მიღების შემთხვევაში – მისი მიღების დღის 24:00 საათამდე – მონაცემების ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება სავალდებულოა მათი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანამდე.
პირველადი გადამუშავების პროდუქტის ზომის ერთეულად გამოიყენება – „მ³“, ხოლო ფანერის (შპონის) აღრიცხვისას ზომის ერთეულად ასევე უნდა მიეთითოს – „მ²“.

პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანამდე სავალდებულოა, ელექტრონულ ჟურნალში განხორციელდეს პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაცია, რომლის შედეგად გენერირდება ელექტრონული „ცნობა მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ“ (შემდგომში – ელექტრონული ცნობა) (დანართი №14). ამასთან, ცნობის რეკვიზიტებში გამოვლენილი შეცდომის, ასევე პროდუქტის გატანის გაუქმების ან/და გადავადების შემთხვევაში, ელექტრონული ჟურნალის მწარმოებელი პირი უფლებამოსილია, გააუქმოს ელექტრონული ცნობა მისი გენერირებიდან 15 წუთის განმავლობაში.

ელექტრონული ცნობის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახერხი საამქროს მფლობელს, გარდა „დანიშნულების ადგილში“ მისათითებელი ინფორმაციისა, რომლის შევსებაც ხორციელდება ხე-ტყის მფლობელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დაუშვებელია პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა ელექტრონულ სისტემაში პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაციისა და ელექტრონული ცნობის გენერირების გარეშე. მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაციის (ელექტრონული ცნობის გენერაციის) დასრულებისთანავე, აღნიშნული პირველადი გადამუშავების პროდუქტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან. სავალდებულოა გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანის ან სახერხი საამქროს ტერიტორიაზე მისი გამოყენებისას ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრაცია. გატანილი/გამოყენებული ნარჩენის მოცულობის აღრიცხვისას გამოვლენილი უზუსტობის შემთხვევაში, სახერხი საამქროს მფლობელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

სახერხი საამქროს ტერიტორიიდან მრგვალი ხე-ტყის (მორის) გატანამდე სავალდებულოა ელექტრონულ ჟურნალში განხორციელდეს მორის გატანის რეგისტრაცია. გატანის რეგისტრაციის განხორციელებისთანავე, აღნიშნული მრგვალი ხე-ტყე (მორი) დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან. სახერხ საამქროში შეტანილი მრგვალი ხე-ტყის (მორის) სპეციალური ფირნიშის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, სახერხი საამქრო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დეპარტამენტს, ან მის ტერიტორიულ ორგანოს. ამასთან, აკრძალულია ამგვარი მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავება ან გატანა, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, სპეციალური ფირნიშის შეცვლამდე. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს საკონტროლო ფირნიშის შენახვა დეპარტამენტისათვის ან მისი ტერიტორიული ორგანოსთვის დადგენილი წესით გადაცემამდე. საკონტროლო ფირნიში, მოთხოვნის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გონივრულ ვადაში უნდა წარედგინოს დეპარტამენტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილ პირს. მისი დაზიანება ან დაკარგვა სახერხი საამქროს მფლობელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. ელექტრონული ჟურნალის წარმოებასა და მასში არასწორი მონაცემების შეტანისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობა ეკისრება სახერხი საამქროს მფლობელ მეწარმე სუბიექტს.

ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი ზომების განხორციელების შემდეგ პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაცია და ელექტრონული ცნობის გენერირება ხორციელდება დეპარტამენტის მიერ შესაბამისი წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინების წარდგენის საფუძველზე.

(მუხლი 17)

8. ნადირობა

❖ „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის №95 ბრძანება

წინამდებარე დებულება არეგულირებს ცხოველთა სამყაროს ობიექტების (გარდა თევზისა) მოპოვების წესებს, ვადებს და განსაზღვრავს მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალს. ასევე ადგენს ძირითადი ცნებების ჩამონათვალს, ნადირობის საშუალებებსა და წესებს, ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვებისათვის აკრძალულ იარაღს და აგრეთვე იმას, თუ რა ითვლება ნადირობის წესების დარღვევად; ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალს, ნადირობის ვადებს, დღიურ ლიმიტებს, ნადირობის ადგილების მიხედვით.

<u>სად შეიძლება ნადირობა:</u>

- ✓ ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ტერიტორიებზე - სამონადირეო მეურნეობებში, გარდა გადამფრენი ფრინველებისა;
- ✓ სამონადირეო მეურნეობაში ნადირობა დაიშვება სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ან გენერალური ლიცენზიის მფლობელის თანხმობით;
- ✓ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობების გარეთაც.

<u>ნადირობას დაქვემდებარებულ ცხოველთა სახეობები (გარდა გადამფრენი ფრინველებისა):</u>

ძუძუმწოვრები: ნუტრია, კურდღელი, მაჩვი, ტყის კვერნა, ქვის კვერნა, მგელი, ტურა, მელა, ენოტისებური ძაღლი, ტყის კატა, გარეული ღორი, შველი, ენოტი.
ფრინველები: ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი.

<u>ნადირობა აკრძალულია:</u>

ნადირობა, მათ შორის, გადამფრენ ფრინველებზე არ დაიშვება:

- ➢ დაცული ტერიტორიის საზღვრებში, გარდა დაცულ ტერიტორიაზე არსებული სამონადირეო მეურნეობისა
- ➢ სახელმწიფო ნაკრძალების და ეროვნული პარკების გარშემო 500-მეტრიან ზონაში
- ➢ საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში
- ➢ იმ სახეობებზე, რომლებიც არ არიან შეტანილნი „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების“ ჩამონათვალში
- ➢ წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე

<u>აკრძალვები ნადირობისას:</u>

- მცენარეული საფარის დაწვა
- გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა
- ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა ან განადგურება
- ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით – ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით სარეგვავებით (სარეჯგველების)
- ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა
- საწამლავით
- სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით
- ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება
- ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან
- ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით
- ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით
- წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით)
- ღამის ცეცხლის დანთებით
- სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, ხანძარი, დიდი თოვლი და სხვა) დროს დაუძლურებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს
- ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით
- მსხვილი ჩლიქოსნების მოპოვება მცირეკალიბრიანი სანადირო იარაღითა და საფანტით, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ზე ნაკლებია
- მთელი წლის განმავლობაში აკრძალულია ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა (გარდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისა)

<u>ნადირობისათვის დაშვებული სანადირო იარაღი:</u>

- სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (თოფი)
- სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (კარაბინი ან შაშხანა)
- სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღი (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი თოფი)
- სანადირო ცივი და ცივი სასროლი იარაღი
- სანადირო პნევმატური იარაღი

შენიშვნა: ნადირობა მოსაკრებლის გადახდის და სანადირო თოფის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, აგრეთვე აკრძალულ ვადებში, ადგილებში და

აკრძალული ხერხებითა და საშუალებებით ითვლება ნადირობის წესების დარღვევად.

<u>ნადირობისას გაწვრთვილი მტაცებელი ცხოველებისა და ძაღლების გამოყენება:</u>

- მტაცებელი ფრინველების გაწვრთნა დაიშვება ნადირობისათვის დაშვებულ ვადებში და პირი, რომელიც ახორციელებს მტაცებელი ფრინველის წვრთნას, ვალდებულია, თან იქონიოს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი);
- მონადირე ძაღლების წვრთნა (დაგეშვა) დაიშვება მთელი წლის განმავლობაში. პირი, რომელიც ნადირობისათვის აკრძალულ ვადებში, ახორციელებს მონადირე ძაღლის წვრთნას (დაგეშვას), ვალდებულია სანადირო იარაღში იქონიოს მხოლოდ დაუმუხტავი ვაზნები.

<u>ნადირობის წესების დარღვევა:</u>

- ნადირობა მოსაკრებლის გადახდის და სანადირო თოფის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, აგრეთვე აკრძალულ ვადებში, ადგილებში და აკრძალული მეთოდებით, მოწყობილობებით და იარაღით ითვლება ნადირობის წესების დარღვევად;
- ნადირობის წესების დარღვევაზე გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები.

<u>გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის საჭირო დოკუმენტაცია:</u>

- საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

8.1. ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალი, ნადირობის ვადები და დღიური ლიმიტები, ნადირობის ადგილების მიხედვით

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი განსაზღვრულია ყოველი წლის აგვისტოს მესამე შაბათიდან მომდევნო წლის პირველ მარტამდე, ხოლო ცალკეულ სახეობებზე ვადები დგინდება განსხვავებულად.

№	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	ვადები	გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის დღიური ლიმიტები
სახეობები, რომლებზეც ნადირობა ნებადართულია სამონადირეო მეურნეობების გარეთ				
წყალმცურავი ფრინველები, რომლებზეც ნადირობა, მითითებულ ვადებში და დღიური ლიმიტებით ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა				
1	Anser anser	რუხი ბატი	01.11 – 01.03	5 ცალი
2	Anas strepera	რუხი იხვი	01.11 – 01.03	3 ცალი
3	Anas crecca	ჭიკვარა (სტვენია იხვი)	01.11 – 01.03	5 ცალი
4	Anas platyrhynchos	გარეული იხვი	01.11 – 01.03	6 ცალი
5	Anas querquedula	იხვინჯა (ჭახჭახა იხვი)	01.11 – 01.03	3 ცალი
6	Anas clypeata	ფართოცხვირა (განიერნისკარტა) იხვი	01.11 – 01.03	3 ცალი
7	Fulica atra	მელოტა	01.11 – 01.03	6 ცალი
8	Anas acuta	კუდსადგისა (ბოლოსადგისა) იხვი	01.11 – 01.03	3 ცალი
9	Anas penelope	თეთრშუბლა იხვი	01.11 – 01.03	6 ცალი
10	Anser albifrons	დიდი თეთრშუბლა ბატი	01.11 – 01.03	5 ცალი
11	Aythya ferina	წითელთავა ყვინთია	01.11 – 01.03	3 ცალი
12	Aythya fuligula	ქოჩორა ყვინთია	01.11 – 01.03	5 ცალი
წყალმცურავი ფრინველები, რომლებზეც ნადირობა, მითითებულ ვადებში და დღიური ლიმიტებით, ნებადართულია მხოლოდ ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე				
1	Anser anser	რუხი ბატი	10.09 – 31.12	3 ცალი
2	Anas strepera	რუხი იხვი	10.09 – 31.12	2 ცალი
3	Anas crecca	ჭიკვარა (სტვენია იხვი)	10.09 – 31.12	3 ცალი
4	Anas platyrhynchos	გარეული იხვი	10.09 – 31.12	5 ცალი
5	Anas querquedula	იხვინჯა (ჭახჭახა იხვი)	10.09 – 31.12	2 ცალი
6	Anas clypeata	ფართოცხვირა (განიერნისკარტა) იხვი	10.09 – 31.12	2 ცალი
7	Fulica atra	მელოტა	10.09 – 31.12	5 ცალი
8	Anas acuta	კუდსადგისა (ბოლოსადგისა) იხვი	10.09 – 31.12	2 ცალი
9	Anas penelope	თეთრშუბლა იხვი	10.09 – 31.12	3 ცალი
10	Anser albifrons	დიდი თეთრშუბლა ბატი	10.09 – 31.12	3 ცალი
11	Aythya ferina	წითელთავა ყვინთია	10.09 – 31.12	2 ცალი
12	Aythya fuligula	ქოჩორა ყვინთია	10.09 – 31.12	3 ცალი
სხვა ფრინველები				
1	Scolopax rusticola	ტყის ქათამი	15.10 – 01.03	5 ცალი
2	Gallinago gallinago	ჩიბუხა	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	5 ცალი
3	Coturnix coturnix	მწყერი	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	20 ცალი
4	Columba palumbus	ქედანი	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	10 ცალი
5	Columba livia	გარეული მტრედი	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15	10 ცალი

			თებერვლამდე	
6	Columba oenas	გულიო (გვიძინი)	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	10 ცალი
7	Streptopelia turtur	ჩვეულებრივი გვრიტი	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	10 ცალი
8	Crex crex	ღალღა	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	5 ცალი
9	Lymnocryptes minimus	ჩიბუხელა (გარშნეპი)	აგვისტოს მესამე შაბათიდან – 15 თებერვლამდე	5 ცალი

9. თევზჭერა

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილება - „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს თევზების, როგორც ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესებს, ვადებსა და განსაზღვრავს მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, რეგულირების სფეროს, თევზჭერის აკრძალვის ვადებს და ადგილებს, ჭერააკრძალული თევზის სახეობებს, თევზჭერისათვის აკრძალულ იარაღებს, საშუალებებსა და ხერხებს, თევზჭერის სპეციალურ მოთხოვნებს

თევზჭერად ითვლება თევზის, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების მიზნით შესაბამის წყლის ობიექტში (მათ შორის, საქართველოს შავ ზღვაში) თევზსაჭერი ან თევზსარეწი იარაღით, მოწყობილობით ან/და სხვა ხერხებითა და საშუალებებით განხორციელებული ქმედება.

9.1. თევზჭერის სახეები

თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი გამოყოფს თევზჭერის შემდეგ სახეებს:

<u>სამრეწველო თევზჭერა</u> წარმოადგენს სარეწაო მიზნით შავ ზღვაში ნაპირიდან არა უმცირეს სამასი მეტრის დაშორებით თევზის მოპოვებას.

<u>სანაპირო თევზჭერა</u> არის თევზის მოპოვება შავ ზღვაში, ნაპირიდან არაუმეტეს ერთი საზღვაო მილის (1 852 მეტრი) დაშორებით. სანაპირო თევზჭერისას თევზის მოპოვება ნაპირიდან არაუმეტეს 300 მეტრის დაშორების მონაკვეთში შესაძლებელია ნებისმიერი, კანონმდებლობით ნებადართული სარეწი იარაღით, ხოლო 300 მეტრიდან ერთ საზღვაო

მილამდე დაშორების მონაკვეთში - პარაშუტისებრი ბადით ან 300 მეტრამდე სიგრძის სახლართი ტიპის ბადით. სანაპირო თევზჭერა ნებადართულია მხოლოდ 8 მეტრამდე სიგრძის წყლის მცურავი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით ან უამისოდ.

<u>შიდა წყალსატევებში თევზჭერა</u> წარმოადგენს სარეწაო თევზის მოპოვებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ და გამავალ მდინარეებში, ტბებში, წყალსაცავებში, სხვა ბუნებრივ და ხელოვნურ ზედაპირულ წყალსატევებში.

<u>სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა</u> არის არალიცენზირებადი თევზჭერა ყველა სისტემის და დასახელების ხელის ანკესით, სასროლი ბადით, ხოლიხი ბადითა და ჩოგანბადით, ასევე, წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონტების შეგროვება, აკვალანგებისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობების გარეშე.

<u>რეკრეაციული თევზჭერა</u> წარმოადგენს სპორტული თევზჭერის ერთ-ერთ სახეს (მათ შორის საქართველოს ,,წითელ ნუსხაში" შეტანილ კალმახზე), თევზჭერის ობიექტის გარემოდან ამოღების გარეშე.

ასევე არსებობს <u>სამეცნიერო-კვლევით თევზჭერისა</u> და <u>პალიასტომის ტბაზე თევზჭერის</u> სახეები.

(მუხლი 2)

9.2. თევზსაჭერი იარაღები და მათი გამოყენების წესები

9.2.1. თევზსაჭერი იარაღის სახეები

<u>ქისა ბადე</u> – ბადისებური წყალგამწურავი იარაღი, რომელის მეშვეობით ჭერა ემყარება გარკვეული წყლის მოცულობიდან ჰიდრობიონტების მოპოვებას წყალგაწურვის პრინციპით. წარმოადგენს აქტიურ თევზსაჭერ იარაღებს. კონსტრუქციული თავისებურებაა ის, რომ ბადის შეკრება-შეგროვება წარმოებს თევზსარეწ სატრანსპორტო საშუალებაზე ქვემო კიდიდან ,,ქისისებური ფორმით."

<u>მოსასმელი ბადე</u> – ბადისებური წყალგამწურავი სარეწი იარაღი, რომლის მეშვეობით ჭერა ემყარება გარკვეული წყლის მოცულობებიდან ჰიდრობიონტების მოპოვებას წყალგაწურვის პრინციპით. წარმოადგენს აქტიურ თევზსაჭერ იარაღს. კონსტრუქციული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ბადის შეკრება-შეგროვება წარმოებს ზემო და ქვემო კიდეებიდან თანაბრად.

<u>კონუსური ბადეები</u> – აქტიური ბადისებური ან სხვა მასალისაგან დამზადებული თევზსარეწი იარაღები, რომელთაც აქვთ კონუსისებური ფორმა და გამოიყენება თევზსაჭერად სარეწაო გემიდან ვერტიკალური წყალგაწურვის პრინციპით.

<u>სახლართი ბადეები</u> – ბადისებური თევზსარეწი იარაღები, რომელთა მეშვეობით ჭერა ემყარება, თევზის ან სხვა წყლის ჰიდრობიონიტების აგებულებისა და ბიოლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარე, გახლართვის და შებოჭვის პრინციპებს.

<u>თევზმახეები</u> – ბადისებური ან სხვა მასალისაგან კონსტრუირებული სტაციონარული თევზსაჭერი იარაღები, რომელთა ჭერის პრინციპი ემყარება, იარაღის კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, თევზების მასში მოხვედრასა და დაგროვებას. აღჭურვილია

„ძაბრისებური", „კონუსისებური" ან სხვა ტიპის შესასვლელებითა და თევზის სამიგრაციო გზების გადამკეტი და მიმმართველი ბადისებური კედლებით.

<u>**პარაშუტისებრი ბადეები**</u> – აქტიური მოქმედების თევსაჭერი იარაღები, რომლებითაც თევზჭერა ემყარება წყლის სივრცეში ვერტიკალური დაფარვის წყალგაწურვის პრინციპებს.

<u>**ფაცერი (ე.წ. ობობა ბადე)**</u> – სტაციონარული თევზსარეწი იარაღები, რომელთა ჭერის პრინციპი ემყარება გარკვეული მოცულობის ვერტიკალურ წყალგაწურვას ზემო მიმართულებით (სპეციალური ბადის ამწევი მექანიზმით).

<u>**სასროლი ბადე**</u> - სასროლი ბაგირით აღჭურვილი ხელით საჭერი ბადე.

<u>**ჩოგანბადე**</u> - სათანადო ჩარჩოთი აღჭურვილი ხელით საჭერი ბადე.

<u>**ხოლიხი**</u> – მცირე ზომის თევზმახე, რომლის ჭერის პრინციპი ემყარება „ჩიხის" პრინციპს.

<u>**თევზსარეწი ტრალები**</u> – გუდისებური ფორმის აქტიური თევზსარეწი იარაღები, რომელთა ჭერის პრინციპი ემყარება წყლის სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით გაქაჩვით (ბუქსირებით) გარკვეული მოცულობის წყალგაწურვას. თევზჭერის პრინციპითა და კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით ტრალები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, როგორებიცაა:

1) **პელაგიური** – რომელიც შეესაბამება შემდეგ მონაცემებს:

   - ტრალის ბუქსირება ხორციელდება ერთი მცურავი საშუალების მიერ;
   - ტრალის ტომარა უნდა შედგებოდეს 4 ან მეტი პლასტისგან;
   - ტრალს არ უნდა გააჩნდეს სკვერი, გრუნტროპი, ტრალის ტომრის ქვედა პლასტი და შემკრები არ უნდა იყოს აღჭურვილი საფარველით (ფართუკით);
   - ტრალის ქვედა კიდე შესაძლებელია იყოს აღჭურვილი დამატებითი კიდით ან საძირავებით (მაგალითად ლითონის ჯაჭვით), თუმცა ასეთ შემთხვევაში დამატებითი კიდე უნდა იყოს წარმოდგენილი ლითონის ან კომბინირებული ბაგირით, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს მიბმული ტრალის ქვედა კიდესთან და მისი სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს ქვედა კიდის აღჭურვილი (ტრალის ქსოვილით დატვირთული) ნაწილის სიგრძეს. საძირავების საერთო წონა არ უნდა აღემატებოდეს 150 კგ-ს;
   - ტრალის ტომრის წინა ნაწილის (შემკრების გამოკლებით) ნახევარზე მეტი (ტოპენანტზე სიგრძით) უნდა იყოს წარმოდგენილი თოკისა და ბაგირის ელემენტებით შედგენილი ქსოვილით, სადაც თვლის ზომა 79 სმ-ზე მეტია;

2) **წყვილი** – რომელიც შეესაბამება შემდეგ მონაცემებს:

   - ტრალის ბუქსირება ხორციელდება ორი მცურავი საშუალების მიერ ერთდროულად, ისე რომ მარჯვენა საბუქსირე გვარლს ეზიდება ერთი მცურავი საშუალება, ხოლო მარცხენას – მეორე, რითაც უზრუნველყოფილია ტრალის ჰორიზონტალური შლადობა გამბჯენი დაფების გარეშე;
   - ჭერილის ამოღება ხდება ერთ-ერთი მცურავი საშუალების მიერ, რომლის ვალდებულებაცაა სარეწაო ჟურნალის სრულად შევსება და პასუხისმგებელია ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე;
   - ტრალის ტომარა უნდა შედგებოდეს 4 ან მეტი პლასტისგან;

- ტრალს არ უნდა გააჩნდეს გამბჯენი დაფები, სკვერი, გრუნტროპი, ტრალის ტომრის ქვედა პლასტი და შემკრები არ უნდა იყოს აღჭურვილი საფარველით (ფართუკით);

3) **ფსკერული** – რომელიც არაა პელაგიური და წყვილის.

<u>ანკესი</u> – სხვადასხვა სახის პოლიმერული ან ბოჭკოვანი მასალისაგან დამზადებულ გრძივ ძაფზე, დამონტაჟებული ნემსკავებით აღჭურვილი თევზსაჭერი მოწყობილობა (სამანიპულაციო ჯოხით ან მის გარეშე).

<u>ჩასადგმელი იარუსები</u> – სტაციონარული ტიპის სხვადასხვა ზომის ნემსკავებით აღჭურვილი თევზსარეწი იარაღები.

(მუხლი 2)

9.2.2. ბადის თვლის ზომები თევზსაჭერ იარაღებში

ბადის თვლის ზომად მიიჩნევა ბადის თვლის ერთი გვერდის სიგრძე ანუ მანძილი მილიმეტრებში კვანძის შუა წერტილიდან მეზობელი კვანძის შუა წერტილამდე. ბადის თვლის ზომას განსაზღვრავს მისი გაჭიმვის სიგრძე და 11 კვანძს შორის დადგენილი მანძილის 10-ზე გაყოფით, როცა თვლის ზომა 30 მმ-ზე ნაკლებია, 6 კვანძს შორის მანძილის 5-ზე გაყოფით, როცა თვლის ზომა 30 მმ-ზე მეტია.

(მუხლი 2)

ბადის თვლის ზომები თევზსაჭერ იარაღებში განსაზღვრულია შემდეგნაირად:

თევზსაჭერი იარაღები	**თვლის მინიმალური ზომები მმ-ში**	**თვლის მაქსიმალური ზომები მმ-ში**
მოსასმელი ბადე ქაფშიის დასაჭერად	6,5	–
მოსასმელი ბადე სხვა თევზის დასაჭერად	12	–
თევზმახეები	12	–
ქისა ბადე	6,5	–
ტრალი	6,5	–
კონუსური ბადე	12	–
პარაშუტისებრი ბადე	12	–
მოსაყრელი ბადე (ჭილოფით, ე.წ. ლასპორი)	20	–
ფაცერი (ე.წ. ობობა ბადე)	20	–
სახლართი ბადე	18	–
სხვა თევზსარეწი იარაღები	12	–

(დანართი 1)

9.3. თევზჭერის წესები

9.3.1. თევზჭერის აკრძალვის ვადები და ადგილები

თევზჭერა აკრძალულია ყველა სახის თევზჭერისას:

- ელექტროსადგურების მიმყვან და გასავალ არხებში;
- კაშხლებთან და რაბებთან არაუახლოეს 500 მეტრისა;
- კაშხლებთან არსებულ თევზგამტარ (თევზსავალ) არხებში.

სამოყვარულო და სპორტული თევზჭერებისა და სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის გარდა სხვა ყველა სახის თევზჭერა აკრძალულია შემდეგ ადგილებსა და ვადებში:

<u>მთელი წლის განმავლობაში აკრძალულია თევზჭერა:</u>

- საქართველოს საორაგულე და საზუთხე მდინარეებში, კერძოდ: ფსოუ, ხაშუფსა, ბზიფი, მჭიშთა (შავწყალა), ხიფსთა (თეთრწყალა), ააფსთა (ბაკლანოვკა), გუმისთა, კელასური, კოდორი, მოქვი, ღალიძგა, ოქუმი, ერისწყალი, ენგური (ენგურის შავი ზღვის შესართავიდან ჰიდროელექტროსადგურამდე), რიონი (რიონის შავი ზღვის შესართავიდან ჰიდროელექტროსადგურამდე), სუფსა, ნატანები, კინტრიში, ჩაქვისწყალი, ჭოროხი, აჭარისწყალი და მათ შენაკადებსა და განშტოებებში;
- საქართველოს საორაგულე და საზუთხე მდინარეთა შესართავებში და ზღვის შესართავისპირა სივრცეში – შესართავის ირგვლივ 300 მეტრის მანძილზე;
- ზღვის ხუთმილიან სანაპირო ზონაში ქალაქ ფოთიდან ქალაქ ოჩამჩირემდე 60-მეტრიანი იზობათის ფარგლებში, ხოლო ფოთი ანაკლიის უბანზე – 120-მეტრიანი იზობათის ფარგლებში;
- ახლად ან ხელახლად შექმნილ წყალსატევებზე, ასევე შიდა წყალსატევების გამოსაზამთრებელი ღრმულები;
- რიწის ტბაში.
- 1 მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით (01.05 – 31.08) - მტკვარი ყველა შენაკადით - თურქეთის საზღვრიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე, ალაზანზე თავისი შენაკადებით და იორზე, ყველა დანარჩენ შიდა წყალსატევებში (ზოგიერთი მაღალმთიანი ზონის წყალსატევის გარდა, რომლებზედაც სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის მიერ, მიიღება ცალკე გადაწყვეტილება).
- 1 მაისიდან 1 ივლისამდე (01.05 – 01.07) - შავი ზღვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტალურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. ამ პერიოდში შესაძლებელია მხოლოდ მოლუსკების აკვალანგებით ან სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობებით შეგროვება და მოსასმელი ბადით კეფალ-პილენგასის ჭერა.
- 15 აპრილიდან 31 აგვისტოს ჩათვლით (15.04 – 31.08) - თბილისის წყალსაცავზე.
- 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (15.11 – 31.12) - სანტას ტბაზე, ტაბაწყურის ტბაზე, შაორის წყალსაცავში, ფარავნის ტბა (15 მაისიდან 1 აგვისტომდე აკრძალულიაფარავნის ტბაში ველურ კობრზე თევზაობა).
- ხრამის (წალკის) წყალსაცავში – 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე (15.11 – 31.12): სქელშუბლაზე, კობრზე, პელიადზე, ევროპულ რიაპუშკაზე და ლადოგურ სიგეზე; 15 აპრილიდან 15 აგვისტომდე (15.04 – 15.08): მტკვრის წვერაზე, მურწაზე, ხრამულზე,

კავკასიურ ქაშაპზე, მტკვრის ნაფოტაზე და ჭანარზე; (15 აპრილიდან 15 აგვისტომდე კარჩხანას, სქელშუბლას, კობრის, პელიადის, ევროპული რიაპუშკის და ლადოგური სიგის მოპოვება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოსასმელი ბადეებისა და თევზმახეების გამოყენებით, ხოლო აღნიშნულ ბადე / იარაღებში თევზის სხვა სახეობის მოხვედრის შემთხვევაში სავალდებულოა მათი ცოცხალ მდგომარეობაში გარემოში დაბრუნება).

- პალიასტომის ტბასა და ნათხარებში - 1 მაისიდან 16 ივნისამდე (01.05 – 16.06): კეფალი (ლობანი), კეფალი-პილენგასი, ოქროსფერი კეფალი. 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე (01.04 – 01.09): ქარიყლაპია, შემაია, მცირე ვიმბა, კობრი, ღორჯო (მდევარი), მრგვალი ღორჯო, შავი ღორჯო. ხოლო შავი ზღვის ქაშაყზე და ლოქოზე 1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე და 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე.
- გარდა ამისა, აკრძალულია წყვილის ტრალის გამოყენება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ნაპირიდან 1 კმ-ის ფარგლებში.

(მუხლი 4)

9.3.2. ჭერააკრძალული თევზის სახეობები

აკრძალულია თევზის შემდეგი სახეობების ჭერა, რეალიზაცია და შენახვა:

<u>მთელი წლის განმავლობაში:</u>

- ✓ ზუთხისებრთა;
- ✓ ზღვის ძუძუმწოვრების;
- ✓ შავი ზღვის ორაგულის;
- ✓ მდინარის/ტბის კალმახის (საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ კალმახზე რეკრეაციული თევზჭერა აკრძალულია პირველი ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე)
- ✓ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი კიბოსნაირების;
- ✓ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის სხვა სახეობების;

<u>1 მაისიდან 1 ივლისამდე:</u>

- ✓ ქამბალა-კალკანის.

ჭერააკრძალული თევზის სახეობები თევზსაჭერ იარაღებში მოხვედრისას დაუყოვნებლივ ექვემდებარებიან საბინადრო გარემოში გაშვებას.

(მუხლი 5)

ჭერა, რეალიზაცია და შენახვა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა გადარჩენის, განკურნების, პოპულაციის აღდგენისა და სამეცნიერო მიზნებისათვის, რაც ხორციელდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წერილობითი თანხმობით.

(საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ, მუხლი 22, პირველი პუნქტი)

9.3.3. ჭერისათვის დაშვებული თევზის ზომები

<u>**მინიმალური სიგრძე:**</u>

ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალურ სიგრძედ მიიჩნევა უკუდისფარფლოდ, ანუ მანძილი მილიმეტრებში დინგის წვეროდან (დახურული პირის დროს) კუდის ფარფლამდე, ხოლო ქაფშიისათვის მინიმალურ სიგრძედ მიიჩნევა მანძილი მილიმეტრებში დინგის წვეროდან (დახურული პირის დროს) კუდის ფარფლის ჩათვლით. დამუშავებული, დამარილებული, გამხმარი, შებოლილი და გამოყვანილი თევზის გაზომვისას სიგრძე 4 %-ით იზრდება.

(მუხლი 9)

ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალური სიგრძე განსაზღვრულია შემდეგნაირად:

№	თევზის სახეობა	ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალური სიგრძე (მმ-ში)
1	ქაფშია	70
2	ქარსალა	60
3	მერლანგი	120
4	კეფალისებრნი	200
5	კატრანი (ქიცვიანი ზვიგენი)	850
6	სტავრიდა	100
7	ხონთქარა (ბარაბული)	85
8	ღიპა ქაშაყი	110
9	შავი ზღვის ქაშაყი	170
10	სარღანი	320
11	ლუფარი	220
12	პელამიდა	250
13	სკუმბრია	150
14	ღორჯოსებრნი	110
15	ქამბალა-კალკანი	350
16	მიდია	50 (იგულისხმება ნიჟარის მაქსიმალური სიგრძე)
17	გარნელი(კრევეტი)	35 (თვალის შუა წერტილიდან კუდის ფირფიტის ბოლომდე)
18	ღლავი (ლოქო)	500
19	ფარგა	380
20	წერი (ქარიყლაპია)	320
21	სიგისებრნი	180
22	ჭერეხი	400
23	კობრი	320
24	კაპარჭინა	260
25	ჭანარი	320
26	შამაია	250
27	ხრამული ტბის	250
28	ხრამული მდინარის	220
29	ვიმბა	120
30	სხვა თევზები	200

(დანართი 2)

9.3.4. მაქსიმალურად დასაშვები თანჭერა

<u>**მინიმალური სიგრძის თევზებისთვის:**</u>

თევზჭერისათვის დასაშვები მინიმალური სიგრძის თევზების მაქსიმალური დასაშვები თანჭერილის გათვალისწინება ხდება როგორც სამრეწველო, ასევე სანაპირო და შიდა წყალსატევებში თევზჭერისას.

თევზმომპოვებელი ვალდებულია, რომ თევზაობისას ჭერისათვის დაშვებული მინიმალური სიგრძის თევზების მაქსიმალურად დასაშვები თანჭერილი არ აღემატებოდეს 20%-ს (დათვლით). ხოლო ქაფშიის მოპოვების შემთხვევაში მინიმალური სიგრძის თევზების მაქსიმალურად დასაშვები თანჭერილი არ უნდა აღემტებოდეს 40%-ს (დათვლით).

(მუხლი 10)

<u>**სხვა სახეობის თევზებისთვის:**</u>

მაქსიმალურად დასაშვები სხვა სახეობის თევზების თანჭერილის გათვალისწინება ხდება მხოლოდ სარეწაო თევზჭერისას, რომელთა თანჭერილი შეადგენს ქისა ბადისათვის და კონუსური ბადისათვის – 2%, ტრალის პელაგიური ვარიანტისათვის – 6%. მაქსიმალურად დასაშვები სხვა სახეობის თევზების თანჭერილის (შესაბასისად 2% ან 6%) გადამეტება ჩაითვლება თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევად.

ყველა შემთხვევაში მაქსიმალურად დასაშვები თანჭერილის გადამეტება ითვლება თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევად.

(მუხლი 11)

9.3.5. თევზჭერისას აკრძალული იარაღები, საშუალებები და ხერხები

<u>**აკრძალულია თევზჭერა:**</u>

- ნებისმიერი სახის ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებით;
- ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით და თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოებით;
- ცეცხლსასროლი იარაღებით;
- შიდა წყალსატევებში დევნისა და ფრთხობის ხერხებით;
- შიდა წყალსატევებში: სახლართი ბადის გამოყენებით - სამოყვარულო და სპორტული (არალიცენზირებადი) თევზჭერისას; ლიცენზიის მფლობელის მიერ სახლართი ბადის გამოყენებით, მოსასმელი და მოსაყრელი ბადის პრინციპით;
- წყალსატევების ხერგვითა და შრეტით;
- მცურავი ბადეებით ქვედა სართავის გარეშე ფსკერის მცოცავი ბირთვით.

(მუხლი 6)

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 7-ის მიხედვით ასევე რეგულირდება შემდეგი ქმედებები:

<u>**აკრძალულია:**</u>

- ჩასადგმელი ბადეების დაგება ზღვის სანაპირო ზოლში ნაპირიდან 100 მეტრზე ნაკლებ მანძილზე მოშორებით (პირველი ივლისიდან – 15 ოქტომბრამდე), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება და შესაბამისი ზომები, მითითებულ პერიოდში და ადგილას ზღვაში ბანაობის აკრძალვის თაობაზე;
- სარეწი იარაღით მდინარის ან მისი ტოტის 2/3-ზე მეტის დაკავება, აგრეთვე ბადის ჩამკეტი მოსმა მდინარის მოპირდაპირე ნაპირებიდან;
- ყოველგვარი სარეწი იარაღის სამუშაო მდგომარეობაში ქონა თევჭერისათვის აკრძალულ ვადებში და ადგილებში მცურავ საშუალებებზე;
- ჩასადგმელი სარეწი ბადეების ჭადრაკულ რიგზე დაყენება;
- პელაგიური და წყვილის ტრალის ჭერილში ტიპური ფსკერული თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების, კერძოდ: სკაროსების, ზუთხისნაირების, ქამბალასნაირების, ღორჯოსებრთა, ნემსთევზასებრთა, ზღვის მამლისებრთა, თაგვთევზასებრთა, ზღვის ფინიასებრთა, გველთევზასებრთა, სკორპენას (ზღვის ჩიქვი), ზღვის ურჩხულის, ზღვის ძროხის (ვარსკვლავთმრიცხველის), ხონთქარას (ბარაბულის), ოფიდიონის, ცხენთევზას, ზღვის ღლაბუტას, კიბოსნაირებისა და მოლუსკების საერთო წილი აღემატებოდეს 5%-ს (დათვლით);
- ქისა ბადეების გამოყენება, რომელთა სიმაღლე (სიღრმე) აღემატება 300 მეტრს;
- თევზის რეწვა პალიასტომის ტბასა და ნათხარებში მოსასმელი ბადის გამოყენებით, რომლის სიგრძე 200 მეტრზე მეტია, თვლის ზომა – არანაკლებ 22 მმ-ია;
- კეფალის (ლობანი, პილენგასი, ოქროსფერი კეფალი) რეწვა პალიასტომის ტბასა და ნათხარებში მოსაყრელი ბადით, რომლის სიგრძე 350 მეტრზე მეტია და თვლის ზომა არანაკლებ 22 მმ-ია;
- აკრძალულია წყვილის ტრალის გამოყენება იმ თევზსაჭერი გემების მიერ, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი საქართველოში და რომელთა მიწერის ნავსადგური არ არის განლაგებული საქართველოს ტერიტორიაზე. სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს წყვილის ტრალის საშუალებით მიმდინარე თევზჭერის პროცესზე დაკვირვებას/მონიტორინგს, მათ შორის, უშუალოდ ამგვარი თევზჭერის განმახორციელებელ მცურავ საშუალებებზე მიმდინარე რეწვის პროცესზე. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად არანორმირებული თანჭერილის, ფსკერული ბიოცენოზების დარღვევის, ზღვის ძუძუმწოვრების თევზსაჭერ იარაღში მოხვედრის თუ ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატებისთვის ზიანის მომტანი სხვა ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, რაც დასტურდება სააგენტოს დასკვნით, წყვილის ტრალით თევზჭერა უნდა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.

ასევე, შიდა წყალსატევებში ერთ სტაციონარში (ჩადგმაში) ბადის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 200 მეტრს, ხოლო სტაციონარებს შორის მანძილი არ უნდა იყოს 500 მეტრზე ნაკლები. პალიასტომის ტბასა და ნათხარებში, აკრძალულია მოსასმელი და მოსაყრელი

პრინციპით ბადეების გამოყენება და ისეთი ბადეების ჩადგმა, რომელთა სიგრძე 200 მეტრზე მეტია, ხოლო თვლის ზომა – 20 მილიმეტრზე ნაკლები. ამასთან ერთად, ჩასადგმელი ბადის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 3 მეტრს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თევზის რეწვა მიმდინარეობს პალიასტომის ტბასა და ნათხარებში მოსასმელი ბადის გამოყენებით და კეფალის (ლობანი, პილენგასი, ოქროსფერი კეფალი) რეწვა პალიასტომის ტბასა და ნათხარებში მოსაყრელი ბადით, რომლის სიგრძე 350 მეტრზე მეტია და თვლის ზომა არანაკლებ 22 მმ-ია).

ერთ სტაციონარში (ჩადგმაში) იარუსის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 200 მეტრს, იარუსში ნემსკავების რაოდენობა 100-ს, ხოლო სტაციონარებს შორის მანძილი არ უნდა იყოს 1000 მეტრზე ნაკლები.

აკრძალულია სარეწი გემებიდან ჭარბად მოპოვებული ან წუნდებული თევზის ზღვაში ჩაყრა.

აკრძალულია თევზჭერა ყოველგვარი კონსტრუქციის დრაგის, მათ შორის, ხიჟნიაკის კონსტრუქციის და ტრალის ფსკერული ვარიანტის გამოყენებით შემდეგი გრადუსული კოორდინატებით განსაზღვრული ზონების ფარგლებს გარეთ:

I ზონა:

№	E	N
1	410 39’4.036’’	420 9’34.786’’
2	410 23’7.019’’	420 9’54.904’’
3	410 46’16.685’’	410 53’20. 824’’
4	410 30’16.091’’	410 54’6.796’’

II ზონა:

№	E	N
1	410 44’ 20.891’’	410 45’3.29’’
2	410 29’ 43.802’’	410 50’1.536’’
3	410 43’ 6.351’’	410 42’23.3’’
4	41029’8.565’’	410 48’15.839’’

III ზონა:

№	E	N
1	410 38’16.216’’	410 39’29.02’’
2	410 25’46.507’’	410 46’52.828’’
3	410 34’39.683’’	410 36’33.357’’
4	410 21’19.017’’	410 43’10.31’’

(მუხლი 7)

9.3.6. წყალსატევში თევზსაჭერი იარაღის ჩაგების და თევზის მოსაშენებელი კონსტრუქციის განთავსების წესი

აუცილებელია წყალსატევში ყოველი სტაციონარული თევზსაჭერი იარაღის ჩადება ტივტივანიშნულებით, რომლებიც, როგორც მინიმუმ, უნდა აფიქსირებდნენ ბადე-იარაღის განაპირა წერტილებს. ყოველი ასეთი ტივტივანიშნული უნდა შედგებოდეს ტივტივასა და მასზე დამაგრებული მცირე ზომის ალმისაგან, რომელზეც გარკვევით უნდა ეწეროს ლიცენზიის/ნებართვის სერია და ნომერი. სანაპირო თევზჭერის შემთხვევაში, ტივტივანიშნული აღჭურვილი უნდა იყოს ალმით, სინათლის ამრეკლი საშუალებებით და მესაკუთრის პირადი ნომრის აღმნიშვნელი წარწერით.

აუცილებელია წყალსატევში განთავსებული თევზის მოსაშენებელი კონსტრუქცია აღჭურვილი იყოს ტივტივანიშნულებით, რომლებიც, როგორც მინიმუმ, უნდა აფიქსირებდნენ კონსტრუქციის განაპირა წერტილებს. ყოველი ასეთი ტივტივანიშნული აღჭურვილი უნდა იყოს ალმით, სინათლის ამრეკლი საშუალებებით და მესაკუთრის პირადი ნომრის აღმნიშვნელი წარწერით.

წყალსატევში თევზსაჭერი იარაღის ჩაგების და თევზის მოსაშენებელი კონსტრუქციის განთავსების წესის დარღვევა ითვლება თევზჭერის მარაგის დაცვის წესების დარღვევად.

(მუხლი 12)

9.4. სპორტულ-სამოყვარულო და რეკრეაციული თევზჭერისათვის დადგენილი წესები და რეგულაციები

<u>**სამოყვარულო-სპორტული და რეკრეაციული თევზჭერისას აკრძალულია:**</u>

- ყველა სისტემის და დასახელების ხელის ანკესის გამოყენება, რომელზეც ნემსკავების რაოდენობა ერთ მოყვარულზე ზღვაში თვითსატყუარათი 12-ზე მეტია და სატყუარათი – 6-ზე მეტი, ხოლო ერთ მოყვარულზე შიდა წყლებში თვითსატყუარათი 6-ზე მეტი და სატყუარათი – 3 ზე მეტი;
- საქართველოს საზუთხე და საორაგულე მდინარეებში, ზღვის შესართავის ირგვლივ 300 მეტრის მანძილზე N8-ზე (ნემსკავის სიგანე, მანძილი წვერსა და ღეროს შორის არ უნდა აღემატებოდეს 8 მმ-ს) მსხვილი ნემსკავების გამოყენება, ასევე აქ ორეული და სამეული ნემსკავების გამოყენება;
- ჩოგანბადის და ხოლიხი ბადის გამოყენება, რომელთა დიამეტრი – 1,2 მეტრზე მეტია, ხოლო თვლის ზომა – 20 მმ-ზე ნაკლები. სასროლი ბადე, დიამეტრი - 4,5 მ.
- ერთი მოყვარული მეთევზის მიერ ერთზე მეტი სამოყვარულო-სპორტული ბადის გამოყენება;
- წყალსატევებში მუშა მდგომარეობაში მყოფი სამოყვარულო-სპორტული თევზსაჭერი საშუალებების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- ორეული და სამეული ნემსკავიანი ანკესების გამოყენება მისატყუარის გარეშე.
- გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა რეკრეაციული თევზჭერისას ასევე აკრძალულია:
- ბუნებრივი სატყუარას გამოყენება;

- არასპორტული (ენის მქონე), ასევე ორეული, სამეული და მეტი ნემსაკვის მქონე თევზსაჭერი იარაღის გამოყენება თევზჭერის განმახორციელებელ ერთ პირზე;
- თევზზე მშრალი ხელით ან ხელთათმანით შეხება;
- თევზის ნაპირზე ამოყვანა და მისი ხელში აყვანა, თუ ქვემოთ წყალი არ არის;
- თევზის სიმაღლიდან გადაგდება წყალში დაბრუნების დროს;
- თევზის წყალში დაბრუნება მანამ, სანამ არ მოძლიერდება იგი თევზჭერის განმახორციელებელი პირის მიერ მისი წინ და უკან წყალში მოძრაობებით, რაც საჭიროა თევზის ლაყუჩებში წყლის გასატარებლად

(მუხლი 13)

<u>რეკრეაციული თევზჭერისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:</u>

- თევზჭერისას გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სპორტული (უენო), უჟანგავი მასალისაგან დამზადებული ნემსკავი;
- თევზჭერისას გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ხელოვნური სატყუარა;
- ნემსაკვების რაოდენობა უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 2 ცალს და მხოლოდ ერთეული ნემსკავით, თევზჭერის განმახორციელებელ ერთ პირზე;
- ნემსკავი თევზიდან გამოძრობილი უნდა იქნეს სპეციალური, ნემსკავის გამოსაძრობი ხელსაწყოთი - პინცეტით;
- დაჭერილი თევზის ნაპირზე ამოყვანის თავიდან ასაცილებლად, იგი წყლიდან ამოყვანილი უნდა იქნას სპეციალური ბადის (ჩოგანბადე) საშუალებით;
- პირი თევზჭერისას უნდა იმყოფებოდეს წყალში;
- თევზთან შეხება უნდა მოხდეს სველი ხელით. თუ თევზი დიდი ზომისაა, წყალში დაბრუნებისას/გაშვებისას, თევზჭერის განმახორციელებელმა მას უნდა მოკიდოს ორივე ხელი: ერთი ხელი ტანზე და მეორე ხელი კუდისკენ. თუ თევზჭერა ხორციელდება მდინარეში, თევზის თავი მიმართული უნდა იყოს დინების საწინააღმდეგოდ. წყალში დაბრუნებისას თავისუფლდება ჯერ წყალში ჩაშვებული თევზის კუდის მხარე და შემდეგ, საბოლოოდ ხდება მისი გაშვება. პატარა ზომის თევზის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი ხელით;
- თუ პირს, რომელიც ახორციელებს რეკრეაციულ თევზჭერას, სურს დაჭერილი თევზის ფოტოგრაფირება, მან ეს უნდა გააკეთოს დაუყოვნებლივ, თევზის ნაპირზე ამოყვანის გარეშე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თევზის საბინადრო გარემოში ცოცხლად და დაუზიანებლად გაშვება;
- დაჭერილი თევზი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაბრუნებული საარსებო გარემოში, ამ ინსტრუქციისა და „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

(„რეკრეაციული თევზჭერის ინსტრუქცია“, მუხლი 2)

9.4.1. თევზჭერის სპეციალური მოთხოვნები

თევზჭერის ლიცენზიანტი თევზჭერის განხორციელებამდე ვალდებულია დეპარტამენტში წარადგინოს განაცხადი და ინფორმაცია თავისი ლიცენზიის ფარგლებში როგორც თევზჭერის განმახორციელებელი, ასევე გადამზიდი (სატრანსპორტო) მცურავი საშუალებების შესახებ (კერძოდ, ლიცენზიატსა და გემის მესაკუთრეს შორის დადებული ყველა ხელშეკრულების არსებობისა და ცვლილებების თაობაზე).

ლიცენზირებადი თევზჭერის განხორციელებისას თითოეული თევზმჭერი სატრანსპორტო საშუალების მიხედვით სავალდებულოა ამ ტექნიკური რეგლამენტით დამტკიცებული დანართით 3-ით გათვალისწინებული შესაბამისი სარეწაო ჟურნალის თევზჭერის განმახორციელებელი პირის მიერ წარმოება, ამ მუხლით დადგენილი ფორმითა და წესებით.

თევზჭერის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემოწმების პროცესში დეპარტამენტს კანონიერი ქმედებების განხორციელებას, მათ შორის, წერილის შემოწმების მიზნით მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ ამოიღოს წყალსატევიდან ის ბადე-იარაღები, რომლითაც ახორციელებს თევზჭერას.

თევზჭერის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველი თვის 5 რიცხვამდე მიაწოდოს ინფორმაცია დეპარტამენტსა და ლიცენზიის გამცემს, განვლილი ერთი თვის მანძილზე მოპოვებული რესურსის შესახებ.

9.5. სარეწაო ჟურნალის წარმოება

ლიცენზირებადი თევზჭერის განხორციელებისას თითოეული თევზმჭერი სატრანსპორტო საშუალების მიხედვით სავალდებულოა თევზჭერის განმახორციელებელი პირის მიერ „თევზჭერის და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“ დანართი 3-ის მიხედვით სარეწაო ჟურნალის წარმოება.

სარეწაო ჟურნალი

თევზჭერის (ცდის) რიგითი ნომერი	თევზსაჭერი ბადე იარაღის დასახელება	თევზჭერის ყოველი ცდის ადგილი (აკვატორია სახმელეთო ორიენტირებით ან გეოგრაფიულ კოორდინატები თ)	თევზჭერის ყოველი ცდის დაწყების დრო (წუთი, საათი, დღე, თვე, წელი)	თევზჭერის ყოველი ცდის დამთავრების დრო (წუთი, საათი, დღე, თვე, წელი)	ჭერილისა და თანჭერილის ვიზუალური შეფასება (რაოდ. სახეობების მიხედვით კგ-ში)	ჭერილის რაოდენობა სახეობების მიხედვით (კგ)	თანჭერილი რაოდენობა სახეობების მიხედვით, კგ-ში	შენიშვნა (თევზჭერისას ტექნიკური შეფერხებები, ფორსმაჟორული ვითარება და სხვა)	თევზჭერის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

(დანართი 3)

სარეწაო ჟურნალი წარმოადგენს თევზრეწვის მიმდინარეობის, ჭერილის შემადგენლობის და რაოდენობის ამსახველ დოკუმენტს, რომელიც აუცილებელია იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და დამოწმებული თევზჭერის განხორციელების ადგილმდებარეობის მიხედვით, დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიის შესაბამისად დეპარტამენტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს მიერ.

ჟურნალის წარმოებისას სავალდებულოა შეივსოს ყველა სვეტი. პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სვეტების შევსება წარმოებს უშუალოდ თევზჭერის ყოველი ცდის დაწყებისთანავე, მე-5, მე-6 და მე-9 სვეტების შევსება ხდება უშუალოდ თევზჭერის ყოველი ცდის დამთავრებისთანავე (მე-9 სვეტი ივსება არსებობის შემთხვევაში).

100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის თევზმჭერი საშუალებით სამრეწველო თევზჭერისას მე-7, მე-8 და მე-10 სვეტების შევსება ხდება თევზმჭერი მცურავი საშუალებიდან მოპოვებული რესურსის გადატვირთვამდე ან ნებისმიერი ფორმით გასხვისებამდე. ხოლო 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის თევზმჭერი მცურავი საშუალებით სამრეწველო თევზჭერისას მე-7, მე-8 და მე-10 სვეტების შევსება ხდება თევზმჭერი მცურავი საშუალებიდან მოპოვებული რესურსის ნებისმიერი ფორმით გასხვისებამდე, სხვა (გარდა გასხვისების) შემთხვევაში თევზჭერის ცდის დამთავრებიდან დაჭერილი თევზის წონის დადგენისთანავე, მაგრამ თევზჭერის ცდის დამთავრებიდან არა უმეტეს 48 საათისა;

შიდა წყალსატევებში თევზჭერისას მე-7, მე-8 და მე-10 სვეტების შევსება ხდება მოპოვებული რესურსის ხმელეთზე გადმოტვირთვა-ამოყვანისთანავე;

სამრეწველო თევზჭერისას, ჭერილში ქაფშიის არსებობისას, მცურავი საშუალების საერთო ტევადობის მიუხედავად, მე-7, მე-8 და მე-10 სვეტების შევსება ხდება თევზმჭერი მცურავი საშუალებიდან მოპოვებული რესურსის ნებისმიერი ფორმით გასხვისებამდე, სხვა (გარდა გასხვისების) შემთხვევაში, თევზჭერის ცდის დამთავრებიდან დაჭერილი თევზის წონის დადგენისთანავე, მაგრამ თევზჭერის ცდის დამთავრებიდან არაუმეტეს 48 საათისა;

წყვილის ტრალით თევზჭერისას სარეწაო ჟურნალის შევსება ხორციელდება დადგენილი წესით, რეწვაში მონაწილე იმ მცურავი საშუალების მიერ, რომელზეც ხდება ჭერილის ამოღება. რეწვაში მონაწილე მეორე მცურავი საშუალების მიერ სარეწაო ჟურნალში ივსება მხოლოდ 1, 2, 4, 9 და 10 გრაფები. მე-9 გრაფაში – „შენიშვნა“ იწერება რეწვაში მონაწილე იმ მცურავი საშუალების სახელწოდება, რომელიც სრულად ავსებს სარეწაო ჟურნალს. სარეწაო ჟურნალის მე-4 გრაფაში მეორე მცურავი საშუალების მიერ წუთისა და საათის მითითება სავალდებულო არ არის.

გარდა ამისა:

- ჟურნალში მონაცემთა შეტანა წარმოებს საქართველოს დროით, სახელმწიფო ენაზე;
- ჟურნალში იწერება აუცილებლად ბურთულიანი კალმით და აკრძალულია ფანქრითა და სხვა ისეთი საწერი საშუალებებით შევსება, რომელთა წაშლაც ადვილია.
- აკრძალულია შეტანილი მონაცემების წაშლა ან შესწორება. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მის გამოსასწორებლად, შესაბამისი მონაცემების გასწვრივ მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და ჟურნალის მომდევნო გვერდზე ჩანაწერი აღნიშნული შეცდომის შესახებ.

- სარეწაო ჟურნალის პირველ გვერდზე მიეთითება მონაცემები მოსარგებლისა და მცურავი საშუალების შესახებ, აგრეთვე ლიცენზიის სერია და ნომერი.
- სარეწაო ჟურნალის დაკარგვის ან გაფუჭების შემთხვევაში თევზჭერაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, სადაც განხორციელდა მისი დამოწმება.
- სარეწაო ჟურნალის დაკარგვა თევზჭერაზე უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.
- ახალი სარეწაო ჟურნალის აღების შემთხვევაში ძველი სარეწაო ჟურნალი, ასევე დადგენილი წესით თევზმჭერი საშუალების შეცვლისას ან ლიცენზიის ვადის გასვლისას სარეწაო ჟურნალი წარედგინება დეპარტამენტს ან მის ტერიტორიული ორგანოს, სადაც განხორციელდა მისი დამოწმება.

(მუხლი 15)

9.6. თევზჭერა დაცულ ტერიტორიებზე

სპორტულ-სამოყვარულო და რეკრეაციული თევზჭერა დაცულ ტერიტორიებზე დაშვებულია მხოლოდ იქ არსებული დროებითი რეგულირების წესით ან მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში და ამავე დროებითი რეგულირების წესით ან მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრულ ზონებში.

(მუხლი 13)

9.7. თევზდაცვის მოთხოვნები წყალამღებ ნაგებობებზე

წყალამღები ნაგებობები, წყალაღებით არანაკლებ 5000 კუბ.მ დღე-ღამეში აუცილებელია აღჭურვილი იყოს თევზამრიდი ნაგებობა-მოწყობილობებით.

(მუხლი 14)

9.8. პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევისათვის

ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

(მუხლი 17)

9.9. სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა

- საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის №21 ბრძანება „სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესის დამტკიცების შესახებ"

სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესი არეგულირებს სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით თევზჭერის განხორციელებაზე თანხმობის გამცემ ორგანოს, დადგენილ თევზჭერასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც აღწერილი უნდა იყოს თევზჭერის მიზნები, ამოცანები და სამიზნე ობიექტები, თევზის და/ან სხვა ჰიდრობიონტის ქართული და ლათინური სახელწოდებები, მაქსიმალური ოდენობით, თევზჭერის განხორციელების წყალსატევის დასახელება, თევზჭერის ადგილის კოორდინატები ან სახმელეთო ორიენტირები, გამოსაყენებელი საჭირო მცურავი საშუალებების, თევზჭერის საშუალებებისა და ხერხების დეტალური აღწერა, ზემოაღნიშნული წესი ადგენს აგრეთვე საეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის ჟურნალის წარმოების წესს

სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა რეგულირდება „სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესით“ და ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანხმობით.

სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერისათვის დაინტერესებულმა მხარემ თევზჭერის დაწყებამდე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში უნდა წარმოადგინოს დაგეგმილ თევზჭერასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სადაც მოცემული იქნება:

- მონაცემები სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერით დაინტერესებული პირის შესახებ;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის მიზნები, ამოცანები და სამიზნე ობიექტები (თევზის და/ან სხვა ჰიდრობიონტის ქართული და ლათინური სახელწოდებები);
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით მოსაპოვებელი თევზის და/ან სხვა ჰიდრობიონტის მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისი დასაბუთებით;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განხორციელების კონკრეტული ვადები, შესაბამისი დასაბუთებით;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განხორციელების ადგილი (წყალსატევის დასახელება, თევზჭერის ადგილის კოორდინატების ან სახმელეთო ორიენტირების მითითებით), შესაბამისი დასაბუთებით;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის გამოსაყენებელი საჭირო მცურავი საშუალებების, თევზჭერის საშუალებებისა და ხერხების დეტალური აღწერა, შესაბამისი დასაბუთებით.
- ხოლო თევზჭერის განმახორციელებელ პირს ეკისრება ვალდებულება:
- ისარგებლოს თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების მხოლოდ იმ სახეობებით და ოდენობით, რომლებიც მითითებულია წინასწარ წარმოდგენილ ინფორმაციაში;

- განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა იმ ხერხებითა და საშუალებებით, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე და ვადებში, რომლებიც მითითებულია წინასწარ წარმოდგენილ ინფორმაციაში;
- დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერის წესები;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის დროს თევზსაჭერ იარაღებში მოხვედრილი თევზის ან სხვა ჰიდრობიონტების ის სახეობები, ან/და ის ნაწილი, რომელიც აღემატება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის საჭირო რაოდენობას, რომელიც არ არის მითითებული წინასწარ წარმოდგენილ ინფორმაციაში, დაუყოვნებლივ გაუშვას საბინადრო გარემოში ცოცხალ მდგომარეობაში;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში თანხმობის გამცემ შესაბამის ორგანოში წარადგინოს ანგარიში სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის შედეგების შესახებ და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის ჟურნალი.

(მუხლი 2)

სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის ჟურნალი

თევზჭერის (ცდის) რიგითი ნომერი	თევზსაჭერი ბადე-იარაღის დასახელება (საშუალებები)	თევზჭერის ადგილი	მონაცემები მცურავი საშუალების შესახებ	თევზჭერის (ცდის) დაწყების დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი)	თევზჭერის (ცდის) დამთავრების დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი)	ჭერილის ოდენობა (რაოდენობა სახეობების მიხედვით)	თანჭერილის მონაცემები სახეობების მიხედვი, მ/შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები	საბინადრო გარემოში ცოცხალ მდგომარეობაში გაშვებული ჰიდრობიონტები, სახეობებისა და რაოდე-ნობის მიხედვით	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

თევზჭერის ჟურნალი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის მიმდინარეობის, ჭერილის შემადგენლობის და რაოდენობის ამსახველ დოკუმენტს. ჟურნალის წარმოებისას სავალდებულოა შეივსოს ყველა სვეტი, პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სვეტების შევსება ხდება უშუალოდ ჭერის ყოველი ცდის დაწყებამდე, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 სვეტის შევსება ხდება უშუალოდ ჭერის ყოველი ცდის დამთავრებისთანავე, ხოლო მე-9 სვეტი ივსება არსებობის შემთხვევაში.

გარდა ამისა:

- ჟურნალში მონაცემთა შეტანა წარმოებს საქართველოს დროით, სახელმწიფო ენაზე;
- ჟურნალში იწერება აუცილებლად ბურთულიანი კალმით და აკრძალულია ფანქრითა და სხვა ისეთი საწერი საშუალებებით შევსება, რომელთა წაშლაც ადვილია.

- აკრძალულია შეტანილი მონაცემების წაშლა ან შესწორება. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, მის გამოსასწორებლად, შესაბამისი მონაცემების გასწვრივ მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და ჟურნალის მომდევნო გვერდზე ჩანაწერი აღნიშნული შეცდომის შესახებ.
- ჟურნალის პირველ გვერდზე მიეთითება მონაცემები სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერით დაინტერესებული პირის შესახებ;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის ჟურნალის დაკარგვის ან გაფუჭების შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერით დაინტერესებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს შესაბამის ორგანოს;
- ჟურნალის დაკარგვა სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერით დაინტერესებულ პირს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის ჟურნალის აღების შემთხვევაში ძველი სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის ჟურნალი წარედგინება შესაბამის ორგანოს;
- ჟურნალის წარმოების წესის დარღვევა, ასევე მონაცემთა არასწორი შეტანა, ჩაითვლება თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებად;
- პასუხისმგებლობა წესების დარღვევისათვის ეკისრება სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განმახორციელებელ პირს.

(მუხლი 5)

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაკუთრებულ შემთხვევებში სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა შესაძლებელია განხორციელდეს აკრძალული ბადე-იარაღებით (ხერხები, საშუალებები), ვადებში და ჭერისათვის აკრძალულ სახეობებზე, გარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში” შეტანილი სახეობებისა. მსგავს, განსაკუთრებულ შემთხვევად განიხილება თუ თევზჭერა ხორციელდება ლიცენზიის მფლობელისთვის ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული კვლევებისა (სარეწაო მარაგის დაგენის) და ასევე სათანადო დასაბუთების საფუძველზე ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი მიზნით. ასეთ შემთხვევებში თევზჭერის პროცესს ესწრება თანხმობის გამცემი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ლიცენზიანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევჭერის საფუძველზე მოპოვებული იმ თევზის რესურსის ოდენობა, რომელიც მისთვის კვოტითაა დადგენილი, ჩაითვლება მისთვის დაწესებულ საერთო კვოტაში, ხოლო მის მიერ მოპოვებული იმ თევზის რესურსის ოდენობა, რომელიც მისთვის კვოტით არაა დადგენილი, მაგრამ განცხადებაში აქვს მითითებული, რჩება მის საკუთრებაში.

(მუხლი 3)

<u>მოსაკრებელი:</u>

სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განმახორციელებელს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი უმცირდება 70%-ით („ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 7, მე-2 პუნქტი).

(მუხლი 3)

10. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები

❖ საქართველოს კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ”

აღნიშნული კანონი მიზნად ისახავს, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და მისი მდგრადი გამოყენებისათვის, საქართველოს ტერიტორიის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისაგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას ამ სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. კანონმდებლობის მიზანია, გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველების, მცენარეებისა და გარემოს დაცვა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის უარყოფითი გავლენისაგან. გარდა ამისა, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში არსებული სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

10.1. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროს რეგულირება

საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში ინტროდუქცია და გენმოდიფიცირებული ორგანიზმის საბაზრო ქსელში განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება საჭიროებს შესაბამის ლიცენზიას, რომელსაც გასცემს სამინისტრო. ლიცენზია გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, “ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ” და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესით.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზია არ აუქმებს და არ ცვლის საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერ სხვა მოთხოვნას, ნებართვას/ლიცენზიას.

(მუხლი 7)

10.2. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპისა და ზიანის პრევენციის პრინციპის გათვალისწინებით.

(მუხლი 9)

გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაბამის ლიცენზიას საჭიროებს. ლიცენზიის მისაღებად განაცხადი (შემდგომ – განაცხადი) სამინისტროში შეტანილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით. განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

(მუხლი 10)

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას სამინისტრო იღებს განაცხადის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზია პირს ანიჭებს უფლებას, ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობა განახორციელოს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ლიცენზიით დადგენილი პირობების დაცვით.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლების ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას სამინისტრო აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში ლიცენზიას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, უნდა დაერთოს ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი თავდაპირველი ან ლიცენზიის გამცემის მიერ შესწორებული მონიტორინგის პროგრამა და ინფორმაცია კონტროლის მეთოდების შესახებ, გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების (რეაგირების) გეგმა და ანგარიშგების სქემა.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება კონტროლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(მუხლი 12)

10.3. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებია:

- **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო,** რომელიც:
  - ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმის შესაბამისად ასრულებს სახელმწიფო საკოორდინაციო ცენტრისა და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ფუნქციებს;
  - თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო მართვასა და კონტროლს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში;
  - თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით გასცემს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიას;
  - აწარმოებს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ერთიან რეესტრს;

- **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში;
- **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**, რომელიც:
  - ახორციელებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილების საბაჟო კონტროლს;
  - ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

<u>**გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა მოიცავს:**</u>

- ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლს;
- გარემოსდაცვითი მოთხოვნების, გარემოს დაცვის ნორმების, სახელმწიფო სტანდარტების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების და ვეტერინარული მოთხოვნების შესრულების კონტროლს;
- გენმოდიფიცირებული ორგანიზმის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და ანგარიშგების ობიექტურობის/სისწორის კონტროლს;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების კონტროლს.

თუ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში საქმიანობით შეიქმნა ან შეიძლება შეიქმნას პოტენციური საშიშროება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღება გადაწყვეტილება ამ საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.
გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის მოთხოვნები

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №759 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის პირობების შესახებ“

აღნიშნული კანონი აწესრიგებს სამართლებლივ ურთიერთობებს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში. როგორიცაა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება, მათი გარემოში ინტროდუქცია, საბაზრო ქსელში განთავსება, ტრანსპორტირება და ტრანსსასაზღვრო გადაადგილება.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული მათი გარემოში ინტროდუქციის შესაძლებლობა. აკრძალულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირება სხვა ტვირთთან ერთად.
ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირება ხორციელდება მხოლოდ იმ პირის/პირების თანხლებით, რომლებსაც აქვთ სპეციალური ცოდნა და ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან მოპყრობის პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული პირების გარდა, სხვა პირებისთვის ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებზე ხელმისაწვდომობა აკრძალულია.
ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტვირთის ზუსტი რაოდენობის აღრიცხვისათვის, ტრანსპორტორებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტვირთის ტრანსპორტირებისას ან გადაცემისას დანაკლისის დაუყოვნებლივ გამოვლენა.
ტრანსპორტირების დასრულების შემდგომ, კონტეინერები, რომლებშიც განთავსებულია ცოცხალი გენმოდიფიცრებული ორგანიზმები, უნდა იქნეს გასუფთავებული და/ან გაუვნებელყოფილი.
ჩაკეტილ სისტემებში გამოყენების მიზნით, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას, ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს:

- რომ ტვირთი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმია და მისი ტრანსპორტირება ხორციელდება ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით;
- შესაბამისი საკონტაქტო პირის სახელი, მისამართი და სხვა ცნობები ტვირთის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, აგრეთვე, იმ პირის სახელი და მისამართი, რომელსაც ეგზავნება ტვირთი.

გარემოში ინტროდუქციის მიზნით ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას (ტრანზიტის შემთხვევაში), ტვირთის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს:

- რომ ტვირთი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმია და განკუთვნილია გარემოში ინტროდუქციისათვის;
- ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის სახეობა და კონკრეტული მახასიათებლები;
- ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმისადმი უსაფრთხო მოპყრობის, მისი შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების წესები;
- შესაბამისი საკონტაქტო პირის სახელი და მისამართი, ტვირთის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად;
- იმპორტიორისა და ექსპორტიორის სახელები/საფირმო სახელწოდებები და მისამართები. აღნიშნულ დოკუმენტაციას უნდა დაერთოს განცხადება იმის შესახებ, რომ ექსპორტიორმა შეასრულა ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებისას, ეტიკეტირება უნდა მოხდეს ტვირთის გარეთა სათავსზე განთავსებული ეტიკეტით, რომელზეც მკაფიოდ იქნება მითითებული ტვირთის გამგზავნის სახელი/საფირმო სახელწოდება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა შესაძლებელი იყოს მასთან დაკავშირება კონტეინერის დაკარგვის, დაზიანების, არასწორ მისამართზე მიტანის ან/და სხვა შემთხვევაში.

პერსონალი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების, შენახვის, რეალიზაციის სამუშაოების ორგანიზებას ან/და შესრულებაში, შერჩეული უნდა იქნეს იმ პირებისგან, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება ან გავლილი აქვთ მომზადება ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების უსაფრთხო გამოყენების საკითხებში.

საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების, შენახვის, რეალიზაციის სამუშაოების ორგანიზებას ან/და შესრულებაში მონაწილე პერსონალისთვის ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

(მუხლი 2)

10.3. ცოცხალი გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის სპეციფიკური მოთხოვნები

ყველა პირი, რომელიც მონაწილეობს ცოცხალი გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების (ნებისმიერი მიკრობიოლოგიური ორგანიზმი, უჯრედული ან არაუჯრედული, რომლის ზომა არის იმდენად მცირე, რომ შეუძლებელია მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალით და რომელსაც შეუძლია რეპლიკაცია ან გენეტიკური მასალის გადაცემა, მათ შორის, ბაქტერიები, სოკოები, ვირუსები, ვიროიდები, ცხოველური და მცენარეული უჯრედების კულტურა) ტრანსპორტირებაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს შემდეგი სამმაგი შეფუთვით:

- საწყისი სათავსი – წყალგაუმტარი ჰერმეტული კონტეინერი, რომელშიც მოთავსებულია ნიმუში. კონტეინერი გახვეულია იმ რაოდენობის აბსორბენტულ მასალაში, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ შთანთქას მთელი სითხე, მისი დაქცევის შემთხვევაში;

- მეორადი სათავსი – საიმედო, მტკიცე წყალგაუმტარი ჰერმეტული სათავსი, რომელიც იცავს საწყის სათავსს. შეფუთული საწყისი სათავსი თავსდება მეორად სათავსში. საწყის სათავსსა და მეორად სათავსს შორის დამატებით გამოყენებული უნდა იყოს აბსორბენტული მასალა;

- გარეთა გადასაგზავნი პაკეტი – გადასაგზავნი პაკეტი, რომელშიც უნდა მოთავსდეს მეორადი სათავსი, რათა დაცული იქნეს ის და მისი შიგთავსი ისეთი ზემოქმედებისგან, როგორიცაა: ფიზიკური დაზიანება ან/და წყლის ზემოქმედება გადატანის დროს და სხვა ფაქტორები.

ეტიკეტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ცოცხალი გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების დასახელებების, უსაფრთხოების კლასის, ტვირთის გამგზავნისა და მიმღების მონაცემებს, განთავსებული უნდა იყოს მეორადი და გარეთა სათავსების გარეთა ზედაპირზე.

(მუხლი 3)

10.4. ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის სპეციფიკური მოთხოვნები

აკრძალულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების შეუფუთავად ტრანსპორტირება. იმ შემთხვევაში, თუ გენმოდიფიცირებული მარცვლეულის ან მცენარეთა ან/და მათი სხვა ნაწილების ტრანზიტი ხორციელდება ისეთი ოდენობით, როდესაც მათი განთავსება ხდება დიდი ზომის კონტეინერში (მაგ., სარკინიგზო ვაგონი), დასაშვებია ამ მცენარეების ან/და მათი ნაწილების შეუფუთავად განთავსება კონტეინერში. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის მიერ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მყარად დახურული კონტეინერი, რომლის მახასიათებლები იძლევა საშუალებას, რომ გამოირიცხოს მცენარეთა ან/და მათი ნაწილების გარემოში მოხვედრა. ამ შემთხვევაში, დაუშვებელია სხვადასხვა ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარის ან/და მათი ნაწილების ერთსა და იმავე კონტეინერში განთავსება.

ტრანსპორტირებისას, ტვირთის (ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარე ან/და მათი ნაწილები) ყოველ შეფუთულ ერთეულზე (ან კონტეინერზე) განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი ეტიკეტი, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის დასახელებისა და სარეგისტრაციო ნომრის მითითებით. ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების ტრანსპორტირებისა და შენახვისას, ყურადღება უნდა მიექცეს შეფუთვის მთლიანობას, რომლის დაზიანების შემთხვევაში, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ხელახლა უნდა შეიფუთოს.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების შეფუთვა ან კონტეინერში განთავსება უნდა უზრუნველყოფდეს:

- ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების დაკარგვის პრევენციას;
- ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეებისგან ან/და მათი ნაწილებისგან პათოგენური ბაქტერიების გარემოში გამოთავისუფლების პრევენციას;
- სხვადასხვა ცოცხალი გენმოდიფიცირებული მცენარეების ან/და მათი ნაწილების ერთმანეთთან შერევის პრევენციას.

(მუხლი 4)

10.5. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველების ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების, ეტიკეტირების, შეფუთვისა და იდენტიფიკაციის სპეციფიკური მოთხოვნები

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ცხოველების გადაზიდვის მოქმედი წესების შესაბამისად.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველები ტრანსპორტირებისას, მოთავსებული უნდა იყვნენ დახურულ, მყარ სათავსში და მათზე უნდა ხორციელდებოდეს მეთვალყურეობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველების გაქცევის პრევენცია.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველების ეტიკეტირება ხორციელდება მათზე ეტიკეტის ან სხვა მაიდენტიფიცირებელი (ამომცნობი) ნიშნის განთავსებით, რომელზეც აღნიშნულია, რომ ორგანიზმი წარმოადგენს ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ცხოველს.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველების ეტიკეტირება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად - მიკროჩიპების, სვირინგების ან ყურზე ნიშანდების საშუალებით ან ეტიკეტის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ცხოველის მოსათავსებელ კონტეინერზე განთავსებით.

(მუხლი 5)

10.6. ტრანსპორტირებისას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში გამოთავისუფლება (მოხვედრა)

ტრანსპორტირებისას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში გამოთავისუფლების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ღონისძიებები ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ლოკალიზებისთვის, სათავსში დაბრუნებისა და/ან გაუვნებელყოფისთვის. ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ტვირთის გამომგზავნს, მიმღებსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო).

ტრანსპორტირებისას, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გარემოში გამოთავისუფლების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ტერიტორიის იზოლირება;
- ტერიტორიის დეკონტამინაცია (გაუვნებელყოფა/გარემოდან სრულად ამოღება) შესაბამისი საშუალებებით.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან ტერიტორიის გაუვნებელყოფის პროცესში გამოყენებული ყველა ხელსაწყო/სპეციალური დამცავი ტანსაცმელი, შემდგომ უნდა იქნეს დეკონტამინირებული.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა თან უნდა იქონიოს:

- ინსტრუქციები დეკონტამინაციის შესახებ;

- დეკონტამინაციისათვის აუცილებელი რეაგენტების საკმარისი რაოდენობა;
- დეკონტამინაციისათვის აუცილებელი სპეციალური დამცავი ტანსაცმელი;
- სხვა საჭირო აღჭურვილობა დეკონტამინაციის ჩასატარებლად;
- კომუნიკაციის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი გემოდიფიცირებული ორგანიზმის გამომგზავნთან, მიმღებსა და სამინისტროსთან კავშირს.

(მუხლი 6)

11. ნარჩენების მართვა და მასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები

- საქართველოს კანონი - ნარჩენების მართვის კოდექსი

ამ კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორეული ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერგიის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას).

ამ კოდექსის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა

11.1. სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები

ნარჩენი არის ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

თვისობრივად ნარჩენები იყოფა 2 კატეგორიად: სახიფათო და არასახიფათო.

<u>**სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელი მახასიათებლები:**</u>

„ფეთქებადი“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა ცეცხლის ალის ზემოქმედებით აფეთქდეს, ან რომლებიც ხახუნის მიმართ უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე დინიტრობენზოლი.
„მჟანგავი“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც სხვა ნივთიერებებთან, კერძოდ, აალებად ნივთიერებებთან, ურთიერთქმედებისას მაღალ ეგზოთერმულ რეაქციებს ავლენს.
„ადვილად აალებადი“:

- ✓ თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული 21°C-ზე ნაკლებია (მათ შორის, უკიდურესად აალებადი სითხეები);

- ✓ ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერთან ურთიერთქმედებისას ყოველგვარი ენერგიის გამოყენების გარეშე შესაძლოა გაცხელდეს და ცეცხლი გაუჩნდეს;
- ✓ მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვს უნარი, ცეცხლი გააჩინოს აალების წყაროსთან მცირე კონტაქტის დროსაც კი და რომლებიც აგრძელებს წვას ან შთანთქმას აალების წყაროსგან მოშორების შემდეგ;
- ✓ აირისებრი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჰაერში აალებადია ჩვეულებრივ წნევაზე;
- ✓ ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას საშიში ოდენობის ადვილად აალებად აირებს გამოყოფს.

„აალებადი“ – თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული მეტია ან ტოლია 21°C-ისა და ნაკლებია ან ტოლია 55°C-ისა.
„გამაღიზიანებელი“ – არაკოროზიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც კანთან ან ლორწოვან მემბრანასთან დაუყოვნებელი, განგრძობადი ან განმეორებითი ურთიერთქმედებისას შესაძლოა ანთება გამოიწვიოს.
„მავნე“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა ჯანმრთელობისათვის საშიშია.
„ტოქსიკური“ – ნივთიერებები და პრეპარატები (მათ შორის, მეტად ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები), რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული, მკვეთრი ან ქრონიკული დაზიანება ან სიკვდილიც კი გამოიწვიოს.
„კანცეროგენული“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა სიმსივნე გამოიწვიოს ან მისი გაჩენის ალბათობა გაზარდოს.
„კოროზიული“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესაძლოა ცოცხალ ქსოვილთან ურთიერთქმედებისას დაშალოს იგი.
„ინფექციური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ისეთ მიკროორგანიზმებს ან მათ ტოქსინებს, რომლებსაც, როგორც ცნობილია ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ან სხვა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება.
„რეპროდუქციისთვის ტოქსიკური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა არამემკვიდრეობითი თანდაყოლილი პათოლოგიები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა გაზარდოს.
„მუტაგენური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა მემკვიდრეობითი გენეტიკური დეფექტები გამოიწვიოს ან მათი განვითარების ალბათობა გაზარდოს.ნარჩენები, რომლებიც წყალთან, ჰაერთან ან მჟავასთან ურთიერთქმედებისას ტოქსიკურ ან მეტად ტოქსიკურ აირებს გამოყოფს.
„სენსიბილური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჰიპერმგრძნობიარე რეაქცია გამოიწვიოს, კერძოდ, მათ ხანგრძლივი ზემოქმედებისას შეიძლება დამახასიათებელი უარყოფითი გავლენა მოახდინონ.
„ეკოტოქსიკური“ – ნარჩენები, რომლებიც უქმნის ან რომლებმაც შესაძლოა შეუქმნას დაუყოვნებელი ან განგრძობადი რისკი გარემოს ერთ ან რამდენიმე სექტორს. ნარჩენები, რომლებმაც განთავსების შემდეგ შესაძლოა გამოყოს სხვა ნივთიერება.

(დანართი 3)

არასახიფათო ნარჩენებია ნარჩენები, რომლებსაც არ მოიცავ „სახიფათო ნარჩენების“ განმატება.

11.2. კოდექსის რეგულირების სფერო

ნარჩენების მართვის კოდექსი ვრცელდება ნებისმიერი სახის ნარჩენზე, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ნარჩენებისა.

<u>ამ კოდექსის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება:</u>

- რადიოაქტიური ნარჩენები;
- ატმოსფეროში აიროვანი გაფრქვევები;
- მიწა (პირვანდელ ადგილზე – ინ სიტუ), მათ შორის, ამოუღებელი დაბინძურებული ნიადაგი, მიწასთან განუყოფლად დაკავშირებული შენობები;
- დაუბინძურებელი ნიადაგი, აგრეთვე ბუნებაში გავრცელებული მასალა, რომელიც მშენებლობის პროცესში გათხრების შედეგად არის ამოღებული, თუ აშკარაა, რომ ეს მასალა მისი ბუნებრივი ფორმით იქნება გამოყენებული იმავე ადგილზე, სადაც აღნიშნული მშენებლობა მიმდინარეობს, და ამ მშენებლობის მიზნებისთვის იქნა იგი ამოღებული;
- ჩამდინარე წყლები, წყლის ობიექტების (მათ შორის, შავი ზღვის) ჩამდინარე წყლებით ან/და ნარჩენებით დაბინძურება;
- ხმარებიდან ამოღებული ფეთქებადი ნივთიერებები;
- ბიოლოგიური მასა – ფეკალური მასა/ნაკელი, ჩალა, აგრეთვე სხვა, მსგავსი ბუნებრივი წარმოშობის არასახიფათო მასალა, რომელიც გამოიყენება ფერმერულ საქმიანობაში, სატყეო მეურნეობაში ან აღნიშნული ბიოლოგიური მასისაგან ენერგიის ისეთი პროცესებისა და მეთოდების საშუალებით მისაღებად, რომლებიც საფრთხეს არ უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას;
- სამთო გადამუშავების ნარჩენები – კარიერებზე მუშაობის და მინერალური რესურსების შესწავლის, მოპოვების, გადამუშავებისა და შენახვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები;
- ხმარებიდან ამოღებული სამხედრო მნიშვნელობის ქიმიური ნივთიერებები;
- სამელიორაციო სისტემებზე განხორციელებული საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად ამოღებული დაუბინძურებელი მასა (ნატანი), რომელიც სისტემების გასხვისების ზოლებში უნდა განთავსდეს.

(მუხლი 2)

11.3. ნარჩენების მართვის სფეროში კომპეტენტური ორგანოები

<u>ნარჩენები მართვის სფეროში კომპეტენციები არაერთ სახელმწიფო უწყებაზე ნაწილდება. ესენი არინ:</u>

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას ნარჩენების მართვის კოდექსის 28-ე მუხლის *(ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა)* შესაბამისად.

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამინისტროსთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არეგულირებს და აკონტროლებს სამედიცინო ნარჩენების მართვას.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამინისტროსთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არეგულირებს და ზედამხედველობს ცხოველური ნარჩენების მართვას.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულება გასცემს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობას.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულება სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებენ და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენენ კანონქვემდებარე აქტის/აქტების პროექტს/პროექტებს, რომლითაც/რომლებითაც განისაზღვრება ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, კერძოდ, მოთხოვნები:
  - ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების სტანდარტებისადმი;
  - ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოსაყენებელი კონტეინერისადმი;
  - სახიფათო ნარჩენების გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის გამოცდილებისადმი.
- ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ ნაწილით განსაზღვრული უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.
- ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების მართვა (მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება) ნარჩენების მართვის კოდექსის მე-16 მუხლის *(მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება)* შესაბამისად (გარდა წინა პუნქტში გათვალისწინებული უფლებამოსილებისა).
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ოპერირება და დახურვა განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას.

(მუხლი 6)

11.4. დანაგვიანების აკრძალვა და დასუფთავების ვალდებულება

აკრძალულია ნარჩენის (ნარჩენების) გარემოში დაგდება (დაყრა), გადაგდება (გადაყრა) ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ.
ღონისძიების ორგანიზატორი ვალდებულია, დაასუფთაოს დანაგვიანებული ტერიტორია, თუ იგი მის მიერ ორგანიზებული ღონისძიების შედეგად დანაგვიანდა.

მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაც დანაგვიანდა, უფლებამოსილია მოსთხოვოს დამნაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დამნაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება მუნიციპალიტეტს ეკისრება, თუ აღნიშნული ტერიტორია კერძო საკუთრება არ არის.

(მუხლი 8)

11.5. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება

<u>**მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს:**</u>

- ✓ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;
- ✓ მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები ხელმისაწვდომი გახადოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის ნარჩენების შეგროვების სისტემის არსებობის შემთხვევაში.
მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი, მოსახლეობის გარდა, უფლებამოსილია არ ისარგებლოს ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სამსახურის მომსახურებით და მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები შესაგროვებლად და დასამუშავებლად გადასცეს იმ პირს, რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების უფლება. ასეთ შემთხვევაში ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე შესაბამის მუნიციპალიტეტს.
მუნიციპალიტეტის მიერ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვის შემთხვევაში მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია ამ სისტემით ისარგებლოს.
მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.
მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, შექმნან, დანერგონ და მართონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთობლივი სისტემა.
პირს, რომელიც ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას ან/და დამუშავებას, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ნებართვა ან გავლილი უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ამ კოდექსის VII თავის *(ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა და რეგისტრაცია)* თანახმად.
[პირს, რომელიც ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას ან/და დამუშავებას, უნდა ჰქონდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ან გავლილი უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ნარჩენების მართვის კოდექსის VII თავის *(ნარჩენების მართვასთან*

დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა და რეგისტრაცია) შესაბამისად. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]

(მუხლი 16)

11.6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ნარჩენებისმართვის სფეროში

ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

თავი X. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება	
მუხლი 31. მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება	
2 კგ- მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება	80 ლარი
იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან	100 ლარი
იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან	120 ლარი ჯარიმდება მძღოლი, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში – შესაბამისი დამრღვევი
5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება	150 ლარი
5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება	500 ლარი
2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევის, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანება	100 ლარი
2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა)	ფიზიკური პირი - 150 ლარი იურიდიული პირი - 500 ლარი
1 m^3 -ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება	ფიზიკური პირი - 300 ლარი იურიდიული პირი - 1000 ლარი
დიდი მოცულობის ნარჩენით (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო- ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის) გარემოს დანაგვიანება	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი -

	1500 ლარი
შენიშვნა: 1. ნარჩენი ითვლება ამ მუხლის მე-9 ნაწილით *(დიდი მოცულობის ნარჩენი (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების, ელექტრო- ან ელექტროტექნიკური დანადგარის, სამშენებლო დანადგარის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის)* გათვალისწინებულ დიდი მოცულობის ნარჩენად, თუ იგი 2 $მ^2$ -ზე მეტ ფართობს ფარავს. 2. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით *(2 კგ- მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან)* გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (გარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა) სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზაზე დაყრის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე საპატრულო პოლიციელმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულების უფლებამოსილმა თანამშრომელმა ადგილზე არ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი (საჯარიმო ქვითარი) ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს არ შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე, ამ მუხლის პირველი ნაწილით *(2 კგ- მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება)* გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, რომელსაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება გაეგზავნება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. 3. ამ მუხლის პირველი–მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაასუფთაოს მუნიციპალური ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია.	
მუხლი 32. სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება	
1 $მ^3$-მდე მოცულობის სამშენებლოან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება	ფიზიკური პირი - 200 ლარი იურიდიული პირი - 500 ლარი
1 $მ^3$ ან 1 $მ^3$-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი - 1500 ლარი
შენიშვნა: ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ვალდებულია დაუყოვნებლივ დაასუფთაოს სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია.	
მუხლი 33. შლამისებრი ნარჩენი ნივთიერებებით – ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება	
ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება	50 ლარი

1 $м^3$-მდე მოცულობის ფეკალური მასით ან კანალიზაციის ნარჩენით ტერიტორიის დაბინძურება	ფიზიკური პირი - 150 ლარი იურიდიული პირი - 500 ლარი
1 $м^3$ ან 1 $м^3$-ზე მეტი მოცულობის ფეკალური მასით ან კანალიზაციის ნარჩენით ტერიტორიის დაბინძურება	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი - 2000 ლარი
შენიშვნა: 1. ამ მუხლის პირველი ნაწილით *(ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება)* გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე განხორციელებული ქმედებებისთვის. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით *(ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება)* გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მეპატრონეს, თუ იგი დაუყოვნებლივ და სრულად დაასუფთავებს ფეკალური მასებით დაბინძურებულ ტერიტორიას.	
მუხლი 34. ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება	
20 კგ-მდე ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება	ფიზიკური პირი - 150 ლარი იურიდიული პირი - 500 ლარი
20 კგ ან 20 კგ-ზე მეტი ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება	ფიზიკური პირი - 300 ლარი იურიდიული პირი - 1000 ლარი
შენიშვნა: ამ მუხლის პირველი ნაწილით *(20 კგ-მდე ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება)* გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაასუფთაოს ცხოველის სხეულის ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია.	
მუხლი 35. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა	
მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა	200 ლარი
მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით	500 ლარი

გათვალისწინებული ნარჩენებისა) (მათ შორის, საბურავის, რეზინის და სხვა ელასტომერული მასალის) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა	
მუხლი 36. სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა	
სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში ან მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება	ფიზიკური პირი - 400 ლარი იურიდიული პირი - 1000 ლარი
სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების არადანიშნულების კონტეინერში (მათ შორის, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების კონტეინერში) მოთავსება	ფიზიკური პირი - 400 ლარი იურიდიული პირი - 1000 ლარი
სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი - 1500 ლარი
სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ნარჩენების დამუშავების ობიექტის გარეთ დამუშავება	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი - 1500 ლარი
[სახიფათო ნარჩენების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი - 1500 ლარი
[სახიფათო ნარჩენების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ნარჩენების დამუშავების ობიექტის გარეთ დამუშავება (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი - 1500 ლარი
ნარჩენების მფლობელი მეწარმე სუბიექტის მიერ შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მიზნით სახიფათო ნარჩენების არაუფლებამოსილი პირისთვის გადაცემა	ნარჩენების მფლობელი მეწარმე სუბიექტი - 400 ლარი
შენიშვნა: ამ მუხლის საჭიროებისათვის დანიშნული ექსპერტიზის ჩატარების ღირებულებას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულმა ექსპერტიზამ ნარჩენები სახიფათოდ ცნო, აანაზღაურებს პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.	

მუხლი 46. ამ კოდექსის 31-ე–45-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა	
ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მისი აღმოფხვრის თაობაზე სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა	გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას (ჯარიმის დაკისრებას) ამ კოდექსის იმ მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის ფარგლებში, რომლის დარღვევის გამოც პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრა
ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანამშრომლის მიერ უფლების განხორციელებისა და მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლა	5 000 ლარი
ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის, მასალისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, შემოწმების პროცესში შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოთხოვნის უგულებელყოფა)	500 ლარი

11.7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

ამ კოდექსის 31-ე–46-ე მუხლებით *(მუხლი 31. მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; მუხლი 32. სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; მუხლი 33. შლამისებრი ნარჩენი ნივთიერებებით – ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება; მუხლი 34. ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; მუხლი 35. მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა; მუხლი 36. სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა; მუხლი 37. ნარჩენების ტრანსპორტირებისას ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება; მუხლი 38. ნარჩენების ტრანსპორტირების წესის დარღვევა; მუხლი 39. სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა; მუხლი 40. ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების ან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის დარღვევა;*

მუხლი 41. არსებული ნაგავსაყრელის ოპერირების ვადისა და პირობების დარღვევა; მუხლი 42. გარემოსდაცვითი მმართველის განსაზღვრის ან/და მისი ვინაობის სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა; მუხლი 43. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის წარდგენის მოთხოვნების დარღვევა; მუხლი 44. ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა; მუხლი 45. სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებების შეუსრულებლობა; მუხლი 46. ამ კოდექსის 31-ე–45-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს შესაბამისი ჯარიმის ოდენობის გაორმაგებას.

ამ კოდექსის 31-ე–35-ე და 37-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ჩადენა გამოიწვევს შესაბამისი ჯარიმის ოდენობის გაორმაგებას, ხოლო აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა – შესაბამისი ჯარიმის ოდენობის გაოთხმაგებას.

სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესები.

[გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]

ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამ კოდექსის 31-ე–34-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 37-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს ასევე ეკისრება ნარჩენებით დაბინძურებული/დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება. ამ ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავებას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს, ხოლო დასუფთავების ხარჯები სამართალდამრღვევს ეკისრება.

ამ კოდექსის 31-ე–36-ე და 39-ე–42-ე მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 44-ე–46-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.

ამ კოდექსის 31-ე–34-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 37-ე და 38-ე მუხლებითა და მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლები, თუ სამართალდარღვევა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით იქნება ჩადენილი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი უშუალოდ შეესწრება (დააფიქსირებს) აღნიშნული სამართალდარღვევის ფაქტს.

ამ კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი.
რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ამ კოდექსის 31-ე–46-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.
სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 31-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4–მე-9 ნაწილებით, 32-ე–36-ე და 39-ე–42-ე მუხლებით, 43ე მუხლის მე-2 ნაწილით და 44-ე–46-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლებს აქვთ ამ კოდექსის 31-ე–34-ე მუხლებით, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 37-ე და 38-ე მუხლებითა და მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება, თუ სამართალდარღვევა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით იქნება ჩადენილი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი უშუალოდ შეესწრება (დააფიქსირებს) აღნიშნული სამართალდარღვევის ფაქტს.
მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილ პირს აქვს ამ კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.
ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.
ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.
ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმას და მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს შესაბამისად სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.
ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი დამრღვევის მიერ საჩივრდება სასამართლოში.

(მუხლი 47)

12. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

❖ **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**

თავი VII. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში *ადგენს ჯარიმების ოდენობებს მიწის დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არამიზნობრივი გამოყენებაისათვის, მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნისათვის, სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობისათვის, მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისას ნიადაგისა და წყლის გაუვარგისებისათვის, მიწის დაბინძურებისათვის, დეგრადაციისა ან სხვაგვარი გაუვარგისებისათვის, მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენებისათვის, წიაღის დაცვის მოთხოვნათა დარღვევისათვის, წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევისათვის, ლიცენზიის პირობების დარღვევისათვის, წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევისათვის, ზღვის დაბინძურებისათვის, ხე-ტყის დამზადებისას ტყით სარგებლობის წესების დარღვევისათვის, ტყითსარგებლობის წესებისა და მოთხოვნების დარღვევისათვის, გარემოს დაცვის ნორმების დარღვევისათვის და სხვა.*

თავი IX. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები სოფლის მეურნეობაში. ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევა *- მუხლი 103 [1], მუხლი 104.*

ადგენს ჯარიმების ოდენობას ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევისათვის, გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევისათვის, ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის.

თავი X. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ტრანსპორტზე, საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში *- მუხლი 128 [2], მუხლი 128 [3]. მუხლი 128 [4]. მუხლი*

ადგენს ჯარიმების ოდენობას ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მოთხოვნათა დარღვევისათვის,ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის, იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, . ხე-ტყის მოსარგებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა და სპეციალური ფირნიშების გამოყენების, ხე-ტყის მარკირების, ასევე მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევისათვის.

თავი VII. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში	
მუხლი 51. მიწის დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობა	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-შენახვისა და სამელიორაციო სამუშაოთა ჩაუტარებლობის, აგრეთვე რეკულტივაციის, ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგის დაცვის მიწათმოსარგებლეზე დამოკიდებელი სავალდებულო ღონისძიებების შეუსრულებლობა	500 ლარიდან 1000 ლარამდე
მუხლი 51[1]. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არამიზნობრივი გამოყენება	
1. დაცული ტერიტორიების მართვისა და დაცვისათვის უშუალოდ პასუხისმგებელ პირთა მიერ დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არა იმ მიზნით გამოყენება, რისთვისაც ისინი გამოიყო	150 ლარიდან 200 ლარამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	300 ლარიდან 500 ლარამდე
მუხლი 51[2]. მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა	
ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის)ნილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან	1500 ლარიდან 2000 ლარამდე
მუხლი 51[3]. სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობა	
სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობა	800 ლარიდან 1000 ლარამდე
იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	3000 ლარიდან 3500 ლარამდე
მუხლი 51[4]. მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისას ნიადაგისა და წყლის გაუვარგისება	
მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისას ნიადაგისა და წყლის გაუვარგისება	შრომის ანაზღაურება ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე
მუხლი 51[5]. მაღალმთიან რეგიონებში იმ სუბალპური და ალპური მცენარეულობის მოპოვება, რომლის საწვავად და სხვა მიზნით მოხმარება აკრძალულია	
მაღალმთიან რეგიონებში იმ სუბალპური და ალპური მცენარეულობის მოპოვება, რომლის საწვავად და სხვა მიზნით მოხმარება აკრძალულია	30 ლარიდან 50 ლარამდე

მუხლი 52. მიწის დაბინძურება, დეგრადაცია ან სხვაგვარი გაუვარგისება	
მიწის დაბინძურება, დეგრადაცია ან სხვაგვარი გაუვარგისება	500 ლარიდან 800 ლარამდე
მუხლი 53. დროებით დაკავებული მიწის თავის დროზე დაუბრუნებლობა ან დანიშნულებისამებრ მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მოვალეობის შეუსრულებლობა	
დროებით დაკავებული მიწის თავის დროზე დაუბრუნებლობა ან დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მოვალეობის შეუსრულებლობა	400 ლარიდან 500 ლარამდე
მუხლი 53[1]. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მოქცეული, დროებით დაკავებული მიწების დროულად დაუბრუნებლობა	
1. დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მოქცეული, დროებით დაკავებული მიწების დროულად დაუბრუნებლობა	200 ლარიდან 300 ლარამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	300 ლარიდან 400 ლარამდე
მუხლი 53[2]. მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება	
მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება	500 ლარიდან 1000 ლარამდე
მუხლი 53[3]. მიწათმოსარგებლის მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის (ან მისი ნაწილის) არსებული წესის დარღვევით სხვა მიწათმოსარგებლისათვის გადაცემა	
მიწათმოსარგებლის მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის (ან მისი ნაწილის) არსებული წესის დარღვევით სხვა მიწათმოსარგებლისათვის გადაცემა	600 ლარიდან 700 ლარამდე
იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით	2000 ლარიდან 2500 ლარამდე
მუხლი 54. მიწის გამოყენებისა და დაცვის შესახებ პროექტისაგან სათანადო ნებართვის გარეშე გადახვევა	
მიწის გამოყენებისა და დაცვის შესახებ პროექტისაგან სათანადო ნებართვის გარეშე	300 ლარიდან 500 ლარამდე
მუხლი 54[1]. მიწის კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა	
მიწის კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა	600 ლარიდან 700 ლარამდე

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	2000 ლარიდან 2500 ლარამდე
მუხლი 55. სამიჯნე ნიშნის მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებურად შეცვლა	
მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნის მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა	300 ლარიდან 700 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ათი დღის ვადით, საზღვრის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით
იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1500 ლარიდან 2000 ლარამდე
მუხლი 55[1]. მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა	
მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა	1000 ლარიდან 2000 ლარამდე
მუხლი 55[2]. სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა	
სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა	1000 ლარიდან 2000 ლარამდე
იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით	3000 ლარიდან 3500 ლარამდე
მუხლი 55[3]. მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა	
მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა	თანამდებობის პირთა დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე
მუხლი 55[4]. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა	
1. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა	50 ლარიდან 100 ლარამდე

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	100 ლარიდან 150 ლარამდე
მუხლი 55[5]. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა	
1. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა	2000 ლარი
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	3500 ლარი
შენიშვნა: 1. თუ ვერ დგინდება სამართალდამრღვევი პირის ვინაობა, უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს ზომები სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით. 2. ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით (*<u>მუხლი 290. დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ვადები და წესი, 1. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილითგათვალისწინებულ შემთხვევებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 208-ე და 208[2] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაჯარიმებისას – დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234[1] მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე, გარდა ამ მუხლის 15 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.)</u>* განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	

მუხლი 56. წიაღის დაცვის მოთხოვნათა დარღვევა	
1. წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის, მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ნიადაგის რეკულტივაციის წესებისა და ნორმების დარღვევა	500 ლარიდან 800 ლარამდე
2. სასარგებლო წიაღისეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გაუარესება	800 ლარიდან 1000 ლარამდე
მუხლი 56[1]. (ამოღებულია)	
მუხლი 56[2]. (ამოღებულია)	
მუხლი 57. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა	
წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ან მოჰყვა მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილების, სამარკშეიდერო და გეოდეზიური ნიშნების მოსპობა ან დაზიანება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და დამცავი ზონების ხელყოფა, გეოლოგიური ინფორმაციის საკუთრების უფლების დარღვევა, წიაღის შესახებ დაგვიანებული ან ცრუ ინფორმაციის შეგნებულად მიწოდება	მოქალაქეთა დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე
მუხლი 57[1]. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე	
წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე	1000 ლარიდან 1500 ლარამდე
მუხლი 57[2]. წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა	
წიაღით სარგებლობის ნორმების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა	400 ლარიდან 700 ლარამდე
მუხლი 57[3]. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა	
1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში წარუდგენლობა	500 ლარი

2. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	2 000 ლარი
მუხლი 57[4]. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან დადგენილი წესით გათავისუფლებული პირის მიერ წიაღით სარგებლობა სათანადო პირობების დარღვევით	
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან დადგენილი წესით გათავისუფლებული პირის მიერ წიაღით სარგებლობა სათანადო პირობების დარღვევით	500 ლარი
მუხლი 58. წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა	
1. წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრა	200 ლარიდან 300 ლარამდე
2. სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება	400 ლარიდან 600 ლარამდე
წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ზეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით	300 ლარიდან 600 ლარამდე
4. ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით	500 ლარიდან 800 ლარამდე
მუხლი 58[1]. დაცული ტერიტორიების ფარგლებში წყლის დაცვის წესების დარღვევა	
დაცული ტერიტორიების კანონმდებლობით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებული წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების რეჟიმის დარღვევა	250 ლარიდან 350 ლარამდე
იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით	450 ლარიდან 550 ლარამდე
მუხლი 58[2]. ზღვის დაბინძურება	
1. ხმელეთიდან ზღვაში საყოფაცხოვრებო ნაგვის ან სხვა ნარჩენების ჩაყრა	100 ლარიდან 300 ლარამდე
2. ხმელეთიდან ზეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით ზღვის დაბინძურება ან დანაგვიანება	300 ლარიდან 600 ლარამდე
3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	500 ლარიდან 800 ლარამდე

4. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში საყოფაცხოვრებო (მყარი) ნარჩენების ჩაყრა	2000 ლარი
5. 20 000 ტონამდე საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრა	5000 ლარი
6. 20 000 ტონა ან მეტი საერთო ტევადობის გემიდან ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ჩაღვრა	10 000 ლარი
7. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან, მილსადენიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ანდა მასალის ჩაღვრა (ჩაყრა, ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება	65000 ლარი
მუხლი 58³. სატრანსპორტო საშუალების (მცურავი სატრანსპორტო საშუალების გარდა) ზღვაში, ტბაში, წყალსაცავში, მდინარეში ან ზედაპირული წყლის სხვა ობიექტში ან/და მის ნაპირთან წყლიდან 10 მეტრზე უფრო ახლო მანძილზე გარეცხვა	
სატრანსპორტო საშუალების (მცურავი სატრანსპორტო საშუალების გარდა) ზღვაში, ტბაში, წყალსაცავში, მდინარეში ან ზედაპირული წყლის სხვა ობიექტში ან/და მის ნაპირთან წყლიდან 10 მეტრზე უფრო ახლო მანძილზე გარეცხვა	50 ლარი
მუხლი 59. სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებლობა	
გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის ან მეთაურთა შემადგენლობის სხვა პირთა მიერ სახომალდო დოკუმენტებში ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებთან ან/და დადგენილი ნორმების გადამეტებით ასეთ ნივთიერებათა შემცველ მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აღნიშნულ პირთა მიერ სახომალდო დოკუმენტებში არასწორი ჩანაწერების შეტანა ამ ოპერაციების შესახებ ან შესაბამის თანამდებობის პირთათვის ამ დოკუმენტების წარდგენაზე უკანონოდ უარის თქმა	200 ლარიდან 300 ლარამდე
მუხლი 59¹. (ამოღებულია)	
მუხლი 59². მაიონებელი გამოსხივების წყაროებით სარგებლობის წესების დარღვევა	
1. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, კერძოდ, ორგანიზაციული სახის დარღვევები (დოკუმენტაციის წარმოების შეუსაბამობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან)	200 ლარი

2. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მუშაკის დასხივება დადგენილი დოზური ზღვრის გადაჭარბებით ან პაციენტის დაუსაბუთებელი სამედიცინო დასხივება	500 ლარი
3. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, რამაც შეიძლება მავნე ზემოქმედება მოახდინოს მოსახლეობაზე ან/და დააბინძუროს გარემო	1500 ლარი
4. მაიონებელი გამოსხივების წყაროების მქონე ობიექტიდან ატმოსფერულ ჰაერში რადიოაქტიური ნივთიერებების გაფრქვევა დადგენილ ნორმაზე მეტად	1500 ლარი
5. მაიონებელი გამოსხივების წყაროების მქონე ობიექტიდან გამდინარე წყლებში რადიოაქტიური ნივთიერებების ჩაშვება დასაშვებ დონეზე ჭარბი რაოდენობით	1500 ლარი
6. მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან (გარდა ბირთვული მასალისა ან მოწყობილობისა, რადიოაქტიური ნარჩენისა, რადიოაქტიური ნივთიერებისა) მოპყრობა ლიცენზიის გარეშე	2000 ლარი
მუხლი 59³. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების რეგულირების საფასურის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში და დადგენილი წესით გადაუხდელობა	
1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების რეგულირების საფასურის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში და დადგენილი წესით გადაუხდელობა	5 000 ლარი
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	10 000 ლარი
მუხლი 60. წყალსარგებლობის წესების დარღვევა	
1. საერთო წყალსარგებლობის მოთხოვნათა დარღვევა	200 ლარიდან 400 ლარამდე
2. (ამოღებულია)	
3. (ამოღებულია)	
4. განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტებით უკანონო სარგებლობა	350 ლარიდან 550 ლარამდე
5. ამ მუხლის პირველი და მე -4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით	400 ლარიდან 800 ლარამდე
მუხლი 60¹. (ამოღებულია)	
მუხლი 60². (ამოღებულია)	

მუხლი 60³. წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარიული დაცვის ზონების კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა	
1. წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, რაც იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს	ფიზიკური პირები - 100 ლარამდე იურიდიული პირები - 500 ლარამდე
2. სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილ სანიტარიული დაცვის ზონებსა და წყალდაცვით ზოლებში კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა	ფიზიკური პირები - 1000 ლარი იურიდიული პირები - 2000 ლარი
3. იგივე ქმედება, ჩადენილი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონაში	ფიზიკური პირები - 2000 ლარი იურიდიული პირები - 4000 ლარი
მუხლი 61. წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა	
წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება ან მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა	100 ლარიდან 200 ლარამდე
იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით	150 ლარიდან 250ლარამდე
მუხლი 61¹ . წყალსარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესების დარღვევა	
1. წყლის მდგომარეობაზე ზეგავლენის მომხდენი ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება	50 ლარიდან 200 ლარამდე
2. წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დარღვევა	50 ლარიდან 100 ლარამდე
მუხლი 62. (ამოღებულია)	
მუხლი 63. ხე-ტყის დამზადებისას ტყითსარგებლობის წესების დარღვევა	
საანგარიშო ტყეკაფის დადგენის, ტყეკაფის გამოყოფის, ხე-ტყის ზეზეურად გაცემის, მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრისა და სპეციალური ჭრის წესების დარღვევა	50 ლარიდან 200 ლარამდე

იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე	50 ლარიდან 250 ლარამდე
მუხლი 63[1]. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის, აღკვეთილის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ზონის, დაცული ლანდშაფტის, ბიოსფერული რეზერვატის ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში ტყეკაფის ფონდის გამოყოფის, გამოყენებისა და ტყითსარგებლობის წესების დარღვევა	
ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის, აღკვეთილის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ზონის, დაცული ლანდშაფტის, ბიოსფერული რეზერვატის ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში ტყეკაფის ფონდის გამოყოფის, გამოყენებისა და ტყითსარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა	200 ლარიდან 300 ლარამდე
მუხლი 64. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების, ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში ნათესების ან ნერგების მოსპობა ან დაზიანება, რამაც შესაძლოა მათი ზრდის შეწყვეტა გამოიწვიოს	200 ლარიდან 400 ლარამდე
მუხლი 64[1]. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება	
1. დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება	400 ლარიდან 500 ლარამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ	500 ლარიდან 600 ლარამდე
მუხლი 65. ტყითსარგებლობის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა	
სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების, სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის, სახელმწიფო ტყითა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების, სახელმწიფო ტყის ფონდით საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობის, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა	50 ლარიდან 150 ლარამდე

მუხლი 65[1]. (ამოღებულია)	
მუხლი 65[2]. (ამოღებულია)	
მუხლი 66. უკანონო ტყითსარგებლობა, ტყითსარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით	
1. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე ან სამონადირეო მეურნეობის მოწყობა სათანადო ლიცენზიის გარეშე	500 ლარი სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1000 ლარი სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით
3. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ან ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა	2000 ლარი სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა, ჩადენილი განმეორებით	4000 ლარი სამართალდარღვევის საგნისა და იარაღის კონფისკაციით
მუხლი 66[1]. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენება	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენება	100 ლარიდან 200 ლარამდე
მუხლი 66[2]. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა	
ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა	2 000 ლარი

მუხლი 66³. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობით (საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის გარდა), მისი ნაწილით ან დერივატით უკანონო ვაჭრობა, აგრეთვე ამ სახეობის, მისი ნაწილის ან დერივატის უკანონო ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია	
1. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობით (საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის გარდა), მისი ნაწილით ან დერივატით უკანონო ვაჭრობა	1 000 ლარი სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით
2. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის (საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის გარდა), მისი ნაწილის ან დერივატის უკანონო ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია	2 000 ლარი სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით
მუხლი 66⁴. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის პირობების დარღვევა	
„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის პირობების დარღვევა	2 000 ლარი სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით
მუხლი 67. ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენის ან გაშენების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა	
ტყის დაცვის ან სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, აღდგენის ან გაშენების, ან სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა	20 ლარიდან 50 ლარამდე
ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური, ქიმიური ან სელექციური საშუალებების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევა	50 ლარიდან 150 ლარამდე
მუხლი 67¹. ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონებში, აღკვეთილსა და ბიოსფერული რეზერვატის ბუნების მართვადი დაცვისა (მანიპულაციების) და აღდგენის ზონებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების წესების დარღვევა	
ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონებში, აღკვეთილსა და ბიოსფერული რეზერვატის ბუნების მართვადი დაცვისა (მანიპულაციების) და აღდგენის ზონებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების წესების დარღვევა	200 ლარიდან 300 ლარამდე
მუხლი 68. სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება	
1. სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება	30 ლარიდან 50 ლარამდე

2. დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მდელოების, მინდვრების, ველების, სათიბი ან საძოვარი სავარგულების დაზიანება და ძოვების წესების დარღვევა	30 ლარიდან 50 ლარამდე - წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) 70 ლარიდან 100 ლარამდე - მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე
3. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	50 ლარიდან 70 ლარამდე - წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) 120 ლარიდან 150 ლარამდე - მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე
4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში	100 ლარიდან 150 ლარამდე - წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) 150 ლარიდან 200 ლარამდე - მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე
5. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში	150 ლარიდან 200 ლარამდე - წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) 220 ლარიდან 270 ლარამდე - მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე
მუხლი 69. გარემოს დაცვის ნორმების დარღვევა	
1. გარემოს დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა	100 ლარიდან 300 ლარამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის	200 ლარიდან 400 ლარამდე

მუხლი 69[1]. (ამოღებულია)	
მუხლი 69[2]. (ამოღებულია)	
მუხლი 69[3]. (ამოღებულია)	
მუხლი 69[4]. გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას	
გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას	300 ლარიდან 500 ლარამდე
მუხლი 69[5]. გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ლიკვიდაციისას	
გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ლიკვიდაციისას	200 ლარიდან 400 ლარამდე
[**მუხლი 69[6] . ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მომსახურების სფეროში დადგენილი მოთხოვნების დარღვევა** (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	
1. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმე სუბიექტის მიერ არასერტიფიცირებული ტექნიკოსის მომსახურების მიღება	ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმე სუბიექტი - 100 ლარი
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების მფლობელი მეწარმე სუბიექტი - 200 ლარი
3. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების არასერტიფიცირებული ტექნიკოსის მიერ მომსახურება	არასერტიფიცირებული ტექნიკოსი - 200 ლარი
4. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	არასერტიფიცირებული ტექნიკოსი - 400 ლარი
მუხლი 70. (ამოღებულია)	
მუხლი 71. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დანაგვიანება და დაზიანება	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით, რასაც ტყის გახმობა ან დაავადება მოსდევს	1000 ლარი

მუხლი 71[1]. დაცული ტერიტორიების მიწების დანაგვიანება, დაზიანება	
1. (ამოღებულია)	
2. (ამოღებულია)	
3. (ამოღებულია)	
4. (ამოღებულია)	
5. დაცული ტერიტორიების მიწების რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით დაბინძურება ან დაზიანება	3 000 ლარი
6. (ამოღებულია)	
7. (ამოღებულია)	
შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შედეგების გამოსასწორებლად სამართალდამრღვევს მიეცემა გონივრული ვადა	
მუხლი 72. (ამოღებულია)	
მუხლი 72[1]. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის ან ტყითსარგებლობის დაგეგმვის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა	
სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის ან სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების აღრიცხვის სისტემის განსაკუთრებულ მოთხოვნათა დარღვევა	50 ლარიდან 150 ლარამდე
ტყითსარგებლობის დაგეგმვის მოთხოვნათა დარღვევა, ან ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება ტყეთმოწყობის ან სპეციალური გამოკვლევის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული დოკუმენტაციის გარეშე	70 ლარიდან 200 ლარამდე
მუხლი 73. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება	
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება	100 ლარიდან 200 ლარამდე
მუხლი 74. ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება	
ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება	10 ლარამდე
მუხლი 75. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის დარღვევა	

სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესის დარღვევა	50 ლარიდან 150 ლარამდე
სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა და ტყითსარგებლობის განხორციელების რეჟიმის დარღვევა სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყის იმ უბნის ტერიტორიაზე, რომელსაც მიკუთვნებული აქვს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, ან სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების ან ლანდშაფტური უბნის ტერიტორიაზე მეურნეობის წარმოების რეჟიმის დარღვევა	70 ლარიდან 150 ლარამდე
მუხლი 76. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ან ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნათა დარღვევა	
ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ან ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნათა დარღვევა	50 ლარიდან 150 ლარამდე
ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე	100 ლარიდან 200 ლარამდე
მუხლი 77. ა ტმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ან მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების უქონლობა, გაფრქვევის ნორმების გადამეტება ან ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედება	
1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების უქონლობა	500 ლარი
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტება, ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების (მათ შორის, ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების) დადგენილი ნორმების გადამეტება	500 ლარიდან 1 000 ლარამდე
მუხლი 77[1]. დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება	
1. დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება	ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის გაფრთხილება
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში იმავე ქმედების მეორედ ჩადენა	ფიზიკური პირი - 150 ლარი იურიდიული პირი – 500 ლარი

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენა ან/და ამ ქმედების ჩადენის შემდეგ იმავე ქმედების ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის სტატუსის გაუქმებამდე ჩადენა	ფიზიკური პირი - 300 ლარი იურიდიული პირი – 1000 ლარი
შენიშვნა: 1. ამ მუხლის მიზნებისათვის აკუსტიკურ ხმაურში იგულისხმება „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აკუსტიკური ხმაური, მათ შორის, პიროტექნიკური ნაკეთობის მიერ გამოცემული ხმაური. 2. ამ მუხლის მიზნებისათვის აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები დგინდება „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით. 3. ამ მუხლის მიზნებისათვის დღის საათებში იგულისხმება დრო 08:00 საათიდან 23:00 საათამდე, ხოლო ღამის საათებში – დრო 23:00 საათიდან 08:00 საათამდე. 4. ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება არსებულ საავიაციო, სარკინიგზო (მათ შორის, მეტროპოლიტენის), საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული ადამიანის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო ღონისძიებებზე.	
მუხლი 77[2]. ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება	
1. ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება	ფიზიკური პირი - 150 ლარი იურიდიული პირი – 500 ლარი
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში იმავე ქმედების მეორედ და მის შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა	ფიზიკური პირი - 300 ლარი იურიდიული პირი – 1000 ლარი

შენიშვნა: 1. ამ მუხლის მიზნებისათვის პიროტექნიკურ ნაკეთობაში იგულისხმება პიროტექნიკური შემადგენლობის ნაკეთობა, რომლის თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და რომელიც განკუთვნილია სპეციალური სამუშაოების მიმდინარეობის, აგრეთვე მასობრივი, სადღესასწაულო (საზეიმო) ღონისძიებების ჩატარების დროს სინათლის, ხმის, კვამლის და კომბინირებული (მათ შორის, სასცენო) ეფექტების შესაქმნელად. 2. ამ მუხლის მიზნებისათვის ღამის საათებში იგულისხმება დრო 23:00 საათიდან 08:00 საათამდე. 3. ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება ახალი წლის სადღესასწაულო დღეებზე (31 დეკემბრის 21:00 საათიდან 2 იანვრის 23:00 საათამდე და 13 იანვრის 21:00 საათიდან 14 იანვრის 23:00 საათამდე), საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღესა (9 აპრილი) და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე (26 მაისი).	
მუხლი 78. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, აგრეთვე ამ მოწყობილობათა გამოუყენებლობა	
1. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა	500 ლარიდან 1000 ლარამდე
2. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოუყენებლობა	1000 ლარიდა 2000 ლარამდე
მუხლი 79. (ამოღებულია)	
მუხლი 79[1]. საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე	
საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე	7000 ლარიდან 10000 ლარამდე
მუხლი 79[2]. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (მათ შორის, გარემოსდაცვითი ნებართვის) პირობების ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (მათ შორის, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით) გათვალისწინებული პირობების დარღვევა	
გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (მათ შორის, გარემოსდაცვითი ნებართვის) პირობების ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (მათ შორის, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით) გათვალისწინებული პირობების დარღვევა	5 000 ლარი

შენიშვნა: 1. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (მათ შორის, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით) გათვალისწინებული პირობების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას. 2. ამ შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (მათ შორის, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) მფლობელი არ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, დაკისრებული გასამმაგებული ჯარიმა სამმაგდება.	
მუხლი 79³. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	
1. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	5 000 ლარი
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, განსაზღვრულ ვადაში მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	დაკისრებული ჯარიმის გასამმაგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
3. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	დაკისრებული ჯარიმის გასამმაგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
მუხლი 79⁴. ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სფეროში დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან დარღვევა, ან ოზონდამშლელი ნივთიერების წარმოება, ან აკრძალული ოზონდამშლელი ნივთიერებებით ვაჭრობა	
1. ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევა	1000 ლარი
2. ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ნებართვის გარეშე	თითოეულ კილოგრამ ნივთიერებაზე 20 ლარი

3. აკრძალული ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი	თითოეულ კილოგრამ ნივთიერებაზე 30 ლარით
4. ოზონდამშლელი ნივთიერების წარმოება	1000 ლარი
5. აკრძალული ოზონდამშლელი ნივთიერებებით ვაჭრობა	1000 ლარი
მუხლი 79[5]. ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევა	
ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევა	1000 ლარი
მუხლი 79[6]. ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების იმპორტზე წინასწარ დასაბუთებული თანხმობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა	
ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების იმპორტზე წინასწარ დასაბუთებული თანხმობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა	1000 ლარი
[**მუხლი 79[7]. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება** (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	
1. გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება ან სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება	7 000 ლარიდან 10 000 ლარამდე
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება, ჩადენილი განმეორებით	14 000 ლარი
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დაწყებული საქმიანობა, რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებიდან 3 წლის შემდეგ ხორციელდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე	გაფრთხილება
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	500 ლარი
მუხლი 79[8]. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	
1. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	5 000 ლარი

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	დაკისრებული ჯარიმის გასამმაგება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით
3. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა	დაკისრებული ჯარიმის გასამმაგება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით
მუხლი 80. ისეთ სატრანსპორტო და სხვა მოძრავ საშუალებათა საექსპლუატაციოდ გაშვება, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა ნორმატივებს აღემატება	
ისეთი ავტომობილების, თვითმფრინავების, გემებისა და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების საექსპლუატაციოდ გაშვება, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს	თანამდებობის პირთა გაფრთხილება ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე
მუხლი 81. ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება	
მოქალაქეთა მიერ ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების და დანადგარების ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყუანებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს	გაფრთხილება ან დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე
მუხლი 82. (ამოღებულია)	
მუხლი 82[1]. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა	
ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა	ას ორმოცდაათი ლარი
მუხლი 82[2]. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა	
1. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა (გარდა ამ კოდექსის 58[2] მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით *(5. 20 000 ტონამდე საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრა – გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.* *6. 20 000 ტონა ან მეტი საერთო ტევადობის გემიდან ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ჩაღვრა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.)* და ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	500 ლარი

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1000 ლარი
3. საწარმოო და არასაწარმოო ობიექტების მიერ ზღვაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა	1000 ლარი
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	3000 ლარი
[მუხლი 82³. „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმისა და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების დარღვევა (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	
1. „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმისა და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტით“ გათვალისწინებული სარეგისტრაციო ჟურნალის გამოუყენებლობა ან მისი ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევით წარმოება	150 ლარი
2. მაცივარაგენტების წლიური მოხმარების შესახებ მონაცემების „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმისა და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტით“ დადგენილი ფორმით ან დადგენილ ვადაში წარუდგენლობა	150 ლარი
[მუხლი 824. საქართველოს სტანდარტის – „სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების“ მოთხოვნათა დარღვევა ან შეუსრულებლობა (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]	
საქართველოს სტანდარტის – „სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების“ მოთხოვნათა დარღვევა ან შეუსრულებლობა	400 ლარი
მუხლი 83. (ამოღებულია)	
მუხლი 84. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და 4¹ ნაწილებით *(4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51 2, 51 4–53 2, 54-ე, 54 1, 55 1, 55 4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59 3, მე-60, 60 3, 61 1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69 4–69ϵ, 71-ე, 71 1, 72 1–77-ე, 78-ე და 79 1–79 5 მუხლებით, 79 6 მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 82 1–82 4, 84-ე–86-ე, 87 1–87 3 და 89-ე–89 3 მუხლებით, 91 3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103 1, 104-ე და 128 2–128 5 მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 173 5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.*	
[4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51 2 , 51 4 –53 2 , 54-ე, 54 1 , 55 1 , 55 4 , 56-ე, 57-ე–59-ე, 59 3 , მე-60, 60 3 , 61 1 , 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69 4–69 6 , 71-ე, 71 1 , 72 1 –78-ე და 79 1 –79 5 მუხლებით, 79 6 მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79 7, 79 8 , 82 1 –82 4 , 84-ე–86-ე, 87 1 –87 3 და 89-ე–89 3 მუხლებით, 91 3 მუხლის მე-3 ნაწილით, 103 1 , 104-ე და 128 2 –128 5 მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 173 5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.	

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)] *4 1. ამ კოდექსის 59² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები)* **გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა**	
1. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და 4¹ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემდეგმათი აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა	სახდელის (ჯარიმის) დადებას ამ კოდექსის იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის ფარგლებში, რომლის დარღვევის გამოც დაეკისრა სამართალდარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით, ხოლო დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) არსებობის შემთხვევაში – იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის სანქციის მაქსიმალური საჯარიმო თანხის გაორმაგებას, რომლის დარღვევის გამოც დაეკისრა სამართალდარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) დადებიდან ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და 4¹ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა	დაკისრებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) გაორმაგება
3. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და 4¹ ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ხელის შეშლა	5000 ლარი

4. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4 და 4 [1] ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმების შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა (მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, შემოწმების პროცესში შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოთხოვნის უგულებელყოფა)	500 ლარი
5. ამ მუხლის მე -4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება , ჩადენილი განმეორებით	1000 ლარი
შენიშვნა: 1. სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის 36[1] *(მუხლი 36[1]. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დარღვევისათვის, 1. ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომ დადგენილ ვადაში ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის მიერ სალიცენზიო ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად)* მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. 2. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის 79[3] მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.	
მუხლი 84[1]. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება	
1. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება	1500 ლარი
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	3500 ლარი
მუხლი 85. გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში, თვითნებური ტრანსლოკაცია და ჰიბრიდიზაცია	
1. გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში, თვითნებური ტრანსლოკაცია (ინტროდუქცია, რეინტროდუქცია, რესტოკინგი) და ჰიბრიდიზაცია	300 ლარიდან 500 ლარამდე

2. იგივე ქმედება, ჩადენილი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ გარეულ ცხოველთა სახეობების მიმართ ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	1000 ლარიდან 1300 ლარამდე
მუხლი 85[1]. ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს	
ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს	150 ლარიდან 200 ლარამდე
მუხლი 85[2]. გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გენოფონდის რეზერვატების) გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა	
გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების (ზოოპარკების, ზოობაღების, ოკეანარიუმების, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გენოფონდის რეზერვატების) გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა	100 ლარიდან 200 ლარამდე
მუხლი 85[3] . საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება	
საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ან/და კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცხოველთა მოპოვება მათი მოპოვებისათვის დადგენილი შეზღუდვების ან/და პირობების დარღვევით, მათი სათანადო ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება	150 ლარიდან 850 ლარამდე დამრღვევის პირადი საკუთრების საგნების კონფისკაციით, რომლებიც აღნიშნულ დარღვევათა ჩადენის იარაღი იყო, ან უამისოდ, მოპოვებული ცხოველების კონფისკაციით

მუხლი 85[4]. გარეული ცხოველის უკანონოდ დატყვევება, უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტით, მისი დერივატით ან მისგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა	
გარეული ცხოველის უკანონოდ დატყვევება, უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტით, მისი დერივატით ან მისგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა	1000 ლარი უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის, მისი დერივატის ან მისგან გამომუშავებული პროდუქციის კონფისკაციით
მუხლი 85[5]. გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების წესების დარღვევა	
სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის, ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული, გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების წესების დარღვევა	200 ლარიდან 300 ლარამდე
მუხლი 86. თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევა, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა	
1. თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის იარაღისა და ხერხების გამოყენებით	50 ლარიდან 200 ლარამდე მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	200 ლარიდან 400 ლარამდე სამართალდარღვევის იარაღისა და მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით

3. თევზჭერის სპეციალური მოთხოვნების დარღვევა	500 ლარი
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	1000 ლარი
5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა)	200 ლარიდან 400 ლარამდე სამართალდარღვევის იარაღისა და მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით
6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი წყლის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალების (8 მეტრამდე სიგრძის კატარღა, ნავი, ნახევარბარკასი ან სხვა) გამოყენებით	400 ლარიდან 800 ლარამდე მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმისა და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით, წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ
7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	800 ლარიდან 2000 ლარამდე მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით
8. თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით, თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოთი, ფეთქებადი ან მომწამლავი ნივთიერებით ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, აგრეთვე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება	2000 ლარიდან 4000 ლარამდე მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის,

	სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით
9. 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის წყლის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა)	4000 ლარიდან 5000 ლარამდე მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ
10. 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დარღვევებისა)	30000 ლარიდან 50000 ლარამდე მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით
11. თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზჭერის ლიცენზიის პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა	2000 ლარი
12. ნადირობის წესების დარღვევა ნადირობის ობიექტებისათვის მიკუთვნებულ სახეობებზე ნადირობისას	100 ლარიდან 500 ლარამდე მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ
13. ნადირობის წესის დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა)	500 ლარიდან 700 ლარამდე მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ

14. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	800 ლარიდან 1000 ლარამდე მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით ან უამისოდ
15. ნადირობა იმ იარაღით, საშუალებით ან მეთოდით, რომლით ნადირობაც აკრძალულია (გარდა ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	1000 ლარიდან 2000 ლარამდე მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის ან/და მოწყობილობის კონფისკაციით

შენიშვნა: 1. ამ მუხლის მე-12–მე-14 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამატებითი სახდელის სახით სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ არ არის გაცემული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2. ამ მუხლის მე-12–მე-14 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ნადირობის განმახორციელებელ პირს თან არ აქვს ამ შენიშვნის პირველი ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტი ან ნადირობა აკრძალული სანადირო იარაღით ხორციელდება, სამართალდამრღვევს დროებით, საქმის განხილვამდე ჩამოერთმევა სანადირო იარაღი, ხოლო მისი დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა ხდება საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს/თანამდებობის პირის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. 3. ამ მუხლით (გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 ნაწილებისა) გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს ჩამოერთმევა მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები და, თუ მისი/მათი მოპოვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვანი არ არის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შემდგენი ორგანო უფლებამოსილია მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები დადგენილი წესით დაუყოვნებლივ, უსასყიდლოდ გაანაწილოს სოციალური მიზნებისათვის, ხოლო თუ მოპოვებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტს/ობიექტებს საკვებად უვარგისობის დამადასტურებელი ნიშნები ახასიათებს (შეცვლილი აქვს ჩვეული ფერი ან/და აღენიშნება ჯანსაღი პროდუქციისათვის უჩვეულო, უსიამოვნო სუნი) – დაუყოვნებლივ გაანადგუროს იგი/ისინი დამარხვით ან შესაბამის ინსინერატორში დაწვით. 4. თუ ამ შენიშვნის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს/თანამდებობის პირის საბოლოო გადაწყვეტილებით პირს დაუბრუნდება ჩამორთმეული ცხოველთა სამყაროს ობიექტი/ობიექტები, ეს პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ცხოველთა სამყაროს ობიექტის/ობიექტების ჩამორთმევის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.	
მუხლი 86[1]. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა	
1. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა სამოყვარულო ან/და სპორტული თევზჭერის იარაღით	50 ლარი
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	100 ლარი

3. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა ზომამცირე გემით (7 მეტრი ან ნაკლები სიგრძის გემით)	200 ლარი
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	400 ლარი
5. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა 100 ტონა საერთო ტევადობის ან 100 ტონაზე ნაკლები საერთო ტევადობის (7 მეტრზე მეტი სიგრძის) გემით	500 ლარი
6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	1 500 ლარი
7. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის მცურავი საშუალებით	4 000 ლარი
8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში	8 000 ლარი
შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით *(მუხლი 290, 1. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 208-ე და 2082 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაჯარიმებისას – დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234[4] მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე, გარდა ამ მუხლის 15 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.)* განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად	
მუხლი 87. (ამოღებულია)	

მუხლი 87[1]. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა	
1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისადმი მოპყრობის სპეციალური მოთხოვნების დარღვევა	300 ლარიდან 800 ლარამდე
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	800ლარიდან 2000 ლარამდე
3. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე	100ლარიდან 1000 ლარამდე სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან უამისოდ
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1000 ლარიდან 2000 ლარამდე სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით
მუხლი 87[2]. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა	
1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა	200ლარიდან 500 ლარამდე
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	500ლარიდან 1500 ლარამდე
მუხლი 87[3]. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტირების წესების დარღვევა	
1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტირების წესების დარღვევა	500ლარიდან 1000 ლარამდე
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1000 ლარიდან 3000 ლარამდე
მუხლი 88. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოების, მისი მოვლა-პატრონობის, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების, ქუჩის, მოედნის სახელდების წესების დარღვევა	

1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება, რაც დაკავშირებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შეუსრულებლობასთან	ფიზიკური პირი - 5000 ლარი იურიდიული პირი ან ამხანაგობა - 10000 ლარი
2. იგივე ქმედება, ჩადენილი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის მიმართ	ფიზიკური პირი - 7000 ლარი იურიდიული პირი ან ამხანაგობა - 12000 ლარი
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის მიმართ	ფიზიკური პირი - 9000 ლარი იურიდიული პირი ან ამხანაგობა - 15000 ლარი
4. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების, ქუჩის, მოედნის სახელდების წესების დარღვევა	მოქალაქეთა გაფრთხილება ან დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ხუთ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა გაფრთხილება ან დაჯარიმება შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე
5. ამ მუხლით განსაზღვრული დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში	შესაბამისი ჯარიმის ოდენობა გასამმაგდება წინა ჯარიმის ოდენობასთან შედარებით, ყოველ 6 თვეში
შენიშვნა: ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული განთავსების წესის დარღვევით განთავსებული მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) დემონტაჟი ხორციელდება სამართალდამრღვევის ხარჯებით	
მუხლი 89. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა	
1. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა	50 ლარიდან 70 ლარამდე

2. იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	60 ლარიდან 90 ლარამდე
მუხლი 89[1]. ბუნების ძეგლის დაზიანება	
1. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ბუნების ძეგლის დაზიანება	ფიზიკური პირი - 250 ლარი იურიდიული პირი, დაწესებულება, ორგანიზაცია – 700 ლარი
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით	ფიზიკური პირი - 500 ლარი იურიდიული პირი, დაწესებულება, ორგანიზაცია – 1000 ლარი
მუხლი 89[2]. სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორის მიერ ნებისმიერი მოწყობილობის (გარდა მეცნიერული არამანიპულაციური დაკვირვებისა) შეტანა	
1. სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორის მიერ ნებისმიერი მოწყობილობის (გარდა მეცნიერული არამანიპულაციური დაკვირვებისა) შეტანა	150 ლარიდან 200 ლარამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის	200 ლარიდან 250 ლარამდე
მუხლი 89[3]. დაცულ ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღით ან ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალებით უკანონოდ შესვლა, შეღწევა ან გადაადგილება ან აღნიშნული ქმედების ნავის გამოყენებით განხორციელება	
1. დაცულ ტერიტორიაზე პირის ცეცხლსასროლი იარაღით უკანონოდ შესვლა, შეღწევა ან/და გადაადგილება (გარდა იმ ტერიტორიისა, სადაც მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით დაშვებულია ნადირობა, ან იმ პირისა, რომელსაც უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი)	250 ლარიდან 300 ლარამდე ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	400 ლარიდან 600 ლარამდე ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ
3. დაცულ ტერიტორიაზე (გარდა იმ ტერიტორიისა, სადაც მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით დაშვებულია თევზჭერა) პირის ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალებით შესვლა, შეღწევა ან გადაადგილება ან აღნიშნული ქმედების ნავის გამოყენებით განხორციელება	250 ლარიდან 300 ლარამდე სამართალდარღვევის საგნის, მათ შორის, ნავის, კონფისკაციით ან უამისოდ
4. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში	400 ლარიდან 600 ლარამდე სამართალდარღვევის საგნის, მათ შორის, ნავის, კონფისკაციით ან უამისოდ
მუხლი 89[4]. (ამოღებულია)	
თავი IX. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები სოფლის მეურნეობაში. ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დარღვევა	
მუხლი 103[1]. გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევა	
გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევა	10 ლარიდან 50 ლარამდე
მუხლი 104. ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა	
ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მათი დაღუპვა ან დასახიჩრება მოჰყვა, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების წვალება	შრომის ანაზღაურება ერთ მინიმალურ ოდენობამდე

თავი X. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ტრანსპორტზე, საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	
მუხლი 128². ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მოთხოვნათა დარღვევა	
1. ხე-ტყის პირველადი გადამუშავება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე	2000 ლარი სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ
2. უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავება	2000 ლარი ხე-ტყის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	4000 ლარი ხე-ტყის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციისა და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით
4. ხე-ტყის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში *(„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება)* სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ტრანსპორტირება (გარდა ამ მუხლის მე-6–მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	1000 ლარი ხე-ტყის კონფისკაციით ან უამისოდ
5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	2000 ლარი ხე-ტყის კონფისკაციით
6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მათ შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე) მოპოვებული ხე-მცენარის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირება ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე სახერხ საამქროში შეტანა (განთავსება)	200 ლარი ხე-მცენარის კონფისკაციით ან უამისოდ

7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	400 ლარი ხე-მცენარის კონფისკაციით
8. სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული წესების *(„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება)* დარღვევით ტრანსპორტირება ან ასეთი ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება	500 ლარი ხე-ტყის კონფისკაციით ან უამისოდ
შენიშვნა: 1. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართალდამრღვევს საქმის განხილვამდე დროებით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალება მასზე არსებულ ხე-ტყესთან/ხე-მცენარესთან ერთად და მას გადაიყვანენ სპეციალურ დაცულ სადგომზე; ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები დაეკისრება სამართალდამრღვევს; სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის განხილვის დასრულებისა და სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარმოდგენის შემდეგ (საჭაპნე ტრანსპორტის შემთხვევაში სარეგისტრაციო მოწმობა არ მოითხოვება), გარდა ამ კოდექსის 249-ე მუხლის მე-2 ნაწილით *(მუხლი 249, 2. ამ კოდექსის 58² მუხლით, 86-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებით, 86¹ მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით და 114¹, 128², 155¹, 155² და 157-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად შეიძლება სამართალდარღვევის საგნის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა. ჯარიმის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობისას ჩამორთმეული საგნისა და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.)* გათვალისწინებული შემთხვევისა. 2. ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონოდ მოპოვებულ ხე-ტყედ ჩაითვლება ხე-ტყე, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით *(„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება)* გათვალისწინებულ შემთხვევებში (მათ შორის, უშუალოდ ტრანსპორტირებისას) არ აქვს სათანადო დოკუმენტი ან რომელიც იმავე დადგენილებით განსაზღვრული წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით. 3. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ოქმის შემდგენი უფლებამოსილია დაათვალიეროს პირველადი გადამუშავების ადგილები, გააჩეროს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება, ასევე მოითხოვოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი, სატრანსპორტო საშუალებისა და ბუნებრივი რესურსების წარმოშობის დოკუმენტები, ხოლო დარღვევის აღმოჩენისას მიიღოს საქართველოს	

კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.	
მუხლი 128³. ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა	
1. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ინფორმაციის (მათ შორის, ხე-ტყის მარკირების სპეციალური ფირნიშის საკონტროლო ფირნიშის) დადგენილი წესის ან ვადის დარღვევით წარდგენა, ან სპეციალური ფირნიშის ან/და მისი საკონტროლო ფირნიშის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის დადგენილი წესების დარღვევა	500 ლარი
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1000 ლარი
3. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	2 000 ლარი უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ, ხოლო არარეგისტრირებული სახერხი საამქროს აღმოჩენის შემთხვევაში – აგრეთვე მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი დანადგარის, თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის) და მოწყობილობის კონფისკაციით
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	4000 ლარი უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის კონფისკაციით

5. ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის მიღებასთან, შენახვასთან, გადამუშავებასთან ანდა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით	4000 ლარი უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქციის და სახერხი დანადგარებისა და მოწყობილობების კონფისკაციით
შენიშვნა: ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უკანონოდ ჩაითვლება ის ხე-ტყე/ხე-მცენარე, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დადგენილი წესით *(„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება)* არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით	
მუხლი 128[4]. იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა	
1. იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისათვის საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული *(„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება)* მოთხოვნების დარღვევა	1 000 ლარი
2. იგივე ქმედება , ჩადენილი განმეორებით	2000 ლარი ხე-ტყის კონფისკაციით
მუხლი 128[5]. ხე-ტყის მოსარგებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა და სპეციალური ფირნიშების გამოყენების, ხე-ტყის მარკირების, ასევე მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევა	
1. ხე-ტყით მოსარგებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა და სპეციალური ფირნიშების გამოყენების, ხე-ტყის მარკირების, მათი აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევა, აგრეთვე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ან ხე-ტყის მარკირების სპეციალური ფირნიშების დაუხარჯავი ან/და დაზიანებული ფორმების საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით წარუდგენლობა, ხოლო დაკარგვის შემთხვევაში – შესაბამისი განაცხადის წარდგენის დადგენილი წესების დარღვევა	500 ლარი
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით	1000 ლარი

13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

❖ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი - კარი X

ადგენს დანაშაულის სახეებსა და ჯარიმების ოდენობებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ.
კერძოდ: გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევისათვის, მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევისათვის, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევისათვის, ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის. წყლით სარგებლობის წესის დარღვევისათვის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისათვის, საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევისათვის, მიწის გაუვარგისებისათვის, წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევისათვის, უკანონო თევზჭერისა და ნადირობისათვის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლისათვის, ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვისათვის, ტყის ან ნარგავის დაზიანება-განადგურებისათვის, დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევისათვის, გარემოზე ზემოქმედების გარეშე საქმიანობის განხორციელებისათვის

მუხლი 287. სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა	
სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა ობიექტის დაპროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, მშენებლობის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს გარემოს დაცვის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია რადიაციული ფონის არსებითი გაუარესება, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება ან სხვა მძიმე შედეგი	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
მუხლი 288. გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა	
1. ტოქსიკური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა მისი წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების, შენახვის, ჩამარხვის ან გამოყენების დროს, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება, მოწამვლა ან დასნებოვნება, ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე

მასობრივი განადგურება, აგრეთვე ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში	
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ადამიანთა მასობრივი დაავადება	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე
მუხლი 289. მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა	
1. მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ეპიდემიის ანდა ეპიზოოტიის გავრცელება ან გარემოსათვის სხვა მძიმე შედეგი	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე
მუხლი 289[1]. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევა	
1. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე
2. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების ჩამორთმევით
3. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია ან/და საბაზრო ქსელში განთავსება	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით	

მუხლი 290. ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა	
1. ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა, რამაც გამოიწვია ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე
2. ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა, რასაც მოჰყვა ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი	ისჯება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე
მუხლი 291. წყლით სარგებლობის წესის დარღვევა	
წყლის თვითნებური მიტაცება ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლით სარგებლობის წესის სხვა დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
მუხლი 292. წყლის დაბინძურება	
1. წყლის ობიექტის დაბინძურება, დანაგვიანება, დაშრეტა ან მასზე სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღვეთით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, აგრეთვე ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის ან აღკვეთილის ტერიტორიაზე ანდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე
მუხლი 293. ზღვის დაბინძურება	
1. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების, სხვა ნარჩენის ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. ხმელეთიდან და საჰაერო ხომალდიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვლისწინებული ქმედება, რამაც მნიშვნელოვნი ზიანი მიაყენა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ სამყაროს, თევზის მარაგს ან წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმს, დასვენების ზონას ანდა კანონით დაცულ სხვა სიკეთეს	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე
მუხლი 294. ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება	
გემის, სხვა მცურავი საშუალების, საჰაერო ხომალდის, პლატფორმის ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციის სათანადო პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ უახლოესი პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში – აგრეთვე	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ

ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის შეუტყობინებლობა იმისა, რომ საქართველოს შიდა ზღვის ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში ანდა ღია ზღვაში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის გამო მოხდა ჩაყრა ან აუცდენელი დაკარგვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებისა ან ისეთი შენარევისა, რომელიც ასეთ ნივთიერებას დადგენილი ნორმის გადამეტებით შეიცავს, ანდა სხვა ნარჩენისა ან მასალისა, რომელსაც შეუძლია დააზიანოს დასვენების ზონა ან ხელი შეუშალოს ზღვის მართლზომიერ გამოყენებას	
მუხლი 295. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	
1. მავნე ნივთიერების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ანდა გამწმენდი დანადგარის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე
მუხლი 296. საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა	
1. საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში ნაგებობის უკანონოდ აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის უკანონოდ დაწესება, აგრეთვე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის ან კონსერვაციის, ანდა საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წესის დარღვევა ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. საქართველოს კონტინენტური შელფის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გარეშე გამოკვლევა ან დაზვერვა ანდა მისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე

მუხლი 297. მიწის გაუვარგისება	
1. სამეწარმეო, სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობისას მავნე ნივთიერებით მიწის მოწამვლა, დეგრადაცია ან მიწის სხვაგვარი გაუვარგისება, განპირობებული სასუქის, მცენარეთა ზრდის სტიმულატორის, შხამქიმიკატის, სხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების ან გადაზიდვის დროს მისდამი მოპყრობის წესის დარღვევით, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანება	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. იგივე ქმედება, ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, რამაც მიწის მნიშვნელოვანი ფართობის გაუვარგისება გამოიწვია	ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით
[2. იგივე ქმედება, ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, რამაც მიწის მნიშვნელოვანი ფართობის გაუვარგისება გამოიწვია	ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე
მუხლი 298. წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა	
სამთომოპოვებითი საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობის დაპროექტების, განლაგების, რეკონსტრუქციის, ლიკვიდაციის, საექსპლუატაციოდ გადაცემის ან ექსპლუატაციის დროს წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა, აგრეთვე თვითნებური მშენებლობა სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ადგილას, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე
მუხლი 299. წიაღით უკანონოდ სარგებლობა	
1. წიაღით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე
მუხლი 300. უკანონო თევზჭერა	
1. თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე

მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება, ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ	
2. თევზჭერა ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე
3. ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით, ან 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით თევზჭერა, ჩადენილი აკრძალულ დროს ან აკრძალულ ადგილას, ან საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის ან მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე
მუხლი 301. უკანონო ნადირობა	
1. ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ანდა აკრძალულ ადგილას ან აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ
2. ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ - ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე

მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში	
მუხლი 302. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა	
1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა ან იმ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენება, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობა ბუნებრივად ბინადრობს ან ხარობს, რამაც გაუფრთხილებლობით ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენების საფრთხე შექმნა	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე
[1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ბუნებრივი საბინადრო ან გამრავლების არეალის მოშლა ან იმ ადგილების სხვა დანიშნულებით გამოყენება, სადაც საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობა ბუნებრივად ბინადრობს ან ხარობს, რამაც გაუფრთხილებლობით ამ ადგილებში ცხოველის ან მცენარის სახეობის გადაშენების საფრთხე შექმნა	ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]
2. იგივე ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის გადაშენება	ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე
მუხლი 303. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა	
1. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე
მუხლი 304. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება	
1. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ანდა მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით

2. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით	ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე
მუხლი 305. დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა	
სახელმწიფო ნაკრძალის, აღკვეთილის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლის, დაცული ლანდშაფტის ან სხვა დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე
მუხლი 306. საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე	
საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე
[**მუხლი 3061. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება** (ამოქმედდეს 2018წლის 1იანვრიდან)]	
სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ	ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

14. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია

2. საქართველოს კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ‘‘

3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №26 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“

5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №204 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების დებულებების დამტკიცების შესახებ“

6. „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილება

7. „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილება

8. საქართველოს კანონი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“

9. „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის №95 ბრძანება

10. „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილება

11. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის №21 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესის დამტკიცების შესახებ"

12. საქართველოს კანონი - ნარჩენების მართვის კოდექსი

13. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კარი X - დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ)